



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი  
ინტერკულტურული დიალოგის იუნისკოს კათედრა  
Institute of Cultural Studies  
UNESCO Chair in Intercultural Dialogue



United Nations  
Educational, Scientific and  
Cultural Organization

**United Nations Educational, Scientific and Cultural  
Organization**



**UNITWIN/UNESCO Chairs - Twinning networks and  
university networks**

# ცივილიზაციური პირანგი

## CIVILIZATION RESEARCHES

**Nº 10, 2012**

„ცივილიზაციური ძებანი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოდის 2003 წლიდან. 2007 წლის ივნისში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო მრგვალი მაგიდის – „კავკასია: ინტერკულტურული დიალოგის პერსპექტივა“ – გადაწყვეტილებით, ის არსებობას განაგრძოს როგორც საერთაშორისო გამოცემა. კრებული ინტერდისციპლინურია, მოცავს კროსკულტურული კომუნიკაციისა და ინტერკულტურული დიალოგის, შედარებითი რეგიონული კვლევების (ისტორიული და ტიპოლოგიური საკითხები), კულტურის კვლევების და სხვა საკითხებს.

კრებული თანამშრომლობს აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, რუსეთის ფედერაციის, ცენტრალური აზიის იუნესკოს კათედრებთან, სხვა ქართველ და უცხოელ კოლეგებთან, რომლებიც წარმოდგენილნი არიან როგორც სარედაქციო საბჭოში, ასევე ავტორების სახით.

სარედაქციო ჯგუფი მზადაა თანამშრომლობისათვის დაინტერესებულ პირებთან და სტრუქტურებთან.

**“Civilization Researches”** is an annual edition of the UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The articles cover spheres including, but not restricted to:

- Cross-cultural communication and intercultural dialogue
- Comparative regional studies (including historical and typological perspectives)
- Cultural studies.

Traditional and non-traditional paradigms of study are equally welcome.

The journal cooperates with the UNESCO Chairs in Armenia, Azerbaijan, Moldova, Central Asia, Russian Federation and is open for collaboration with the interested individuals and structures.

### **მოთხოვნები ავტორებისადმი**

მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად, ინგლისურად, რუსულად ან ფრანგულად (მაქსიმუმ 4.000 სიტყვა, Times New Roman 12, 1,5, ან 2.500 სიტყვა, AcadNusx 12, 1,5 (ქართული ტექსტები). ყველა სტატიას (გარდა ინგლისურ ენაზე წარმოდგენილისა) უნდა ახლდეს ინგლისური რეზიუმე 800-1000 სიტყვის მოცულობით. ციტირება – MLA სტილი.

**შერჩევის პირველი ეტაპი** – სარედაქციო საბჭოს წევრთა მიერ შერჩეული სტატიები იგზავნება თბილისში, რედაქციაში, ელექტრონული ფოსტით.

**მეორე ეტაპი** – სტატიები ეგზავნება სარედაქციო საბჭოს წევრებს (სპეციალობათა მიხედვით) საბოლოო შერჩევასათვის.

#### **წარმოდგენის ვადები:**

1 ოქტომბერი – წარმოდგენა სარედაქციო საბჭოში

1 ნოემბერი – სარედაქციო საბჭოს წევრთა საბოლოო გადაწყვეტილება

### **Submission**

The articles should be submitted in Georgian, English, Russian or French (max. 4000 words, Times New Roman 12, 1,5, or 2500 words, AcadNusx 12, 1,5 space (Georgian texts). All articles (except those in English) must be presented together with the summary in English, 800-1000 words. Citation – MLA style.

**First stage of selection** – papers recommended by the members of the Editorial Board should be delivered to Tbilisi by e-mail.

**Second stage** – the papers should be distributed among the members of the Editorial Board for the final selection.

#### **Deadline for delivering articles to Tbilisi:**

October (with the recommendation of a member of the Review Group)

November (decision of the member of the Review Group to whom the article was delivered).

© თსუ გამომცემლობა, 2013

Tbilisi University Press, 2013

ISBN 978-9941-13-315-2

© ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა, 2013

UNESCO Chair in Intercultural Dialogue, 2013

ISSN 1512-1941

## სარეადაციო საპატ:

ნინო ჩიქოვანი, პროფესორი  
(სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე)  
მუნიციპალიტეტის პაბაჯანოვა

მიხეილ ბორგოლტე, პროფესორი

ემილ დრაგნევი, პროფესორი

მალხაზ მაცაბერიძე, პროფესორი

დიმიტრი სპივაკი, პროფესორი

ნინო ფირცხალავა, პროფესორი

ნინო ქიმერიძე, ასოც. პროფესორი

თინათინ ღუდუშაური,  
ასოც. პროფესორი

ბერნდ შპილნერი, პროფესორი

ბეჟან ჯავახია, პროფესორი

რაუფ ჰუსეინოვი, პროფესორი

კულტურის კვლევები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ინტერკულტურული დიალოგი, რუსულ-ტაჯიკური (ხლა-ვური) უნივერსიტეტი, დუშანბე, ტაჯიკეთი

შუა საუკუნეების ევროპის შედარებითი ისტორია, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, გერმანია

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოლდოვა

პოლიტიკის მეცნიერებები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სულიერი ტრადიციების, სპეციფიკური კულტურებისა და ინტერრელიგიური დიალოგის შედარებითი კვლევა, კულტურის კვლევათა რუსეთის ინსტიტუტი, სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია

შედარებითი ლიტერატურული კვლევები, ილია ჭავჭაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გერმანული ფილოლოგია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

კულტურის ანთროპოლოგია, ჰუმანიტარული სკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

ენათმეცნიერება, დუისბურგის უნივერსიტეტი, გერმანია

შუა საუკუნეების ისტორია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ისტორია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არქოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, აზერბაიჯანი

## სარეადაციო ჯგუფი:

ქეთევან კაკიტელაშვილი  
დავით მაცაბერიძე  
მაია ქვრივიშვილი  
ირაკლი ჩხაიძე  
ივანე წერეთელი

## რეადაციის მისამართი

საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭაძის გამზ., 3  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
II კორპუსი, ოთახი 250  
ტელ.: (995 32) 2290844  
ელ. ფოსტა: [tsuculturologia@yahoo.com](mailto:tsuculturologia@yahoo.com), [icestbilisi@gmail.com](mailto:icestbilisi@gmail.com)

ურნალის ინტერნეტგერსია და სხვა ინფორმაცია ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის შესახებ იხ. ვებგვერდზე: [www.culturedialogue.com](http://www.culturedialogue.com)

## **EDITORIAL BOARD:**

<b>Nino Chikovani, Professor</b> (Head of the Reviewers Board)	Cultural Studies, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
<b>Munzifakhon Babajanova</b>	UNESCO Chair “Intercultural Dialogue”, <i>Russian-Tajik (Slavonic) University, Dushanbe, Tajikistan</i>
<b>Michael Borgolte</b> , Professor	Comparative History of Medieval Europe, <i>Humboldt University, Berlin, Germany</i>
<b>Emil Dragnev</b> , Professor	South-East European Studies, <i>Moldova State University, Moldova</i>
<b>Tinatin Ghudushauri</b> , Professor	Cultural Anthropology, <i>School of Humanities, University of Georgia</i>
<b>Rauf Huseynov</b> , Professor	History, <i>Institute of Archeology and Ethnography of the National Academy of Sciences of Azerbaijan</i>
<b>Bejan Javakhia</b> , Professor	Medieval Studies, <i>Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
<b>Nino Kimeridze</b> , Asoc. Professor	German Philology, <i>Iv.Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
<b>Malkhaz Matsaberidze</b> , Professor	Political Sciences, <i>Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
<b>Nino Pirtskhalava</b> , Professor	Comparative Literary Studies, <i>Ilia Chavchavadze State University, Tbilisi, Georgia</i>
<b>Dimitri Spivak</b> , Professor	Comparative Studies of Spiritual traditions, their Specific Cultures and Interreligious Dialogue, <i>Russian Institute for Cultural Studies, St. Petersburg, Russian Federation</i>
<b>Bernd Spillner</b>	Linguistics, <i>Duisburg-Essen University Germany</i>

## **EDITORIAL GROUP:**

Irakli Chkhaidze  
Ketevan Kakitashvili  
Maia Kvritishvili  
David Matsaberidze  
Ivane Tsereteli

## **ADDRESS OF EDITORIAL OFFICE**

UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Tbilisi State University  
3, Ilia Chavchavadze Ave. 0179, Tbilisi, Georgia.  
E-mail address: [tsuculturologia@yahoo.com](mailto:tsuculturologia@yahoo.com), [icstbilisi@gmail.com](mailto:icstbilisi@gmail.com)

The electronic version of the journal and the information about the UNESCO Chair in Intercultural Dialogue is available at: [www.culturedialogue.com](http://www.culturedialogue.com)

## შინაარსი

### CONTENTS

#### ნინო ქიმერიძე

ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების სივრცეში წარმოდგენილი  
ერთი და იმავე ტექსტის სახეობის ლინგვისტიკური თავისებურებისათვის ..... 7

#### ნინო კერესელიძე

საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში 1991-2013 წლებში ..... 16

#### Nino Daraselia

Metaphors of Silence Across Cultures (On Material from English, Georgian and Russian) ..... 35

#### ლადო ვარდოსანიძე

ურბანული კულტურის ახლებური რეალობა – ქალაქი, როგორც „საქონელი“  
და მისი ბრენდინგი. რას ვერ გაითვალისწინებდა ვიტრუვიუსი ..... 46

#### მანანა ჯავახიშვილი

ძალაუფლების გადანაწილება (კორონაციის რიტუალი) ..... 59

#### ნინო მგალობლიშვილი

მოდის თეორიის კლასიკურ კონცეფციათა თავისებურებანი ..... 64

#### ოლეგ კაპანაძე, ნუნუ კაპანაძე

ორენოვანი გერმანულ-ქართული პარალელური ხეების ბანკის შესახებ ..... 76

#### თარგმანი

#### ჯონ ბრილი, John Breuilly

ნაციონალიზმი და ნაციონალური წარსულის შექმნა ..... 91



## ნინო ქიმერიძე

### ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების სივრცეში თაროვანების ერთი და იმავე ტექსტის სახეობის ლინგვისტიკური თავისებურებისათვის

ტექსტის ლინგვისტიკის ცალკე ენათმეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბებისთანავე მნიშვნელოვანი ხდება ტექსტის სახეობათა კვლევა, რაც განპირობებულია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ ტექსტის პროდუცირებისას გააქტიურებული ცოდნის სხვადასხვა სახეობას შორის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი პარამეტრია ცოდნა ტექსტის გლობალურ სტურუქტურათა შესახებ, რომელშიც იგულისხმება ცოდნა ტექსტის სახეობათა შესახებ. ცოდნის ამ სახეობაში თავს იყრის და ფორმა ეძლევა ცოდნის ყველა დანარჩენ სახეობას: ენობრივს, ენციკლოპედიურს/დარგობრივს, ინტერაქციულსა და ილოკუციურს, რომელთა მიზანმიმართული გააქტიურებით შესაძლებელია ტექსტის წარმოქმნა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გერმანულენოვან სივრცეში აქტიური გახდა ტექსტის სახეობათა კვლევები, რისი დასტურიც იყო 1972 წელს ელ. გიულიხ/ვ. რაიბლეს ტექსტის სახეობათა კვლევისადმი მიძღვნილი ცნობილი კოლოკვიუმი (მოგვიანებით კოლოკვიუმის ერთგვარი გაგრძელება იყო 1986 წელს გერმანული ენის ინსტიტუტის (ვ. კალმაიერი) ამავე თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია). ამან საფუძველი დაუდო ტექსტის სახეობათა ლინგვისტიკის დამოუკიდებელ კვლევის მიმართულებად ჩამოყალიბებას. კვლევის არეალის გაფართოება გამოწვეული იყო მნიშვნელოვანილად იმითაც, რომ გაიზარდა და გამრავალფეროვნდა ტექსტის სახეობათა სპეცირი. ტექსტის ლინგვისტიკაში თანამედროვე კვლევათა მნიშვნელოვანი წილი მოდის ტექსტის სახეობათა შესწავლაზე როგორც ერთი ენის სივრცეში, ისე კონტრასტული კვლევის ასპექტში.

ტექსტის სახეობათა სპეცირის გაფართოება უწინარესად გამოწვეული იყო მედია-ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით. თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევების ფარგლებში იორგ მაიერი მედიების მნიშვნელობას ხაზს უსვამს და აღნიშნავს, რომ „ახალი მედიები“ საზოგადოების საკომუნიკაციო ურთიერთობებს აჩქარებენ, ათანამედროვებენ კომუნიკაციას, რა დროსაც ისინი არა მხოლოდ კომუნიკაციას, ენობრივ ფორმებსა და ტექსტის სახეობებს, არამედ თვით ენასა და ადამიანურ ურთიერთობებს უცვლიან იერსახეს ერთიანობაში (Meier 2002: 83). რას გულისხმობდა იორგ მაიერი, როცა გამოთქვამდა აზრს, რომ მედიებმა სახე შეუცვალა ენობრივ ფორმებსა და ტექსტის სახეობებს? ტექსტის არაერთ სახეობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ისინი, როგორც არტეფაქტები, ექვემდებარებიან ცვლილებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეტ-ნაკლებად კონვენციონალური მოვლენაა ენობრივი ქმედების პროცესში, რომელთა განვითარება ისტორიულად ხდება. მათთვის ნიშანდობლივია კონკრეტული კოლექტივისათვის დამახასიათებელი ტიპობრივი თვისებები. ამავდროულად ისინი, როგორც კულტურის არტეფაქტები, განიცდიან კონკრეტულ ცვლილებებს ერთი ენის ფარგლებშიც კი. თავის მხრივ კი ნებისმიერი მედია, იქნება ეს ხელნაწერი, წიგნი, კომპიუტერი, ფილმი, თუ ტელევიზია, დასძენს მაიერი (Meier 2002: 87) ერთისა და იმავე ტექსტის სახეობაშიც კი საკუთარ კვალს ტოვებს, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ცვლილებები არა მხოლოდ ტექსტის ტექსტურის ჩამოყალიბებისას, არამედ თვით ტექსტის ზედაპირული სტრუქტურების ფორმირებისას. შესაბამისად, ავტორს მიაჩნია, რომ ტექსტს უნდა ვხედავ-დეთ როგორც დისკურსს, სისტემას, კულტურასა და მედიუმს ან, სულაც, ქსელს. აქედან გამომდინარე, ტექსტის ლინგვისტიკას ის განიხილავს, როგორც მედია-კულტურის-დისკურსის-სისტემის ცოდნებას (Medienkulturdiskurssystemwissenschaft).

არათუ სხვადასხვა მედიის ფარგლებში, ტექსტის კონკრეტული სახეობა შესაძლოა სრულიად განსხვავებულ ნიშნებს ავლენდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის დაფიქსირდა ტექსტის სახეობათა ორ განსხვავებულ ჯგუფში – ერთი მხრივ ლიტერატურულ, ხოლო, მეორე მხრივ არალიტერატურული ტექსტების კლასში.

ერთობ ფართოა გამოცდილება პრაგმატული ტექსტის სახეობათა კვლევის დარგში, რასაც ნაკლებად ფართო მასშტაბები აქვს ლიტერატურული ტექსტის სახეობათა კვლევისას. ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების არეალში უკვე დიდი ხანია კონკრეტულად სახელ-დება ცალკეული, მხოლოდ ამ სფეროთათვის ტიპობრივი ტექსტის სახეობები. თუმცა, უკანასკნელ ხანებში შეიძლება დასახელდეს კონკრეტული ტექსტის გლობალური სისტემები, რომელთა ანარეკლი შესაძლოა გაჩნდეს მათთვის სრულიად ატიპური ტექსტის სახეობათა ველში.

საკითხის ამ კუთხით დაყენება მას შემდეგ გახდა საინტერესო, როდესაც ტექსტის სახეობა „წინასიტქმა“, რომელიც არსებითად გვხვდება საგამომცემლო საქმეში და, შესაბამისად, არის დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკის სფეროდან, სახეცვლილი ფორმით დაფიქსირდა ლიტერატურული (მხედველობაში გვაქვს მ. ენდეს „სარკე სარკეში“) და აგრეთვე პუბლიცისტიკის (ე. კესტნერი 40-იანი წლების პუბლიცისტიკა) დარგობრივი ტექსტების ერთ-ერთ მიკროტექსტად. ტექსტის ეს სახეობა ამ ეტაპზე ლინგვისტური კვლევის პერიფერიაში რჩება. შესაძლოა, ამას ისიც განაპირობებს, რომ მკითხველისათვის უფრო მნიშვნელოვანია საკუთრივ ის პუბლიკაცია, რომელსაც წინ უძღვის ტექსტის ეს სახეობა.

„წინასიტყვაობას“ მკვლევართა ერთი ნაწილი დარგობრივი ტექსტების ჯგუფს მიაკუთვნებს, მათ შორის ქრისტიან ტიმი (Timm 1996: 458), რომელიც ამ ტიპის ტექსტებს „მზიდ ტექსტებს/ტექსტის არსის ამსახველს/Trägertext“ უწოდებს. ისინი თავის თავზე იღებენ ინფორმაციას, რომლის გაცნობის შემდეგ რეციპიენტი ადგენს, თუ რამდენად შეესაბამება ნაშრომი მის ინტერესებს. ამ ტიპის ტექსტის სახეობა ხშირად ახლავს აკადემიურ გამოცემებს, რომლითაც ავტორი/ავტორთა ჯგუფი მკითხველს დარგობრივი კომუნიკაციისათვის ამზადებს.

კომპოზიციური თვალსაზრისით „წინასიტყვაობას“ სამსეგმენტიანი ტექსტურა აქვს, შესაბამისად, მკითხველს მიეროდება: სათაური, ტექსტის კორპუსი და ავტორის სახელი და გვარი. სანიმუშოდ შევარჩიეთ ერთ-ერთი აკადემიური გამოცემის წინასიტყვაობა, კერძოდ კი, ა. ლინკეს და ავტორთა კოლექტივის ლინგვისტიკის სახელმძღვანელოს წინასიტყვაობა. ის იყოფა სამ ძირითად კომპოზიციურ სეგმენტად, როგორც მოსალოდნელი იყო: სათაური ძირითადი ტექსტურა, დაწერის თარიღი და ადგილი, ავტორთა ვინაობა (Vorwort => Textur => Zürich, in den Hundstagen<sup>1</sup> 1991=> Angelika Linke. Markus Nussbaumer. Pau. R. Portmann), ხოლო, რაც შეეხება ტექსტურის კომპოზიციურ სეგმენტაციას, მისი დანაწევრება თვალნათლივ ხდება კონკრეტული სემანტიკური სიგნალებით:

- ნაშრომის შექმნის იდეა: *Das vorliegende Studienbuch ist aus linguistischen Grundkursen ... herausgewachsen. ....*
- წიგნის მიზანი: *Das Buch informiert... Dabei ist es unser Ziel...*
- ნაშრომის კომპოზიციის მიმოხილვა: *Wir haben das Buch in zwei Teile mit je fünf Kapitel gegliedert... Die einzelnen Kapitel... Jedes Kapitel*
- წიგნის/ნაშრომის კონცეფცია: *Die Konzeption des Buches....*
- სამადლობელი წიგნის შექმნაში მონაწილე პერსონალის მიმართ: *Bei Herstellung und Korrektur... geholfen... Ihnen allen danken wir...*
- მიძღვნა: *Wir widmen dieses Buch Horst Sitta.*

ჩვენ მიერ მიმოხილული ტექსტის ვარიანტი სწორედ ის ვერსიაა, რომელიც პარატექსტის სახით წინ უსწრებს დარგობრივ ტექსტს და მიმართულია მკითხველთა კონკრეტულ ჯგუფზე. ტექ-

<sup>1</sup> **Hundstage** <Pl.> [mhd. hundetac, huntlich tage, LÜ von spätlat. dies caniculares, so benannt, weil die Sonne in dieser Zeit beim Hundsstern im Sternbild des Großen Hundes steht]: *heißeste Zeit im Hochsommer in Europa* (24. Juli - 23. August).

სტში გააქტიურებულია დარგობრივი (ამ შემთხვევაში ლინგვისტური) ლექსიკა, კონკრეტულ გრამატიკულ სტრუქტურებთან ერთად, კერძოდ, თვალში საცემია პასიური კონსტრუქციების სიმრავლე (როგორიცაა: ist ... entwickelt worden, muss ... gelesen werden, ist...signalisiert, wird ... eingeleitet u.a.), ინფინიტიური კონსტრუქციები (Dabei ist unser Ziel, ...vorzustellen, Die Konzeption ... ist daraufhin angelegt, den unterschiedlichen Bedürfnissen ... entgegenzukommen, wir haben versucht, ...zu ergänzen und zu verdeutlichen), ნაცვალსახელითი სისტემის გააქტიურება, კონკრეტულად კი მრავალბითი რიცხვის პირველი პირი, რადგან წინასიტყვაობას ხელს აწერს ავტორთა კოლექტივი.

საკითხის შესწავლისას ჩვენი მიზანი იყო გაგვეანალიზებინა კონკრეტული ტექსტის სახეობის შეძლებისდაგვარად ყველა შესაძლო ვარიანტი, რაც გერმანულენოვან სივრცეში ფიქსირდებოდა. მეორე ტექსტი, რომელიც ასევე დეტალურად იქნა გაანალიზებული, იყო წინათქმა ერის კესტნერის პუბლიცისტიკის კრებულისათვის. ამ შემთხვევაშიც წანილობრივ საქმე ეხება დარგობრივი ტექსტების კრებულისათვის დართულ ავტორისეულ ტექსტს, მაგრამ ზემოხენებული ტექსტის ერთ-ერთ არსებით თავისებურებად უნდა დასახელდეს ის ფაქტორი, რომ ის თავისი მონაცემებით ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების გამყოფ ზღვარზეა განთავსებული, რისი თქმის საშუალებასაც იძლევა ტექსტის უჩვეულო კომპოზიცია. კერძოდ კი, ძირითად ტექსტურაში ფიქსირდება ტექსტის სახეობის „დღიური“ ცალკეული ნიშნები და სიგნალები, როგორიცაა თუნდაც ქრონოლოგია, რომელიც ძირითადი ტექსტის კოპეზის ერთ-ერთი საფუძველთაგანია. ტექსტურის ცალკეული სეგმენტის გაშლა, მათი კოჰერენტულობა დროისა და სივრცის პერსპექტივის ცვალებადობის ფონზე არ არის ტიპობრივი „წინათქმისათვის“, რასაც ავტორი ტექსტის სათაურშივეც დასძენს: „Kleine Chronologie statt eines Vorwortes“ („მცირე ქრონოლოგია წინათქმის მაგიერ“), თუმცა, შემდგომ მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ კონკრეტული დროითა და სივრცით შემოფარგლული ეპიზოდი შემდგომ კრებულში წარმოდგენილია პუბლიცისტიკის სხვადასხვა ტექსტის სახეობებით. კესტნერის „წინათქმა“ კომპოზიციური თავისებურებით უახლოვდება ლიტერატურული ტექსტის სახეობას, მასში დაფიქსირებულია ტექსტის სახეობის „დღიური“ ცალკეული ნიშნები. მას ჯერ კიდევ რთულია ვუწოდოთ ლიტერატურული ტექსტი, თუმცა ავტორი ემოციურად და ხატოვნად გადმოგვცემს პრივატულ, პოლიტიკურ თუ საზოგადო მოვლენებს. ის ნამდვილად ავლენს „დღიურის“ ნიშნებს, რომელსაც თავისი „ევროპული დღიურების“ წინასიტყვაობაში რალფ-რაინერ ვუტენოვი „ლიტერატურის ნედლ მასალას უწოდებდა/Es ist Literatur im Rohzustand“ (Wuthenow 1990:2), ვინაიდან დღიურში ავტორი მხოლოდ კონკრეტულ მომენტებს ინიშნავს და უარს ამბობს ცალკეული დეტალების გაშლაზე, გავრცელაზე, რაც ასევე ნათლად ჩანს ამ „წინათქმა-დღიურში“. რვა სეგმენტისაგან შემდგარ წინათქმაში ცალკეულ სეგმენტში მონიშნულია ზუსტად ის არსებითი დეტალები, რაც შემდგომ კრებულის შემადგენელ პუბლიცისტურ ტექსტებში აქვს გაშლილი ავტორს. პრაქტიკულად, ეს დღიურის ფორმით გაცხადებული ავტორის ევოლუცია და ქრონოლოგია მართლაც წინათქმაა, არა კლასიკური გაგებით.

**I. სეგმენტი:** *März 1945*. Mit einem Handkoffer, einem Rucksack, einer Manuskriptmappe, einer Reiseschreibmaschine und einem Regenschirm fort aus Berlin. ...// **II. სეგმენტი:** *April 1945*. Der Ortsgruppenleiter von Mayrhofen im Zillertal beordert die dreißig Männer der Filmgruppe...// **III. სეგმენტი:** *Mai 1945*. Großdeutschland hat kapitulierte...// **IV. სეგმენტი:** *Juni 1945*. Unsere Bewegungsfreiheit ist sehr beschränkt...// **V. სეგმენტი:** *Juli 1945*. Ich fahre, auf nicht ganz legale Art, in die Nähe von München ...// **VI. სეგმენტი:** *August 1945*. Zwischenstationen am Schliersee... // **VII. სეგმენტი:** *September 1945*. München ist „der“ Treffpunkt derer geworden, die bei Kriegsende nicht in Berlin, sondern in West- oder Süddeutschland steckten... // **VIII. სეგმენტი:** Am 18. Oktober 1945 erschien die erste Nummer der „Neuen Zeitung“...

ცალკეული სეგმენტის რომელი ეპიზოდიც არ უნდა განვიხილოთ, ის უფრო მეტად დღიურში თავმოყრილ ლიტერატურული წანარმოებისათვის განკუთვნილ, ჯერ დაუმუშავებელ მასალას ჰგავს, ვიდრე ზედმინევნით ზუსტად აღნერილ ქრონიკებს და მით უმეტეს პოლიტიკურს. ეს ეპიზოდები საკსეა ადამიანური განცდებით, სუბიექტური შეფასებებითა და ავტორის პირადი ხედვე-

ბით კონკრეტული მოვლენებისადმი, რომელთაც ხშირად სარკაზმი, ირონია დაჲკურავს, რაც კარგად ჩანს ლექსიკისა და სინტაგმების დონეზე, ცალკეულ ფრაზებში, რომლებიც თითქმის ყველა სეგმენტშია ჩადებული.

გამომდინარე იქიდან, რომ ავტორმა საკუთარი პუბლიცისტური ნაშრომები შეკრიბა კრებულში, რომლის სათაურია: „Wir sind so frei“ და ნინათქმის თითოეულ სეგმენტში შეეცადა თავისი განწყობა გადმოეცა ამ ე.წ. „თავისუფლებისადმი“,<sup>2</sup> შეეცადა მკითხველისათვის ეკარნახა ამავე დროს პუბლიკაციების ინტენციის არსი და ყოველივე ეს საკუთარი განცდებისა და ემოციების

<sup>1</sup> (I.: In Innsbruck Luftwarnung. Die Innsbrucker wandern, mit Klappstühlen und Ruhekissen, in die Felshöhle. Wie Tannhäuser in den Hörselberg<sup>1</sup>....//II.: [...] Direktorin des „ausgewichenen“ Lehrerinseminars, das die Hotels bevölkert. [...] Wir kaufen von den Bauern fürs letzte Geld Butter [...] Wir bewundern den Bergfrühling, pflücken Enzian und Trollblumen und treffen die ersten über die Pässe herunterkletternden Soldaten der am Po endgültig geschlagenen deutschen Südarmee. Der Bürgermeister und der Ortsgruppenleiter kommen abends ins Hause, um unsere Wirtin mitzuteilen, dass nun auch ihr letzter Sohn gefallen ist. Sie und ihre Tochter schreien die halbe Nacht. Wie Tiere im brennenden Stall. Dann wirft die Mutter das Hitlerbild in den Vorgarten. Im Morgengrauen holen sie es wieder herein...//III.: Großdeutschland hat kapituliert. Der Ortsgruppenleiter ist über Nacht spurlos verschwunden. Die Verdunkelung wird aufgehoben. Als wir abends durch die erleuchteten Gäßchen gehen, sehen wir hinter den hellen Fenstern die Bäuerinnen an der Nähmaschinen. Sie haben das Hakenkreuz aus den Fahnen herausgetrennt und nähnen weiße Bettücher neben die rote Bahn. Denn Weiß-Rot sind die Farben der österreichischen Freiheitspartei. Auf einem einsamen Waldspaziergang begegnen wir einem riesigen Negersergeanten [...], der [...] bergnügt ‚Grrüb Gott!‘ ruft. [...] IV.: Unsere Bewegungsfreiheit ist sehr beschränkt. Unsere neuen Ausweise gelten nur fünf Kilometer im Umkreise. [...] Der Briefverkehr hat aufgehört. Wir sind isoliert. Die Radioapparate sind umlagert. Was soll werden? [...]//V.: Ich fahre, auf nicht ganz legale Art, in die Nähe von München. Zu fachlichen Besprechungen. Wildes Plänemachen und heftiges Mißtrauen lösen einander ab. [...] Eisehnahn, Post, Telegraf, Telefon – alles ist tot. Gäste und Gastgeber werden nervös. Die Filmgruppe befindet sich in Auflösung. Es ist kein Geld da. Die Firma existiert nicht mehr. [...]//VI.: Zwischenstationen am Schliersee. Keine Verbindung mit Berlin, Leipzig, Dresden, nicht einmal mit München. Es ist, als läge die übrige Welt auf dem Mond. Mein letztes Paar Schuhe ist hin. Ein abgemusterter deutscher Leutnant hilft mir aus. [...] Wir stecken hilflos fest, wie Nägel in einer Wind. [...]//VII.: München ist „der“ Treffpunkt derer geworden, die bei Kriegsende nicht in Berlin, sondern in West- oder Süddeutschland steckten. Mitten auf der Straße fallen sie einander um den Hals...Dass man wie die Zigeuner leben muss, hiner zerbrochenen Fenster, ohne Buch und zweites Hemd, untermährt, angesichts eines Winter ohne Kohle, niemand stört das.// VIII.: Am 18. Oktober 1945 erschien die erste Nummer der „Neuen Zeitung“. Am 1. Januar 1946 erschien bei Rowohlt in Stuttgart das erste Heft des „Pinguin“, unserer Jugendzeitschrift...)

<sup>2</sup> I.S. – fort aus Berlin. [...] mit den erforderlichen Ausweisen. [...] Die Russen stehen bei Küstrin. Die Nationalsozialisten errichten, in voller Uniform und in vollem Ernst, geradzu kindische Straßensperren. – (თემის განვითარება ოპზიციური სინტაგმების ლექსიკურ-სემანტიკური ანტონიმიის საფუძველზე);

II.S. – [...] der Kontakt mit Berlin unterbrochen ist [...] - Dann wirft die Mutter das Hitlerbild in den Vorgarten. Im Morgengrauen holen sie es wieder herein... – (თავისუფლება გულსხმობს სიტყვისა და მოქმედების თავისუფლებას);

III.S. – [...] Großdeutschland hat kapituliert. Der Ortsgruppenleiter ist über Nacht spurlos verschwunden. Die Verdunkelung wird aufgehoben. Als wir abends durch die erleuchteten Gäßchen gehen, sehen wir hinter den hellen Fenstern die Bäuerinnen an der Nähmaschinen. Sie haben das Hakenkreuz aus den Fahnen herausgetrennt und nähnen weiße Bettücher neben die rote Bahn. Denn Weiß-Rot sind die Farben der österreichischen Freiheitspartei. Auf einem einsamen Waldspaziergang begegnen wir einem riesigen Negersergeanten [...], der [...] bergnügt ‚Grrüb Gott!‘ ruft. [...] – (კაპიტულაციასაც ვერ მოაქვს თავისუფლება);

IV.S. – [...] Unsere Bewegungsfreiheit ist sehr beschränkt. Unsere neuen Ausweise gelten nur fünf Kilometer im Umkreise. [...] Der Briefverkehr hat aufgehört. Wir sind isoliert. Die Radioapparate sind umlagert. Was soll werden? [...]

V.S. – [...] Ich fahre, auf nicht ganz legale Art, in die Nähe von München. [...] Eisehnahn, Post, Telegraf, Telefon – alles ist tot. Gäste und Gastgeber werden nervös. Die Filmgruppe befindet sich in Auflösung. Es ist kein Geld da. Die Firma existiert nicht mehr. Der Produktionsleiter fährt heimlich fort, [...]. Er wird unterwegs verhaftet. Monatlang wird man von ihm nichts mehr hören. – (ზისი სიტყვის თავისუფლებაც შეზღუდულია, საუბრობს შენიდბულად);

VI.S. – [...] Keine Verbindung mit Berlin, Leipzig, Dresden, nicht einmal mit München. [...] – (ფსევდოკომუნიკაცია);

VII.S. – [...] München ist ‘der’ Treffpunkt derer geworden, die bei Kriegsende nicht in Berlin, sondern in West- oder Süddeutschland steckten.- (“მიუნხენი” გერმანიის ‘საიდუმლო დედაქალაქი – დაპირისპირება ბერლინთან; დასავლეთ სექტორში თავისუფლება უფრო ადრე იყიდებს ფეხს. აյ ჩამოდის ემიგრირებული გერმანული ინტელიგენცია, რომელიც დიდხანს ველარ დაბრუნდება ბერლინში. ასეთი ბედი ერგო აგრეთვე თავად მწერალს, რომელმაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები გერმანიის დასავლეთში დაასრულა).

ფონზე. ყოველივე ზემოთქმული კიდვ ერთხელ გვიმყარებს დასკვნას, რომ საანალიზო ტექსტი ერთგვარი გარდამავალი ტექსტია ლიტერატურულ და არალიტერატურულ ტექსტის სახეობათა შორის, რომელშიც ჯერ კიდვ შემორჩენილია პირველადი ტექსტის სახეობის „ნინათქმის“ ნიშნები. ამრიგად, პირველ შვიდ სეგმენტში იმპლიციტურად ვითარდება თავისუფლების თემა. თემატური სტრუქტურის განვითარება ქრონიკებში და მით უმეტეს წინასიტყვაობაში ძირითადში ექსპლიციტურად ხდება. რაც შეეხება ტექსტის სახეობას „დღიური“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავტორი თემის განვითარებას ფრაგმენტულად სიტყვა-კოდების, ემოციური ფრაზეოლოგიზმებისა და განცდების მეშვეობით ახორციელებს.

რაც შეეხება ჩვენი საანალიზო ტექსტის გრამატიკულ სტრუქტურას, პირველი შვიდი სეგმენტი თანამენონილია, გრამატიკული სტრუქტურის განსხვავებული სქემა გვეძლევა მერვე სეგმენტში. შედარების მიზნით სანიმუშოდ შესაძლოა დასახელდეს პირველი და მერვე სეგმენტები.

პირველ სეგმენტში აშკარად თვალში საცემია ჭარბი ელიტური წინადადებები, სადაც წარმოდგენილი 14 დასრულებული სინტაქსური ერთეულიდან, 8 (1,2,3,6,7,8,10,12) – ენის ეკონომიის პრინციპითაა აგებული და ის უმეტესწილად დაცლილია სინტაქსური ბირთვისაგან:

(1) – Mit einem Handkoffer, einem Rucksack, einer Manuskriptmappe, einer Reiseschreibmaschine und einem Regenschirm fort aus Berlin. – ამ შემთხვევაში არ ჩანს საბაზისო პერსონა (Basis), რომელსაც უკავშირდება, ერთვის ჩამოთვლილი საგნები (Adjunkt), ასევე არ ჩანს ამ საბაზისო პირის ქმედება, ის იმპლიციტურად მუღავნდება ადგილის გარემოებითა და დირექტიული ზმნიზედით (Direktions-Adverb), ანუ, ეს უკანასკნელი ორი სინტაქსური ელემენტი იღებს თვის თავზე ბირთვის ფუნქციას. რაც შეეხება საბაზისო პირს, რომელსაც უკავშირდება სხვა დანარჩენი სინტაქსური ერთეულები, თავისთავად კატაფორულად ფიქსირდება ტექსტურის ბოლოს, როგორც ტექსტის ავტორი.

(6) – Nachtfahrt über Potsdam, Dessau, Bamberg nach München. – სახელადი ფორმები და გეოგრაფიული სახელები, რომლებიც წრფივად მონაცვლეობს, მგზავრობის ტემპს აჩქარებს, თითქოს რაღაც დაბრკოლებების გადალახვა უხდებათ მგზავრებს მიუნხენამდე, რაც კარგად გამოიხატება ბრუნვამონაცვლე წინდებულით „über“.

მოცემულ სინტაქსურ ერთეულებში პრაქტიკულად არ ფიქსირდება წინადადების ბირთვი. ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის დონეზე არ ვლინდება კოპეზია ანუ, შესაბამისად, არ გვაქვს ექსპლიციტურად გამოხატული ტოპიკალიზაციის საშუალებები, ნაცვლად ამისა, ტექსტის სილომულ სტრუქტურებში ცალკეული ლექსიკური ერთეულების საფუძველზე მარტივია კოპერაციულობის სურათის შევსება. წინამდებარე საანალიზო ტექსტი, მხოლოდ იმიტომ, რომ ცალკეულ სეგმენტს წამდლვარებული აქვს კონკრეტული თარიღი, ვერ იქნება ტექსტის სახეობა „ქრონიკა“, რომლისთვისაც ტიპობრივია ქრონოლოგია, რადგან ტექსტის სახეობა „ქრონიკა“ მკვეთრად აპელირებს კონკრეტულ ფაქტებზე, რომელთა პირუთვნელი, უკომენტარო გადმოცემა არის ავტორის უწინარესი ამოცანა.

ტექსტის ამ სახეობას დამოუკიდებელ კვლევას უძლვნის უვე ვირტი, რომელიც ეყრდნობა რა უ-უნეტის ნაშრომს (Genette 1992), „წინასიტყვაობას“ პარატექსტიად მოიაზრებს. უვე ვირტი და უ-უნეტი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლიტერატურული ტექსტისათვის დართულ „წინასიტყვაობას“ გულისხმობენ და ფიქციონალური ტექსტის პოზიციიდან უ-ვირტი ტექსტის ამ სახეობას ერთგვარ ინსტრუქციად განიხილავს, ვინაიდან ის მიმართულია მკითხველზე, ამ უკანასკნელს კონკრეტულ მითითებას აძლევს კითხვის პროცესის დაწყებამდე (Wirth 2004: 608) და, შესაბამისად, მას ხშირად ეძლევა ნაწარმოების ინტერპრეტაციის გასაღები. უ-ვირტი „წინასიტყვაობის“ თავდაპირველ დანიშნულებად ხედავს გარკვეულწილად ზემოქმედების მოხდენას კითხვის პროცესზე, ანუ ტექსტის ამ სახეობას ევალება მართული გახადოს ძირითადი ტექსტის კითხვის პროცესი, ხოლო შემდგომ მართებულად შედგენილი „წინასიტყვაობა“ განაპირობებს ამ უკანასკნელის მიზანმიმართულ გაგებას. ამრიგად, ტექსტის ამ სახეობას საკმაოდ რთული მისია აკისრია, გამოდინარე იქიდან, რომ ის ძირითადი ტექსტის კითხვის პროცესს უწყობს ხელს. შესაბამისად, ის ხდება ტექსტის საზრისის დეკოდირების საფუძველი.

ტექსტის გაგება თავის მხრივ რთული პროცესია, რა დროსაც, როგორც დ.ბუსე (Busse 1992: 2) აღნიშნავს, „უნდა გადამოწმდეს ტექსტში მოქმედი ლინგვისტური მოდელები და, ტექსტის შესაბამისად, ტექსტუალობის კრიტერიუმები“. დასახელებული პროცედურა ვრცელდება პრაქტიკულად ტექსტის ყველა სახეობაზე, მაგრამ გარკვეული სირთულეები იჩენს თავს ლიტერატურული ტექსტების გაგების შემთხვევაში, სადაც ტექსტის ნარმოქმნისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს ავტორი, რომელმაც შესაძლოა გარკვეული კორექტირება შეიტანოს ტექსტის ფორმირებისას ინტენციიდან გამომდინარე.

ამრიგად, ვინაიდან ტექსტის სახეობა „ნინათქმა“ ძირითადი ტექსტის ნაკითხვის კოდებს იძლევა, საინტერესო აღმოჩნდა ლიტერატურული ტექსტისათვის თანდართული წინასიტყვაობის შესწავლა. სრულიად გამიზნულად შევარჩიეთ ინტერმედიალური ტექსტი, კონკრეტულად კი მიხეილ ენდეს ლაპირინთის პრინციპზე აგებული მოთხოვნების კრებული „სარკე სარკეში“, რომელიც მოიცავს 30 დამოუკიდებელ ვიზიონს, რომელთაც ავტორი თავად ურთავს მამის, სურიალისტი მხატვრის, ედგარ ენდეს ნახატებს.

მ. ენდეს წიგნი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მაკროტექსტი, რომელიც შედგება ცალკეული მიკროტექსტებისაგან, სადაც კოპერენტულობა მიკროტექსტებს შორის სუსტად მუდავნდება. წიგნის ტექსტურა რომ დახურული ლაპირინთია, ამას ადასტურებს პირველ მოთხოვნები შემოსული ხარის ფიგურა, რომელსაც სახელად ჰორი ქვია. პირველი ვიზიონი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ავტორის „ნინათქმად“, სადაც ავტორი, ამ შემთხვევაში სახელად ჰორი, მკითხველს გაანდობს საკუთარი „ჩანახატი-ხილვების“ არს. მისი გმირები ლაპირინთში გამომწყვდეული არსებები არიან, ისევე როგორც ჰორი, რომლის ხმა სხვას არავის ესმის. ეს ფიგურა კიდევ ერთხელ გამოჩნდება დასკვნით ვიზიონში, სადაც ხარი ისევ ოთხ კედელშია გამომწყვდეული. ჰორის სახე-ში გაერთიანებულია მამა და შვილი ენდები. წიგნის დასაწყისში – ეს არის წინასიტყვაობის ავტორი შვილი ენდე (ის ამბობს: ჩემი სახელია ჰორი), ხოლო წიგნის დასასრულ – ცხოვრებასთან ნაჭიდავები – მამა ენდე. მოთხოვნებში დომინანტი ბნელი ფერები შემთხვევითი არ არის. ცნობილია, რომ მამა ენდე თავის შემოქმედებას უწოდებდა „ხილვებს სიბნელიდან“, ვინაიდან ის საკუთარ შემოქმედებას განმარტოებისას ჩაბნელებულ ოთახში, დახურულ სივრცეში ქმნიდა. აქედან გამომდინარე, მოთხოვნების ერთადერთი გმირი, რომელსაც ავტორი სახელობითად მოიხსენებს და რომელშიც მამა-შვილია გაერთიანებული, არის ხარი, რომელიც სრულ სიბნელეში ცხოვრობს. წიგნს თან ერთვის შავ-თეთრ ფერებში შესრულებული ჩანახატები, მათ შორის ბნელ ოთახში მოთავსებული ხარისაც (Träger der Lebenskraft). ამრიგად, ტექსტი და სურათი ერთმანეთშია არეკლილი ისე, როგორც მამისა და შვილის შემოქმედება, რაც კარგად ჩანს დანარჩენ მიკროტექსტებშიც.

მიხეილ ენდე საკუთარი შემოქმედების შეფასებისას აღნიშნავდა: „მეც კი მხოლოდ ზმანება ვარ“. ავტორის სიტყვები ვიზიონების ლაპირინთის წინათქმაშივე აისახა. ავტორი მკითხველს მიმართავს და თხრობას იწყებს პირველი პირის მთხოვნებელი, ის მკითხველს ამზადებს დანარჩენი ვიზიონების წასაკითხად, აქცენტირებულია პირველი პირის ნაცვალსახელი „Ich kann nicht [...], ich weiß nicht [...]...“, პირველი პირის ნაცვალსახელს ანაცვლებს ამავე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მარტივ წინადაღებაში „Mein Name ist Hor...“ და ა.შ. „Ich bitte dich, Anders kann ich mich [...], meine Bitte [...], ich brauche deine Stimme, wo meine versagt [...]..“ ავტორი პირველ პირს ანაცვლებს ჰორით და მოგვითხოვს საკუთარ თავზე, მთლიან მიკროტექსტში კონექტორის ფუნქციას კისრულობს მარტივი სინტაგმა: „Mein Name ist Hor.../Mein Name ist Hor.../Ich nenne mich Hor.../Ich heiße Hor.../Ich – Hor.../Mein.../Name ist Hor.../“, შესაბამისი სემანტიკური მოდიფიკაციით. მთელი ტექსტი დაქსელილია ექსპლიციტური გამეორებით, რაც მიიღწევა ლექსიკური სინონიმის მეშვეობით, რიგ შემთხვევაში ელიფსური ფორმითაც. ამრიგად, ავტორი არის ხარი სახელად ჰორი. ეს არის ერთადერთი საკუთარი სახელი, რაც მოთხოვნების კრებულში გვხვდება.

ჰორი, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენი ვიზიონის აქტორები, მუდმივად მოძრაობს დახურულ ლაპირინთში, მარტოა ბნელ სივრცეში, სადაც დროის ათვლა არ ხდება. პირველ ვიზიონში

ჰორი ავტორის ხმაა, რაც ტექსტურის პირველივე სინტაგმებში იკითხება: „Verzeih mir, ich kann nicht lauter sprechen. Ich weiß nicht, wann du mich hören wirst, du, zu dem ich rede...[...] Ich weiß, dass ich viel verlangen, aber du wirst sogar den Atem anhalten müssen...“. წინასიტყვაობის დასასრულ, შესაბამისად, პირველი ვიზიონის საფინალო სეგმენტში, ავტორი იძლევა მთლიანად ლაბირინთის გასაღებს, როცა სვამს კითხვას: „Aber wer ist das: Ich – Hor? Bin ich den nur einer? Oder bin ich zwei und habe die Erlebniss jenes zweiten? Bin ich viele? Und alle die anderen, die ich sind, leben dort draußen“ და მკითხველისთვის ასევე გაცხადებულია სათაურში ჩადებული პრესიგნალი, რაც იძლევა კრებულის განმარტებასაც: მამის ანარეკლი შვილის შემოქმედებით ლაბირინთში. საკმარისია მკითხველი გაეცნოს პირველ ვიზიონს, რასაც შესაძლოა ავტორის წინათქმაც ვუწოდოთ, რომ მისთვის მარტივდება ყველა დანარჩენი ხილვების ინტერპრეტაცია, საზრისის წვდომა, შესაბამისად, ეს მიკროტექსტიც ორიენტირებულია ძირითადი ტექსტის გაგებაზე. მიკროტექსტს ერთვის ასევე სურათი, რომელიც დამატებითი კოდია კრებულის სათაურში ჩადებული პრესიგნალის განმარტებისათვის, ფაქტიურად სურათის ზუსტი ასლია ვიზიონის ჰორი გამოკეტილი ბნელ ოთახში.

ნიშანდობლივია, რომ ტექსტის ლინგვისტურმა ანალიზმა თვალნათლივ აჩვენა, რომ ტექსტის კოპერენტულობის საფუძველია ტექსტის სახეობა „წინათქმისათვის“ ნიშანდობლივი დროის ფორმების ზუსტი მონაცევლეობა, კერძოდ კი ძირითადი წამყვანი დროის ფორმა „აწმყო“ თხრობით კილოში, რომელიც მიკროტექსტის ბოლოს ჩანაცვლებულია მომავლის დროის ფორმით, სადაც ჰორი შვილი ცდილობს „ნაბიჯ-ნაბიჯ, სურათ-სურათ“ მიუახლოვდეს ჰორს მამას, რომლის ანარეკლადაც თავს მიიჩნევს, ვინაიდან თავის საუბრებში იორგ კირხბაუმთან მწერალი მიხეილ ენდე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი ლექსები შექმნილია მამის ნახატების მიხედვით. ის ცდილობდა ყვლაფერი ის, რაც სურათზე იყო, სიტყვებით გადმოეცა. მწერალი შეეცადა თემები, რომლის მოტივებიც მამის ნახატებში იყო, გაეხმოვანებინა. თუმცა, ის აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ცდილობდა ყველაფერი ეს სხვაგვარად გადმოეცა. მიხეილ ენდე თვლიდა, რომ ისინი ერთმანეთს ავსებდნენ და მოტივირებული იყვნენ ერთმანეთის შემოქმედებით. ტექსტურის ბოლოს მომავლის დროის ფორმაში ჰორი უკვე მრავლობითი რიცხვის პირველ პირში განაგრძობს მსჯელობას: „Was werden wir denn sein?“. როგორც მოსალოდნელი იყო, ტექსტის ბოლოს გვაქვს ავტორის ვინაობა, რომელიც გადმოცემულია ტექსტის კოპერენტულობის საბაზისო სინტაგმით: „Mein Name ist Hor“.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა სამი სხვადასხვა ტექსტი, რომელთაგან ერთი არალიტერატურული ტექსტების კლასს, ხოლო მეორე – ლიტერატურულ ტექსტებს მიეკუთვნება; რაც შეეხება მესამეს, ის ამ ორის ზღვარგამყოფზეა თავისი შინაარსით. სამივე ტექსტი მეტნაკლებად ატარებს ერთი კონკრეტული ტექსტის სახეობის „წინასიტყვაობის“ არსებით ნიშნებს, განსაკუთრებით მკვეთრია მათი მსგავსება ტექსტურის კომპოზიციის განხილვისას. ტექსტის ამ სახეობისათვის ნიშანდობლივ საერთო ნიშნებს ყველაზე ნაკლებად ინარჩუნებს ლიტერატურული ტექსტის წინასიტყვაობა. ამის საპირისპიროდ მასში ყველაზე მრავალრიცხოვანია ავტორის ინტენციის ამსახველი კოდირებული სიგნალები, რაც ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატული იყო არა მარტო ვერბალური, არამედ ვიზუალური კოდების მეშვეობით. მკვეთრი სხვაობა მოგვცა სამივე ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის ანალიზმა. მათგან საბაზისო ტექსტის სახეობის გრამატიკული სტრუქტურის ნიშნები ყველაზე მეტად შენარჩუნებულია დარგობრივი ტექსტისათვის წამდლვარებულ წინათქმაში, ხოლო პუბლიცისტური და ლიტერატურული ტექსტის გრამატიკული სტრუქტურა პრაქტიკულად არანაირ სიახლოვეს არ ავლენს დარგობრივი ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურასთან. ტექსტებში, რომლებიც ლიტერატურული ტექსტის კლასშია მოყოლილი, დომინანტია ნარატიული ფუნქცია, სუსტია დესკრიფიული ფუნქციის ნიშნები, განსხვავებით დარგობრივი ტექსტისგან, სადაც წამყვან ფუნქციად დესკრიფიული ფუნქცია ფიქსირდება. ამრიგად, საანალიზო ტექსტების კვეთა მსგავსების თვალსაზრისით ხდება ტექსტურის კომპოზიციის დონეზე. სამივე ტექსტის ავტორი ცდილობს პარატექსტის მეშვეობით მკითხველი

მოამზადოს ძირითადი ტექსტის კითხვისთვის, ტექსტში ჩატოვებული კონკრეტული სიგნალების მეშვეობით, რაც ყველაზე მეტად ნიშანდობლივია ლიტერატურული ტექსტებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Busse, Dietrich. *Textkohärenz und Textverstehen*. Textsemantik und Kriterien für Textualität. 1992 unter:  
[http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/germ1/lehrstuhl-fuer-germanistische-sprachwissenschaft/  
publikationen/unpublizierte-schriften/](http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/germ1/lehrstuhl-fuer-germanistische-sprachwissenschaft/publikationen/unpublizierte-schriften/) [veröffent.: Busse-UP-1992, Stand: 07.04.2013]
- Duden, Konrad. *Deutsches Universalwörterbuch*. 5.Aufl. Mannheim: Duden [CD-ROM]. 2003
- Ende, Michael. *Der Spiegel im Spiegel*. Ein Labyrinth. München: dtv; 2006
- Genette, Gérard. *Paratexte*. Das Buch vom Beiwerk des Buches. Frankfurt/M: Campus-Verlag. 1992. S. 10. Bei seiner Bestimmung des Paratextes als »unbestimmte Zone« rekurriert Genette auf eine Formulierung von Antoine Compagnon, wonach der Paratext eine »zone intertextuelle entre le hors-texte et le texte« ist (Vgl. Compagnon, Antoine: *La Seconde Main*. Paris 1979, S.328).
- Kästner, Erich. Wir sind so frei. Chanson, Kabarett, kleine Prosa. B.II. München.Wien: Carl Hansen. 1998
- Linke, Angelika, Markus Nussbaumer, and Paul R. Portmann. *Studienbuch Linguistik*. 2. Aufl., Tübingen: Niemeyer. 1994
- Meier, Jörg. *Zwischen Textphilologie, Kulturwissenschaft und 'neuen Medien'*. In: U.Fix a.al. (Hrsg.) *Brauchen wir einen neuen Textbegriff?*. Antworten auf eine Preisfrage. Gesellschaft für Angewandte Linguistik. B40. Frankfurt/M: Lang. 2002, SS. 83-93;
- Timm, Christian. *Das Vorwort – „eine Textsorte in Relation“*. In: H.Kalverkämper, K.-D.Baumann *Fachliche Textsorten*. Komponenten – Relationen – Strategien. Tübingen:Narr. 1996, SS.458-468;
- Wirth, Uwe. *Das Vorwort als performative, paratextuelle und parergonale Rahmung*. In: Fohrmann, Jürgen [Hrsg.] *Rhetorik*. Figuration und Performanz. Stuttgart: Metzler. 2004.
- Wuthenow, Ralph-Rainer. *Europäische Tagebücher*. Eigenart – Formen – Entwicklung. Darmstadt: Wiss. Buchges. 1990.

**NINO KIMERIDZE**

### ON LINGUISTIC CHARACTERISTICS OF THE SAME TEXT PRESENTED IN THE FIELD OF FICTION AS WELL AS NON-FICTION

#### Summary

Research of text varieties gains importance soon after text linguistics establishes itself as a separate linguistic discipline. This is primarily related to the fact that one of the essential parameters among different types of knowledge while processing a text is the knowledge about global structures of a text – therefore knowledge on text varieties. This type of knowledge covers and shapes the other varieties of knowledge on: language, encyclopaedia/field, interactive and illocution. Purposeful combination of all these enables the text formation.

Text variety researches gain essential importance in the German language domain in the 70's of the past century (1972 colloquium on Gülich E./ Raible W., Text types research, 1986 scientific conference of German Language Institute (Kallmayer W.) creating the foundation for establishing the linguistics of text types as a separate research field.

Despite the fact that text types are of a more or less conventional character as part of the language activity process, historically developed, it is branded by specific characteristics for particular groups, is presented as the artefact of culture with its signals and markers and it may become the subject of change even as part of one language.

Separate text types in the field of fiction and nonfiction have long been identified as typical text varieties of this field, in particular. However, in recent period global systems of a specific text may be named, the reflection of which may appear in absolutely atypical text varieties.

Raising an issue became interesting since the text type – introduction, generally found in the publishing field, was asserted with an altered form in fiction ( Ende M. ‘The Mirror in the Mirror’) and publicist (Kestner E.) as one of the micro texts.

With the purpose of creating a complete picture while researching the issue, we have included an introduction of a scientific-academic issue that provides the most precise text parameters characteristic of this type of text.

The text corps of the present work is fully based on the German language material. We find it rather interesting to study different versions of ‘introductions’ in order to find out how intensive the text varieties of a specific text type are in the German language space – the reasons for differences in case of the analyzed texts and linguistic parameters kept in the versions selected for analysis.

The study has shown that linguistic differences of textures are caused primarily by the construct of field texts as part of fiction text varieties.

## ნინო კერესელიძე

### საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში 1991-2013 ლეგაში

საქართველოსა და რუსეთს ურთიერთობათა ხანგრძლივი ისტორია აკავშირებთ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მსვლელობაზე გავლენა იქნია საქართველოს ყოფნამ რუსეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევის წინაშე დადგა. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია გააჩნდეს რუსეთისადმი განვითარებული საგარეო პოლიტიკა. სტატია იკვლევს, თუ რამდენად შეძლო საქართველომ თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის შემუშავება რუსეთთან მიმართებით დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. სტატიის მიზანია დაადგინოს, რომ საქართველომ ვერ შეძლო რუსეთისადმი თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც განპირობებული იყო საქართველოში შიდა დაპირისპირებით, პოლიტიკური კონფლიქტებითა და საქართველოს მიმართ რუსეთის წინააღმდეგობრივი პოლიტიკით.\*

საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთისადმი საერთაშორისო ურთიერთობების თავდასხმითი რეალიზმის თეორიით აიხსნება, რაზედაც ნაშრომის პირველ ნაწილშია საუბარი. სტატიის მეორე ნაწილში მიმოხილულია საქართველოს პოლიტიკური ვითარება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მესამე ნაწილში გამოკვლეულია საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების მიზანი, რაც საბჭოთა კონსტიტუციებში და ნაციონალიზმის გაღვივებაში მდგომარეობს. მომდევნო ნაწილში გამოყოფილია საქართველოს რუსეთისადმი საგარეო პოლიტიკის წარმოების ორი ეტაპი დამოუკიდებლობის აღდგენიდან შიდაპოლიტიკური დაბაბულობის და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის კონფლიქტებში რუსეთის შუამავლობის ფონზე. მეხუთე ნაწილში განხილულია რეგიონში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობა, რაც გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. სტატიის ბოლო ნაწილი ეძღვნება საქართველოს საგარეო პოლიტიკას ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხი, როგორც სამეცნიერო პრობლემა, ერთობ რთულია. ინტერესს იწვევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების არაერთგვაროვნება და აქტუალურობა. აღნიშნულ პრობლემაზე მსოფლიოში ბოლო დროს ბევრი იწერება. თემის ცალკეულ ასპექტთა ირგვლივ არსებობს არაერთი ნაშრომი და ექსპერტთა შეფასება (ჩერვონნაია 1993; ნოდია 1995; ზდრავომისლოვი 1997; სკაკოვი 2002; ლუზიანინი 2007; გამისონია და პერტაია 2009; ჯოჯუა 2010). თუმცა მნირია სამეცნიერო გამოკვლევები უშუალოდ რუსეთისადმი საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. კვლევის ამოცანაა, შეავსოს არსებული ნაკლოვანება. წინამდებარე კვლევა ჩატარდა პოზიტივისტური მეთოდოლოგიური მიდგომის, მაგალითის კვლევის ხერხის და თვისებრივი კვლევითი მეთოდების გამოყენებით. სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურის მიმოხილვას მოსდევს შინაარსობრივი და დისკურსული ანალიზი. რუსეთთან ჯეროვან ურთიერთობებს საქართველოსთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამჟამად საჭიროა ჩამოყალიბდეს და დამკვიდრდეს საქართველოს თანმიმდევრული პოლიტიკა რუსეთისადმი.

\* ავტორი მადლობას უხდის ოთარ ჯანელიძეს, დავით მაცაბერიძეს, გიორგი მურლვაშვილს, ნინო ფაცაციას, ჯენა მარი საპიანოს და ანონიმურ რეცენზენტს სტატიაზე მუშაობის პროცესში მოწოდებული შენიშვნებისა და წინადადებებისათვის.

## თეორიული ხედვა

რუსეთისადმი საქართველოს დამოკიდებულების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არ-სებობს. მაღაზ მაცაბერიძის (2007, 2008) აზრით, რუსეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობები წინააღმდეგობრიობით ხასიათდება და მათ მოსაწესრიგებლად საჭიროა სირთულეთა მიზეზების შესწავლა. გივი ბოლოთაშვილი (2003) აღნიშნავს, რომ ახლად შექმნილმა ქართულმა სახელმწიფომ კონფლიქტების, შიდასახელისუფლო დაპირისპირებისა და ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში გონივრული საგარეო პოლიტიკის წარმართვა ვერ შეძლო. სვანტე კორნელს (2001) მიაჩინა, რომ საქართველოს მიერ განონასწორებული პოლიტიკის განხორციელება მეზობელი ქვეყნის მუდმივი ზენოლის პირობებში შეუძლებელი იყო. ასეთივე აზრის არის ჯონ ლეფინგული (1994), რომელიც მიუთითებს, რომ რუსეთის მხრიდან ე.წ. „ახლო საზღვარგარეთის“ საქმეებში ჩარევას განაპირობებს მისი სურვილი შეინარჩუნოს ევრაზიის რეგიონში ძლიერება და განამტკიცოს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირები. რუსეთი დაინტერესებულია კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის რესურსებით და ასევე ცდილობს შეაჩეროს თურქეთის გაძლიერება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კავკასიის რეგიონში (ლეფინგული 1994: 77). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ საგარეო პოლიტიკა და-სავლეთ სახელმწიფოებისკენ, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისკენ მიმართა. 1990-იანი წლების შემდეგ აშშ უმსხვილეს ფინანსურ დახმარებას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოს უწევდა (კინგი 2001, 2004). ადრიან ჰარის (2007) მიხედვით, სამხრეთ კავკასიაში უკვე გადაიკვეთება რუსეთის, აშშ-ის და ევროკავშირის ქვეყნების ინტერესები.

თავდასხმითი რეალიზმი, თეორიული ხედვა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, ჯეროვნად ხსნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მიმდინარეობას. თავდასხმითი რეალიზმი აღმოცენდა რეალიზმის სკოლიდან და განავითარა ჯონ მერშაიმერმა (2001). ამ ხედვის ამოსავალი დებულების მიხედვით, საერთაშორისო ანარქიულ სისტემაში მყოფი სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნავენ და ძალაუფლებისკენ ისწრაფიან (მორგენთაუ 1978). სახელმწიფოები მუდამ გაძლიერებას ცდილობენ და ეს სურვილი თავად საერთაშორისო სისტემაში ძევს (მერშაიმერი 2001). სახელმწიფოებს თავდასხმითი სახის ქცევა ახასიათებთ, რადგან მათ მნირი სამხედრო რესურსები აქვთ და თვითდახმარების ვითარებაში სხვა სახელმწიფოს განზრახვებს არ უწყიან. სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი მოქმედი მხარეები, განსაზღვრავენ საერთაშორისო პოლიტიკას, ამიტომ მცირდება საერთაშორისო ინსტიტუტების მნიშვნელობა (მერშაიმერი 2001). თავდასხმითი რეალიზმი ცხადყოფს ძალის პრიმატს საერთაშორისო სისტემაში. ძალა განისაზღვრება სამხედრო სიძლიერით და სახელმწიფოს ძლიერებას განაპირობებს (ძიდ: 56). რუსეთი ძლიერების გაზრდაზე ზრუნავს და რეგიონში უშიშროებასთან დაკავშირებული ინტერესები ამოძრავებს (ლინჩი 2001). 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის ომის დროს რუსეთის შედარებითმა სამხედრო უპირატესობამ განაპირობა რუსეთის სამხედრო მოქმედებები საქართველოს მიმართ. საქართველო ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე დადგა და გამოვლინდა მისთვის ტერიტორიის დაცვის მნიშვნელობა. წინამდებარე მაგალითიდან ჩანს, რომ თავდასხმითი რეალიზმი ხსნის საქართველოს რუსეთისადმი საგარეო პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობებში.

## საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის მიჯნაზე

საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში საქართველოს ხელისუფლება საგარეო პოლიტიკის გააზრებას შეუდგა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართული პოლიტიკური ელიტა რუსეთისგან გამიჯვნას და ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარებას ცდილობს.

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები სათავეს იღებს XVI საუკუნიდან. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქართული პოლიტიკური და სოციალური ელიტა დასავლური დეებს ძირითადად რუსეთის საშუალებით ეზიარებოდა (ჩარკვიანი 2008). რუსეთი ძლიერ

თმორნმუნე მეზობელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს მფარველობას პირდებოდა და ამავდროულად ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში. საუკუნოვან კავშირს ეყრდნობა ქართული და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა. რუსეთის კულტურის განვითარებაში წვლილი შეიტანეს ქართული განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთი დასავლეთს ჩამოშორდა და საქართველო რუსეთს ევროპის ნაწილად ვეღარ აღიქვამდა. 1918-1921 წლებში ხანმოკლე დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1921 წელს რუსეთის არმიის ანექსიის შედეგად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს (სსრ) შეუერთდა.

1980-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში კრიზისი დაიწყო. 1985 წელს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობაზე მოსულმა მიხეილ გორბაჩოვმა სცადა ე.წ. „პერესტროიკის“ პოლიტიკით სოციალიზმის გარდაქმნა. 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა დაიწყო. კომუნისტური რეფიმები დაეცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის დაშლა გარდაუვალი გახდა. მოსკოვი ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის სურვილს აღედგინა დამოუკიდებლობა. პროტესტის ჩასახშობად კრემლმა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია. 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს: ლიტვამ, საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებმა, ხოლო ზოგი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა დამოუკიდებელი. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟის ტვერში, ბელარუსის რესპუბლიკის, რუსეთის და უკრაინის მიერ ხელმოწერილი შეთანხმებით (1991) საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა და დაარსდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ). საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციამ უწინდებური პოლიტიკა განაგრძო საქართველოს მიმართ.

საქართველო სახელმწიფოს შენების სიძნელეთა წინაშე დადგა. საბჭოთა კავშირის სამეურნეო-ეკონომიკური ქსელის მოშლამ ქვეყანაში ეკონომიკური სირთულეები გამოიწვია. ამ პერიოდში ხელისუფლების მიერ საგარეო პრიორიტეტების გააზრება ხდება. ქართული პოლიტიკური ელიტა დასავლეთის ქვეყნებთან დაახლოებას ცდილობს. ევროპული ლირებულებების გაზიარების მხრივ საგულისხმო იყო 1991 წელს მიღებული დადგენილება „ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ“. ევროპისკენ მიმართულ პოლიტიკას რუსეთი არაკეთილგანწყობით შეხვდა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეუქმნა საქართველოს ისტორიულ ნაწილებში – ცხინვალის რეგიონსა (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – სეპარატიზმის ხელშეწყობით. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო.

### კონფლიქტების მიზეზები: საბჭოთა კონსტიტუცია და ნაციონალიზმი

საბჭოთა კავშირის დაშლის დროს ცხინვალსა და აფხაზეთში კონფლიქტური მდგომარეობა შეიქმნა. კონფლიქტები გამოიწვია სეპარატისტულმა მოთხოვნებმა, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციებში რეგიონებისთვის მინიჭებული სტატუსის შედეგად გაჩნდა. რუსეთი მხარს უჭერდა სეპარატისტულ მოძრაობას. საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ნაციონალისტური განცხადებებით ეთნიკური შუღლი გააღვივა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას ქართველი ხალხი შეენინააღმდეგა. დაპირისპირებას მოყვა ომები 1989-1991 წლებში ცხინვალის რეგიონში და 1992-1993 წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რის შედეგადაც ორივე რეგიონი საქართველოს დეფაქტო გამოეყო.

### არჩევნები

1990 წელს საქართველოში საპარლამენტო – საქართველოს უზენაესი საბჭოს – არჩევნები ჩატარდა და გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ეროვნული მოძრაობის ლიდერის – ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. 1991 წლის აპრილში უზენაესმა

საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია ზეიად გამსახურდია, ხოლო 26 მაისს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამსახურდია გახდა პრეზიდენტი. 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის უდიდეს ნაწილზე, ჩატარდა საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის (1918) საფუძველზე (საქ. პარლამენტი 2011: ოქმი 59). რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 88%-მა. შეკითხვას საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 3,3 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა უპასუხა და მონაწილეთა 98%-მა დადგებითი პასუხი გასცა. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტულმა ორგანიზაციებმა რეფერენდუმს ბორკოტი გამოუცხადეს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მათ შორის როგორც ეთნიკურმა ქართველებმა, ისე აფხაზებმა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 61,27%-მა), რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო. აფხაზეთის მოსახლეობამ ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა და ამ ხმათა რაოდენობამ 97,73% შეადგინა (Iბიდ: ოქმი 59). 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991) მიღებით აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა. აღნიშნული არჩევნების შედეგები ცხადყოფს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა მომხრე იყო საქართველოს მთლიანობის.

### კონსტიტუციური დებატები და გამოყოფა

ეთნიკური დაპირისპირებისთვის ნიადაგი მომზადდა საბჭოთა პერიოდში რეგიონებისთვის ავტონომიის მინიჭებით. საბჭოთა კონსტიტუციების სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობამ და ქართული ეროვნული ხელისუფლების მხრიდან ნაციონალიზმის გაღვივებამ უმცირესობათა მხრიდან ძალისმიერი მეთოდებით დამოუკიდებლობის მოთხოვნა წარმოშვა (მაცაპერიძე 2010). სეცესიური მოძრაობა პოლიტიკური ელიტების მიერ იყო ნაკარნახევი (კორნელი 2001). მოსაზღვრე მესამე სახელმწიფოს მხარდაჭერის პირობებში სეპარატისტმა უმცირესობებმა ცენტრთან ვერ შეძლეს მოლაპარაკება (ჯენე 2007).

ცხინვალის და აფხაზეთის გამოყოფის მოთხოვნები არაკონსტიტუციური იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში გამოცხადებულია ავტონომიური მმართველობა „აფხაზეთში (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოში (ბათომის მხარე) და ზაქათალაში (ზაქათალას ოლქი)“ (კონსტ. 1921: მუხ. 107). 1924, 1936 და 1977 წლების სსრკ კონსტიტუციების თანახმად, ორივე რეგიონი საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (საქართველოს სსრ) 1921 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკა იყო.<sup>1</sup> 1977 წლის კონსტიტუციის 76 მუხლის მიხედვით სუვერენიტეტი მხოლოდ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკას გააჩნდა, ხოლო 82 და 86 მუხლების მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკა და ავტონომიური ოლქი მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ (სსრკ კონსტ. 1977: მუხ. 76-82). ამასთანავე, რესპუბლიკის სტატუსზე ქვემდგომი იყო ავტონომიური სტატუსი. აღნიშნული დოკუმენტების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ რეგიონებს სუვერენიტეტის კონსტიტუციური მოთხოვნის უფლება არ გააჩნდათ.

1990 წლის დეკემბერში ოსმა სეპარატისტებმა ჩატარეს ე.ნ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნები ენინააღმდეგებოდა საქართველოს რესპუბ-

<sup>1</sup> 1924 წლის სსრკ კონსტიტუციაში ნახსენებია აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონის (ოლქის) არსებობა (სსრკ კონსტ. 1924: მუხ. 15). 1936 წლის სსრკ კონსტიტუციის 25 მუხლი განმარტავდა, რომ: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მოიცავს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“ (სსრკ კონსტ. 1936: მუხ. 25).

ლიკის კონსტიტუციის, რაც აღინიშნა 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის კანონში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. სამხრეთ ოსეთს ავტონომიური ოლქის სტატუსი 1922 წელს მიენიჭა, როდესაც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის 20 დეკემბრით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ ცვლილებები შევიდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 28 მარტის დეკრეტში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაარსების შესახებ“. ოლქის ადმინისტრაციული მოწყობა განისაზღვრა 1980 წლის 12 ნოემბრის საქართველოს სსრ კანონში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“. უზენაესმა საბჭომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის (მუხ. 104) თანახმად, ძალადაკარგულად ჩათვალა ორივე დეკრეტი და საქართველოს სსრ კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“. უზენაესმა საბჭომ ასევე ბათილად ცნო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის არჩევნები. 1989 წლის აგვისტოს გამოიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რაც ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ მიერ ცხინვალში პირველი მიტინგის გამართვის საბაბად იქცა (საქ. პარლამენტი 2013).

1989 წლის 18 მარტს აფხაზეთის სოფელ ლიხნში შემდგარ კრებაზე საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სეპარატისტულმა შემადგენლობამ წერილობით მიმართა სკეპ ცენტრალურ კომიტეტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის სსრ სტატუსის მინიჭების შესახებ. ეს მოთხოვნა ემყარებოდა მოსაზრებას, რომ აფხაზეთი ამ სტატუსით სარგებლობდა 1925-1931 წლებში და აფხაზეთის სსრ-ს საქართველოს სსრ-სთან ე.წ. „ერთიანობის ხელშეკრულება“ აკავშირებდა, რითაც 1922 წლიდან გაერთიანებული იყო სსრკ-ში (ასსრ კონსტ. 1925: მუხ. 3). აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის დაპირისპირება ქალაქ სოხუმში 1989 წლის ივლისში შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა.

პრეზიდენტ გამსახურდიას ეროვნული იდეოლოგიური საფუძველი ნაციონალისტურ ელემენტებს შეიცავდა, რასაც მოწმობს დევიზი „საქართველო ქართველებისთვის“. ეროვნულ უმცირესობათა საკითხი მწვავედ დადგა და გამძაფრდა ეთნოპოლიტიკური შუღლი. აფხაზი და ოსი ეთნიკური უმცირესობებისთვის ავტონომიის შექმნამ გამოიწვია უმცირესობების მხრიდან გამყოფის სურვილი. ეს სურვილი გამძაფრა ეროვნული ხელისუფლების მიერ ავტონომიის გაუქმებამ. სეპარატისტების მოთხოვნა არალეგიტიმური და არაკონსტიტუციური იყო, რამაც საქართველოს დანაწევრება გამოიწვია.

### საქართველოს მიერ რუსეთის მიმართ განხორციელებული საგარეო პოლიტიკის ეტაპები

რუსეთისადმი საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და ნარმართვაში ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას (1995-2003) ორი წინააღმდეგობრივი სახის ეტაპი გამოიყოფა. რუსეთის მხრიდან სეპარატიზმის მხარდაჭერის მიუხედავად, ქართული პოლიტიკური ელიტა 1992 წლიდან 1995 წლამდე კონფლიქტებში რუსეთის შეუამავლობას ემხრობოდა; 1996 წლიდან 2003 წლამდე კი შეინიშნება საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის დასავლეთისკენ შეცვლა.

### შიდაპოლიტიკური ვითარება

1991-1992 წლებში საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარება დაიძაბა. პრეზიდენტის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება მოხდა. პრეზიდენტს განუდგა უახლოესი გარემოცვაც. 1991 წლის დეკემბერში ამბოხებულ ეროვნულ გვარდიასა და პრეზიდენტის დაცვას შორის სამხედრო მოქმედებები თბილისის ომში გადაიზარდა (ანჩაბაძე 2005). 1992 წელს შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას, ეროვნული გვარდიის სარდალ თენგიზ კიტოვანის და სამხედრო დაჯგუფება „მხედრობინის“ მეთაურ ჯაბა

იოსელიანის შემადგენლობით. ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოეწყო, რომელიც 1992 წლის იანვარში ხელისუფლების დამხობითა და პრეზიდენტ გამსახურდის ჩეჩენეთის რესპუბლიკაში წასვლით დასრულდა. ძალაუფლება ხელში სამხედრო საბჭომ აიღო. ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი დემონსტრაციები გაძლიერდა. ამავე წლის მარტში საქართველოში მოიწვიეს ერთ დროს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. სამხედრო საბჭო გარდაიქმნა სახელმწიფო საბჭოდ და მის თავმჯდომარედ შევარდნაძე დაინიშნა. მან წესრიგის დამყარება დაიწყო, თუმცა აჭარის რეგიონი, კოდორისა და პანკისის ხეობები ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ დაექცემდებარნენ. შიდაპოლიტიკური ვითარება აისახა საგარეო პოლიტიკაზე, თუმცა შევარდნაძის ავტორიტეტმა მსოფლიო მასშტაბით გავლენა იქონია ლეგიტიმურობას მოკლებული რეჟიმის აღიარებაზე. ევროგაერთიანების ქვეყნებიდან პირველად 1992 წელს გერმანიამ მოახდინა საქართველოს საერთაშორისო იურიდიული აღიარება (გერმანიის საგარეო... 2012).

### რუსეთის შუამავლობა ცხინვალის კონფლიქტში

ცხინვალში 1991 წლის მარტში სამხედრო დაპირისპირება დაიწყო ეროვნულ გვარდიასა და ოს შეიარაღებულ ფორმირებებს შორის. 1991 წლის მარტში ერთმანეთს შეხვდნენ პრეზიდენტი გამსახურდია და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი დაბა ყაზბეგში (ოქმი 1991), სადაც შეთანხმდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე უკანონო ფორმირებების განიარაღების შესახებ. 1992 წლის ივნისში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა შევარდნაძემ და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა რუსეთის ქალაქ სოჭში, დაგომისის რაიონში, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის მონესრიგების პრინციპების შესახებ (1992), რითაც დასრულდა საომარი მოქმედებები. დოკუმენტის ხელმომწერი მხარეა რუსეთის ფედერაცია, ხოლო თავად ოსური მხარე ხელშეკრულებაში არ არის ნახსენები. დოკუმენტის შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთი სინამდვილეში კონფლიქტის მონაწილე მხარე იყო. დაგომისის ხელშეკრულებით შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია (შსკ) და მშვიდობის დამყარების შერეული სამშვიდობო ძალები (შსძ). თავიდან შსკ წარმოდგენილი იყო საქართველოს, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის სამხრივი შემადგენლობით, მოგვიანებით კომისიას სამხრეთ ოსური მხარეც შეუერთდა. ამ ხელშეკრულებით რუსეთის სამხედრო შენაერთებს მიენიჭათ სამშვიდობო სტატუსი. 1993 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) მისიასა და საქართველოს და სამხრეთ ოსეთს შორის მიღწეული ურთიერთგაგების მემორანდუმების საფუძველზე ეუთო კონფლიქტის მონიტორინგს შეუდგა (ეუთო სტატ. 2012).

### რუსეთის შუამავლობა აფხაზეთის კონფლიქტში

1990 წლის დეკემბერში აფხაზეთის ასარ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბლოკ „სოუზის“ ლიდერი ვლადისლავ არძინბა. 1991-1992 წლებში უმაღლესმა საბჭომ დაიწყო ანტიკონსტიტუციური სამართლებლივი აქტების მიღება. საკუთრივ, 1992 წლის ივლისში საბჭომ გადაწყვიტა შენებულება აფხაზეთის ასარ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღედგინა აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია (საქ. პარლამენტი 2013ა). სუვერენიტეტის დაცვის მიზნით, 1992 წლის აგვისტოში საქართველოს შინაგანი ჯარი აფხაზეთისკენ გადაადგილდა. ჯარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური გვარდიის დაპირისპირებით საომარი მოქმედები დაიწყო. სეპარატისტებს შეუერთდნენ რუსეთის ხელშეწყობით შექმნილი კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის მებრძოლები (აფხაზეთის ა/რ მთავრობა 2013).

1992 წლის სექტემბერში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის – შევარდნაძისა და პრეზიდენტ ელცინის მიერ ხელმოწერილი მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის (1992) მიხედვით, შეთანხმდა ცეცხლის შეწყვეტა და შეიქმნა კონტროლისა და ინსპექციის კომისია საქარ-

თველოს, აფხაზეთისა და რუსეთის შემადგენლობით. რუსეთის კონფლიქტის მხარეები მონაწილეობის მიუხედავად, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, ცხინვალის კონფლიქტის მსგავსად, აფხაზეთის კონფლიქტშიც შეამავლის როლი მიენიჭა. შეთანხმების მიუხედავად, 1992 წლის ოქტომბერში სეპარატისტებმა დაიკავეს ქალაქი გაგრა და შეტევა განახორციელეს ქალაქ სოხუმზე (აფხაზეთის ა/რ მთავრობა 2013). 1993 წლის ივლისში ქალაქ სოჭში დაიდო სამმხრივი შეთანხმება (1993) აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმის შემუშავების შესახებ, რითაც ქართულმა მხარემ აფხაზეთის ტერიტორიიდან შენაერთები გამოიყვანა. 1993 წლის ივლისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერომ) განიხილა მიმდინარე კონფლიქტი (შ/დეს 849 1993) და უშიშროების საბჭოს რეზოლუციით (შ/დეს 858 1993) დაწესებული გაეროს სადამკვირვებლო მისიის მანდატით 88 მეთვალყურე გამოვზავნა. საერთაშორისო მონიტორინგის მიუხედავად, 1993 წლის 16-27 სექტემბერს დაირღვა სოჭის შეთანხმება და შეტევა განხორციელდა ქალაქ სოხუმზე. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 10,000 ადამიანი, განიდევნა 300,000 მოსახლე და დევნილთა ნაწილი ჭუბერის უღელტეხილზე გზად დაიკარგა (საქ. პარლამენტი 2013ა). 1994 წლის განმავლობაში გაეროს ეგიდით ქალაქ უენევასა და მოსკოვში წარიმართა სამშვიდობო მოლაპარაკებები რუსეთის, საქართველოს, აფხაზეთის და ეუთოს მონაწილეობით (კომუნიკე 1994). ამავე წლის მაისში ქალაქ მოსკოვში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შეთანხმების (1994) შემდეგ შეწყდა საომარი მოქმედებები და აფხაზეთსა და ზუგდიდის რაიონებში სამშვიდობო ძალების სტატუსით რუსეთის ჯარი განლაგდა.

### საქართველოს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება რუსეთისადმი

აფხაზეთის ომის დროს გამოვლინდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის სუსტი მხარეები. 1993 წლის მარტში პრეზიდენტმა შევარდნაძემ აფხაზეთში მიმდინარე ომს ლიად უწოდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი. მიუხედავად ამისა, საქართველომ რუსეთიან დადებული ხელშეკრულებებით დააკანონა მის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების და მის საზღვრებზე რუსეთის ჯარების განლაგება. ამ პერიოდში ქართული საზოგადოების ნაწილში გამძაფრდა ანტირუსული განწყობა, თუმცა ოფიციალური თბილისის მხრიდან შეინიშნებოდა რუსეთიან კეთილმეზობლური ურთიერთობის მცდელობა. 1992 წლის ივლისში ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. 1994 წელს გაფორმდა ჩარჩოხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქართველოს პარლამენტმა მოიწონა და დაამტკიცა, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ კი ხელშეკრულების რატიფიკაციისგან თავი შეიკავა. საქართველოს არათანმიმდევრული პოლიტიკისა და რუსეთის მხრიდან ზეწოლის ამსახველი იყო 1993 წლის დეკემბერში საქართველოს განევრიანება დსტ-ში და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში. ამ ფაქტს მაშინ ედუარდ შევარდნაძე „აფხაზეთის დაბრუნებას და აფხაზეთში დაბრუნებას“ უკავშირებდა, მაგრამ მრავალწლიანმა გამოცდილებამ ქვეყნის ხელისუფლება დაარწმუნა, რომ დსტ უსარგებლო ორგანიზაცია იყო და 2008 წლის სექტემბერში საქართველო დსტ-დან გამოვიდა (ჯანელიძე და ასათიანი 2009: 461). მალე ქვეყანაში საყოველთაო არჩევნების გზით ჩამოყალიბდა პარლამენტი. 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღეს კონსტიტუცია, რის საფუძველზეც ორჯერ აირჩიეს პარლამენტი – 1995 წლის 5 ნოემბერს და 1999 წლის 31 ოქტომბერს. ასევე ორჯერ იქნა არჩეული საქართველოს პრეზიდენტად ელუარდ შევარდნაძე – 1995 წლის 5 ნოემბერსა და 2000 წლის 9 აპრილს.

პრეზიდენტ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის მეორე ეტაპისთვის, 1996 წლიდან 2003 წლამდე, შეინიშნება საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა. ურთიერთობები გაძლიერდა დასავლეთ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით აშშ-სთან. ამგვარი კურსი გარკვეულწილად განაპირობა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცვლილებამ რეგიონის მიმართ. 1996 წელს დაიწყო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატოსთან) კონტაქტების გაღრმავება პირველი ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის შემუშავებით. 1999 წელს, ვლადიმერ პუტინის ხელი-

სუფლებაში მოსვლის შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობები გაუარესდა. საქართველო გამოვიდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან. რუსეთის მიერ ჩეჩენეთში ომის განახლების დროს ჩეჩენეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა საქართველოს ქისტებით დასახლებულ პანკისის ხეობას მოადგა. საქართველოში ჩეჩენი მებრძოლების მფარველობის საბაბით რუსეთის სამხედრო ავიაციამ რამდენჯერმე დაარღვია საქართველოს საპარო სივრცე (საქ. მთავრობის ანგარიში 2009). სამხედრო და ჰუმანიტარულმა საფრთხემ აიძულა საქართველოს ხელისუფლება მჭიდროდ ეთანამშრომლა აშშ-სთან. 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ ამერიკამ პანკისის ხეობა საერთაშორისო ტერორიზმის თავშესაფრად გამოაცხადა და საქართველოში აშშ სამხედრო მწვრთნელები მოავლინა (აშშ თავდაცვის სამინისტრო 2002). მომდევნო წლიდან დაიწყო წვრთნისა და აღჭურვის ერთობლივი პროგრამის განხორციელება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების სხვა ძალების გასაძლიერებლად.

აშშ-სთან თანამშრომლობის გარდა, საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია ქვეყნის ტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალებად მიიჩნია (იყობამშვილი და კულიკი 2008). საქართველო ჩატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. ქართულმა სამხედრო ქვედანაყოფებმა 1999-2008 წლებში მონაწილეობა მიიღეს კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციაში. 2004 წლიდან საქართველო მონაწილეობს ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციაში, სადაც ამჟამად ნატოს არა-წევრ სახელმწიფოებს შორის სიდიდით მეორე კონტინგენტი გააჩნია.

1993 და 2005 წლების მოწვევის პარლამენტის დადგენილებებით 1991 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ოთხ რუსულ სამხედრო ბაზას იურიდიული ძალა არ გააჩნდა და უნდა გაყვანილიყო.<sup>1</sup> 1999 წელს გამართულ ეუთოს სტამბოლის სამიტის შეთანხმებით, რომელიც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ნაწილია, 2001 წლის ივლისამდე რუსეთს უნდა გაეყვანა ვაზიანისა და გუდაუთის ბაზები, ხოლო 2000 წელს უნდა დასრულებულიყო მოლაპარაკებები ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების შესახებ (ქარტია 1999: დანართი 14). 2013 წლამდე რუსეთმა გაიყვანა სამი ბაზა, ხოლო აფხაზეთში განლაგებული გუდაუთის ბაზის საკითხი გადაუჭრელი დარჩა. 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო სურათი შეიცვალა. 2008 წლის სექტემბერში რუსეთმა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ხელი მოაწერა შეთანხმებებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ორმხრივი დახმარების შესახებ, რითაც სამართლებლივი საფუძველი შეიქმნა რუსეთის მოკავშირე ძალების არსებობისათვის (შეთანხმება 2008a; 2008b). მომდევნო წელს რუსეთსა და სეპარატისტულ რეგიონებთან სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ შეთანხმებებით დაკანონდა რუსეთის სამხედრო ძალების განლაგება ორივე საზღვარზე (შეთანხმება 2009a; 2009b). საქართველოში აშშ-ისა და რუსეთის სამხედრო არსებობა ურთიერთშეუსაბამო გახდა. რუსეთი არაკეთილგანწყობილია აშშ-სა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობის მიმართ.

## საერთაშორისო თანამეგობრობა

საქართველოსა და რუსეთის თანამედროვე ურთიერთობებზე გავლენას ახდენს საერთაშორისო სახელმწიფოების ჩართულობა რეგიონში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით საერთაშორისო ინტერესების ასპარეზად იქცა.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის დასავლეთისკენ მიმართულ პოლიტიკას პრიორიტეტულად მიიჩნევდა. 1992 წლიდან პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დროს ხე-

<sup>1</sup> ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარები ოკუპანტ შეიარაღებულ ძალებად იყო გამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შესახებ (დადგენილება 1991: №657).

ლისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობისგან მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. ამ პერიოდში იწყება დასავლეთთან აქტიური თანამშრომლობა. საქართველომ 110-ზე მეტ ქვეყანასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები. 1992 წელს საქართველო მიიღეს გაეროს წევრად. ამავე წლიდან საქართველო ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი გახდა და 1994 წელს შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ქვეყნის ევროპისკენ მიმართული პოლიტიკის გამომხატველი იყო საქართველოს იმუამინდელი პარლამენტის თავმჯდომარის – ზურაბ უგანიას მიერ ევროპის საბჭოში საქართველოს განევრიანებასთან დაკავშირებით საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე (1999) წარმოთქმული სიტყვა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ევროპელი“. საქართველო ასევე განევრიანდა რეგიონალური და ეკონომიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის ეუთოში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ბისეკში) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ქვეყანას ფინანსური დახმარება გაუწიეს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა.

1993 წლიდან დასავლეთს მზარდი ინტერესი გაუჩნდა კასპიის ზღვის აუზის ნავთობის რესურსებისადმი. დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან დაიწყო წარმომადგენელთა გაცნობითი ვიზიტები; შემუშავდა საერთაშორისო სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგოპროექტები. მაგალითად, 1993 წელს საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების ხელმოწერით ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შეიმუშავა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) პროგრამა, რომელსაც საქართველო შეუერთდა. საქართველო ასევე გახდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი მილსადენის და სამხრეთ-კავკასიური მილსადენის (ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის) პროექტების ნაწილი.

დასავლეთთან გაძლიერებული ურთიერთობების მიუხედავად, ქვეყნის მაშინდელი ხელისუფლება რუსეთის გათვალისწინებით სიფრთხილით ეკიდებოდა საგარეო პოლიტიკის გაცხადებას. საქართველოს ხელისუფლება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის და საგარეო პოლიტიკის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნებას ერიდებოდა. საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი 2006 წლიდან გამოქვეყნდა (საქ. საგარეო 2006). 2008 წლის ომის შემდეგ მიღებულ იქნა კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (2008). 2011 წლის დეკემბერში დამტკიცდა ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია (საქ. უშიშროების საბჭო: 2011), რომელიც ქვეყნის მთავარ საფრთხეედ „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოუბაციას“ განსაზღვრავს, ხოლო „საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი მისი [საქართველოს] ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირი განევრიანება“ (საქართველოს უშიშროების საბჭო: 2011, 2-41). საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხორციელება რეგიონალური კონტექსტის გარდა ქვეყნის შიდაპოლიტიკურმა ვითარებამაც განაპირობა.

### საქართველო ახალ ათასწლეულში

პოსტსაბჭოთა პერიოდში როგორც საქართველოში, ისე რუსეთში შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის უცვლელი დარჩა. 2000-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები განვითარდა. ქვეყნაში რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმართული პოლიტიკა ქვეყნის განვითარების საუკეთესო გზად მიიჩნია. რუსეთის დამკიდებულება საქართველოსადმი არაკეთილმეზობლური გახდა.

### ვარდების რევოლუცია

1998 წლიდან, ეკონომიკური სირთულის ფონზე, საქართველო უნიათო მართვის და ქვეყანაში ერთიანობის უქონლობის წინაშე დადგა. 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების საბაბით მშვიდობისანი აქციები დაიწყო პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით.

აქციებს ხელმძღვანელობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, პარტია „გაერთიანებული დემოკრატების“ თავმჯდომარე ზურაბ უვანია და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. მდგომარეობის დასარეგულირებლად საქართველოში ჩამოსულმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ხალხის წინაშე გამოსვლისას ხაზი გაუსვა რუს და ქართველ ხალხს შორის მეგობრობას. ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომით და განმეორებით საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებით დასრულდა. პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტი დადებითად გამოეხმაურა. 2004 წლის 25 იანვარს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე გამოსვლის დროს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მეგობრობის ხელი გაუწოდა რუსეთს: „ჩვენ გვჭირდება რუსეთი, როგორც მოკავშირე, როგორც ძლიერი პარტნიორი და მე მინდა, ქართველი ხალხის სახელით დღეს რუსეთს გავუწოდო მეგობრობის ხელი“ (საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაცია 2004). წარმომადგენლობითი დელეგაციების სტუმრობით საქართველოში მნიშვნელოვანი ხანა დაიწყო. წლის განმავლობაში სახელისუფლებო სამეული მონაცემებით სტუმრობდა დასავლეთს. საქართველოში ოფიციალური ვიზიტებით ჩამოდიოდნენ ევროკავშირის, ნატოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2005 წლის 9 მაისს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავისუფლების მოედანზე გამოსვლის დროს ხაზი გაუსვა საბჭოთადროინდელ რეპრესიას და შეაქო საქართველოს დემოკრატიული განვითარება: „16 წლის წინ ლენინის მოედანზე შეკრებილი ათასობით ქართველის დამოუკიდებლობის მოთხოვა საბჭოთა ჯარმა ჩაახსო, მაგრამ ქართველი ხალხის სული ვერ ჩაკლა. დღეს საქართველო რეგიონისთვის მშეიდობის შუქურაა“ (აშშ სახ. დეპარტამენტი 2005). საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტუქტურებთან დაახლოება შეუქცევად სახეს იძენდა.

2000-ინი წლების დასაწყისიდან კრემლი პერიოდულად გამარტივებულ წესებს ადგენდა სეპარატისტული რეგიონების სასარგებლოდ. 2000 წლის დეკემბერში რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოილო, რაც არ შეხებია აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებს. 2004 წელს დე ფაქტო რესპუბლიკაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ რუსეთმა ალიარა. პრეზიდენტმა პუტინმა ქალაქ სოჭში კანდიდატ რაულ ხაჯიმბას მიღებით მხარდაჭერა გამოხატა ვლადისლავ არძინბას შემდეგ ხაჯიმბას ხელისუფლებაში მოსვლის მიმართ. თუმცა არჩევნები მომდინარეობა კანდიდატმა სერგეი ბალაფშმა გაიმარჯვა, რომლის ინაუგურაციას დაესწრენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და მოსკოვის მერიის წარმომადგენლები. 1999 წელს აფხაზეთში გაიმართა ერთი რეფერენდუმი და ცხინვალის რეგიონში 1992 და 2006 წლებში ჩატარდა ორი რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმებში მონაწილეობა არ მიუღია იძულებით გადადგილებულ ქართველ მოსახლეობას.

ორსახოვანი პოლიტიკის მიუხედავად, 2001 წელს საქართველო და რუსეთი ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების მომზადებას შეუძღვნენ, რომელშიც ურთიერთობების ფუძემდებელი პრინციპები უნდა ასახულიყო. ამ საკითხზე 2003 წლის მარტში ქალაქ სოჭში გაიმართა შეხვედრა პრეზიდენტ შევარდნაძესა და პრეზიდენტ პუტინს შორის. ამავე წლის დეკემბერში შედგა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის – ნინო ბურჯანაძის სამუშაო ვიზიტი მოსკოვში, სადაც გამოიკვეთა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპექტივა. თუმცა, მომდევნო წლის თებერვალში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თბილისში პირველი ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას უარი განაცხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალის მონახულებაზე.

## რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის წინაპირობები და შედეგები

რუსეთი საქართველოს თავის ე.წ. „პრივილეგირებული ინტერესების“ სფეროდ მოიაზრებს და მზად არის საკუთარი პაზიტივია სამხედრო ძალითაც დაიცვას. მკვლევართა ნაწილი ამაში პრაგმატიზმისა და რეალპოლიტიკის ნიშნებს ხედავს (ბარსენკოვი 2012), ნაწილი კი რუსეთის იმ-

პერიული პოლიტიკის გაგრძელებად მიიჩნევს. მოსკოვის ინტერესები ხასიათდება „საგარეო პოლიტიკის ინერციით“ და ზესახელმწიფოს მიერ მიღეული სიძლიერის შენარჩუნების სურვილით (ტოფტი 2003: 124). დისკურსული ანალიზის შედეგად ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფლება ხშირად შეფარვით საუბრობდა მის სტრატეგიულ პოლიტიკაზე. მაგალითად, რუსეთის პარლამენტის წევრის – ანდრეი კოკოშინის თქმით: „რუსეთი არ არის დაინტერესებული საქართველოში არასტაბილურობით. რუსეთს სურს საქართველომ გაითვალისწინოს მისი ინტერესები რეგიონში და ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორობა გაუწიოს“ (რია ნოვოსტი 2004). თავად საქართველოსთვის კი პრიორიტეტული იყო დასავლეთთან თანამშრომლობა. 2004 წლის ივლისში ცხინვალის რეგიონში გამწვავებული ვითარების გამო საქართველომ არაერთხელ დააყენა საკითხი იქ სამშვიდობო მისის, კერძოდ, 1992 წელს შექმნილი ოთხმხრივი კომისიის მანდატის გადახედვის შესახებ. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ძალების ნეიტრალურ პოზიციას ემსრობოდა. მოსკოვი ასევე ხელს უშლიდა ეუთოს ჯგუფის მიერ საქართველოს საზღვარზე მონიტორინგის განხორციელებას.

2008 აგვისტოში განვითარებულ მოვლენებზე გარკვეულწილად გავლენა იქონიეს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კოსოვოს სერბეთისგან დამოუკიდებლობის აღიარებამ და 2008 წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებამ. 2004-2008 წლებში საქართველო ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის და განევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის ფორმატში თანამშრომლობდა. 2008 წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო მომავალში გახდებოდა ნატოს წევრი ქვეყანა, მაგრამ იმ ეტაპზე მას არ მიენიჭა წევრობის სამოქმედო გეგმა. სამიტის ამგვარმა დასკვნამ რუსეთს საშუალება მისცა აქტიური მოქმედებით განხორციელებინა საქართველოს მიმართ. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში გამწვავდა ვითარება ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტებს შორის. კონფლიქტის დროს რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა არათანაბარი სამხედრო აგრძელა, რომელიც, როგორც ჩანს, კარგა ხნის წინ იგეგმებოდა (ტალიავინის დასკვნა 2009). აგვისტოს ომის შედეგად დაიღუპა 412 და დაიჭრა 1,747 ადამიანი (საქ. მთავრობის ანგარიში 2009).<sup>1</sup>

ევროკავშირის სახელმწიფოები დაუყოვნებლივ ჩაერთნენ კონფლიქტის მოგვარებაში. ევროკავშირის შუამავლობით 12 აგვისტოს ხელი მოეწერა ექვსპუნქტიან შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ (2008) და გამოქვეყნდა ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის თავმჯდომარეთა 9 სექტემბრის დეკლარაცია (2009). ევროკავშირმა მოავლინა საგანგებო წარმომადგენელი საქართველოს კრიზისის საკითხებში და გამოგზავნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში. 2013 წლის მდგომარეობით რუსეთს არ შეუსრულებია სამშვიდობო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები. 2012 წელს მიღებულ რეზულუციაში ევროკავშირსა და რუსეთის სამიტის შესახებ, ევროპარლამენტმა რუსეთს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდა“ (ევროპარლამენტი 2012 380/15). 2008 წლის სექტემბერში საქართველომ შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან. შეწყდა თანამშრომლობა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების თითქმის ყველა მიმართულებით, გარდა უენევის კონსულტაციებისა, რომელშიც მონაწილეობენ საქართველო, რუსეთი და აშშ, როგორც ოფიციალური წარმომადგენლები, ხოლო ევროკავშირი, ეუთო და გაერო, როგორც შუამავალი მხარეები. 2012 წლის 13 დეკემბერს გამართული უენევის მოლაპარაკებების რიგით 22-ე რაუნდი კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა. კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარება საერთაშორისო ხელშეწყობით უშუალოდ ორი ქვეყნის საქმეა.

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საგარეო პოლიტიკის ახალი პერსპექტივა დაისახა. ახლად არჩეული მთავრობისთვის ევროპული

<sup>1</sup> 2012 წლის აპრილის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 265,109-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, რაც საქართველოს მოსახლეობის 6%-ს შეადგენს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მათ რიცხვს 26,000-მდე პირი დაემატა (საქ. განსახლ. სამინისტროს სტატისტიკა 2012).

და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად დარჩა. არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პირველი სამუშაო ვიზიტი 2012 წლის ნოემბერში ქალაქ ბრიუსელში განხორციელდა, სადაც იგი შეხვდა ევროკომისის პრეზიდენტ უოზე მანუელ ბაროზუს, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპუს, ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცს და ნატოს გენერალურ მდივანს ანდრეს ფოგ რასმუსენს. დასავლური პოლიტიკის პარარელურად, რუსეთთან ურთიერთობების განახლება, კერძოდ, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აღდგენა მნიშვნელოვან ამოცანად იქცა (საქ. საგარეო... 2012). ამასთან დაკავშირებით დაინიშნა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებზე პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი, რომელმაც შეხვედრა გამართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან. არჩევნებამდე არსებული და ახლად არჩეული ხელისუფლების ხედვა საგარეო პრიორიტეტების შესახებ გაიყო. ორგვაროვნება აისახა საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 7 მარტის რეზოლუციაში „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ (საქ. პარლამენტი 2013ბ). რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია“ (ზიდ: 2013ბ: 3). რეზოლუციაში ასევე ხაზგასმულია, რომ „საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დამოუკიდებლობას ან ოკუპირებული აქვთ საქართველოს ტერიტორია“ (ზიდ: 2013ბ: 18). ამ დათქმის მიუხედავად, „საქართველო რუსეთთან დიალოგს წარმართავს როგორც უენევის მოლაპარაკებების ფორმატით, ისე ორმხრივ ფორმატში, რომლის მიზანია კონფლიქტის მოგვარება, კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება“ (ზიდ: 2013ბ: 11). 2013 წელს შეინიშნება რუსეთის მიმართ ახლებული და განსხვავებული მიდგომა.

## დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველომ განონასწორებული საგარეო პოლიტიკის შემუშავება რუსეთთან მიმართებით ვერ შეძლო. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები სირთულით ხასიათდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების მიმდინარეობა ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკა რუსეთისადმი. არსებობს ქართულ საზოგადოებაში ორი რუსეთის, კეთილმეზობლური და იმპერიული რუსეთის, სახე. ამგვარი არათანმიმდევრული პოლიტიკა მნიშვნელოვანნილად განაპირობა რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ წინააღმდეგობრივა მიდგომამ და საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ჩარჩევამ. შიდაპოლიტიკური დაპირისპირების და სამოქალაქო ომის ფონზე, მოსკოვის მცდელობის შედეგად ქართული პოლიტიკური ელიტისგან ტერიტორიული ავტონომიის მქონე ეთნიკური უმცირესობების გაუცხოებამ ქვეყანა ორ, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტამდე მიიყვანა. რუსეთის მოლოდინია, რომ საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებას შეეგუება. აუცილებელია მოიძებნოს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზები. საერთაშორისო თანამეგობრობა მჭიდროდ თანამშრომლობს და ცდილობს დაეხმაროს საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში რეგიონში სტაბილურობისათვის. საერთაშორისო ჩართულობას რუსეთი არასასურველად მიიჩნევს. მისი ამგვარი მიდგომა საქართველოს რუსეთისგან პოლიტიკურად აშორებს. რეგიონის განვითარებისთვის სასურველია რუსეთის კონსტრუქციული მონაწილეობა. საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობები ხელს შეუწყობს თანამშრომლობასა და მშვიდობას სამხრეთ კავკასიაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Charkviani, Gela. *Lectures, Speeches and a Toast*. Tbilisi: Charkviani Publication, 2008.
- Cornell, Svante. *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*. England: Curzon, 2001.
- Council of the European Union and the Commission of the European Union. Declaration of Council of the European Union and the Commission of the European Union. Tbilisi, 2008.  
[http://www.mfa.gov.ge/files/557\\_9866\\_180263\\_evropulisabchosadaevrokomisiistavmjdomaretadeklaracia.pdf](http://www.mfa.gov.ge/files/557_9866_180263_evropulisabchosadaevrokomisiistavmjdomaretadeklaracia.pdf) (10-09-09).
- European Parliament. Resolution of 9 June 2011 on the EU-Russia Summit. 2012/C 380 E/15. JO 123-128, 2012.  
<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2012:380E:0123:0128:EN:PDF> (28-01-13).
- Hyde-Price, Adrian. *European Security in the Twenty-First Century: The Challenge of Multipolarity*. England: Routledge, 2007.
- Iakobashvili, Temur and Jonathan Kulick. „Can Georgia Join NATO without Solving the Conflicts in Abkhazia and South Ossetia?“ The German Marshall Fund of the United States. *Black Sea Paper Series* 3, 2008.  
<http://www.gmfus.org/doc/Black%20Sea%20Paper%20No.%203%2010-26.pdf> (10-01-13).
- Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia. The Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia. Heidi Tagliavini eds. Volume I. Brussels, 2009.  
[http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG\\_Volume\\_I.pdf](http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_I.pdf) (10-10-09).
- Janelidze, Otar, and Nodar Asatiani. *History of Georgia: From Ancient Times to the Present Day*. Tbilisi: Petite, 2009.
- Jenne, Erin. *Ethnic Bargaining: the Paradox of Minority Empowerment*. Ithaca: Cornell University Press, 2007.
- King, Charles. „The Benefits of Ethnic War: Understanding Eurasia’s Unrecognized States.“ *World Politics* 53.4 (2001): 524-552.
- King, Charles. „Rose among Thorns: Georgia Makes Good.“ *Foreign Affairs* 83.2 (2004).
- Lepingwell, John. „The Russian Military and Security Policy in the ‘Near Abroad.’“ *Survival* 36.3 (1994): 70-92.
- Lynch, Allen. „The Realism of Russia’s Foreign Policy.“ *Europe-Asia Studies* 53.1 (2001).
- Matsaberidze, David. *The Conflict over Abkhazia (1989-2010): The Interaction of Georgian-Abkhazian Nationalisms and the Role of Institutions in the Post-Soviet Developments*. UK: Lambert, 2011.
- Matsaberidze, Malkhaz. „Georgia and Russia: In Search of Civilized Relations“. *Central Asia and the Caucasus* 5.47 (2007).
- Matsaberidze, Malkhaz. „Russia and Georgia: Post-Soviet Metamorphoses of Mutual Relations“. *Central Asia and the Caucasus* 5.53 (2008).
- Mearsheimer, John. *The Tragedy of Great Power Politics*. New York: Norton, 2001.
- Morgenthau, Hans. *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*. (5<sup>th</sup> ed). New York: Knopf, 1978.
- Nodia, Ghia. „Georgia’s Identity Crisis.“ *Journal of Democracy* 6.1 (1995).
- Organization for Security and Co-operation in Europe. Charter for European Security: Final Act of the Conference of the States Parties to the Treaty on Conventional Armed Forces in Europe. CFE.DOC/2/99. Istanbul Summit. Turkey: OSCE, 1999. <http://www.osce.org/mc/39569?download=true> (27-12-12).
- Organization for Security and Co-operation in Europe. Survey of OSCE Field Operations. SEC.GAL/207/12. Vienna: Conflict Prevention Centre, 2012. <http://www.osce.org/cpc/74783> (23-01-13).
- Parliamentary Assembly Council of Europe. Official Report of Debates. Ordinary Session. Part 1, Volume 1. Strasbourg: PACE, 1999.  
[http://book.coe.int/EN/ficheouvrage.php?PAGEID=36&lang=EN&produit\\_aliasid=294](http://book.coe.int/EN/ficheouvrage.php?PAGEID=36&lang=EN&produit_aliasid=294) (20-03-13).

- Protocole d'accord. Le President De la Republiqué. Pour l'Union européenne, la Présidence française Nicolas Sarkozy, Pour la République de Géorgie, la Présidence géorgienne Mikheil Saakashvili, 2008. <[http://www.smr.gov.ge/uploads/file/cf\\_text\\_w\\_sig.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/file/cf_text_w_sig.pdf)> (20-11-09).
- Toft, Monica. *The Geography of Ethnic Violence: Identity, Interests, and the Indivisibility of Territory*. Princeton: Princeton University Press, 2003.
- United Nations. Security Council. Resolution 849 Adopted by the Security Council on 9 July 1993. New York: UN, 1993. <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/393/04/IMG/N9339304.pdf?OpenElement>> (28-01-13).
- United Nations. Security Council. Resolution 858 Adopted by the Security Council on 24 August 1993. New York: UN, 1993. <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/466/03/IMG/N9346603.pdf?OpenElement>> (28-01-13).
- United States. Department of Defence. Rumsfeld and Ivanov Discuss Nuclear Review. US: American Forces Press Service, 2002. <<http://www.defense.gov/News/NewsArticle.aspx?ID=44254>> (29-01-13).
- United States. Department of State. President Addresses and Thanks Citizens in Tbilisi, Georgia. President George W. Bush. US Department of State Archive, 2005. <<http://2001-2009.state.gov/p/eur/rls/rm/45891.htm>> (18-03-13).
- Das Auswärtige Amt der Bundesrepublik Deutschland. Georgien, Beziehungen zu Deutschland, Politische Beziehungen. Deutschland, 2012. <<http://www.auswaertiges-amt.de/DE/Aussenpolitik/Laender/Laenderinfos/Georgien/Bilateral.html>> (23-01-13)
- Барсенков, Александр. 'Политика России на постсоветском пространстве и ее восприятие на Западе 2003-2008 гг.' *Мир и Политика* 8.71 (2012): 152-158.
- Договор о дружбе, сотрудничестве и взаимной помощи между Российской Федерацией и Республикой Абхазия. Президент России. Москва: Кремль, 2008а. <<http://archive.kremlin.ru/text/docs/2008/09/206583.shtml>> (2-01-12).
- Договор о дружбе, сотрудничестве и взаимной помощи между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия. Президент России. Москва: Кремль, 2008б. <<http://archive.kremlin.ru/text/docs/2008/09/206582.shtml>> (2-01-12)
- Здравомыслов, Андрей. *Межнациональные конфликты в постсоветском пространстве*. Москва: Аспект-Пресс, 1997.
- Итоговый документ московской встречи 3 сентября 1992 года. Россия-Грузия. Москва, 1992. <<http://www.un.org/ru/peacekeeping/missions/past/unomig/24523.pdf>> (25-01-13).
- Коммюнике по итогам второго раунда переговоров по вопросу о положении в Абхазии. Грузия, Женева, 1994. <<http://www.un.org/ru/peacekeeping/missions/past/unomig/94-32.pdf>> (29-01-13).
- Конституция (Основной закон) Союза Советских Социалистических Республик. Советы СССР, 1924.
- Конституция (Основной закон) Союза Советских Социалистических Республик. Советы СССР, 1936.
- Конституция (Основной закон) Союза Советских Социалистических Республик. Верховные Советы СССР, 1977.
- Конституция (основной закон) Абхазской Автономной Советской Социалистической Республики. Сухуми: Изд-во Госиздата Абхазии, [1925] 1937.
- Лузянин, Сергей. *Восточная политика Владимира Путина: Возвращение России на 'Большой Восток'* (2004-2008 гг.). Москва: АСТ Восток-Запад, 2007.
- Протокол о встрече и переговорах Председателя Верховного Совета Российской Советской Федеративной Социалистической республики и Председателя Верховного Совета Республики Грузия. пгт. Казбеги, 1991. <<http://www.noar.ru/files/content/80.pdf>> (27-01-13).
- РИА Новости. Конфликт между Грузией и Абхазией не может быть разрешен без участия России – Кокошин. Политика. 2004. <<http://ria.ru/politics/20040108/502027.html>> (19-03-13).
- Скаков, Александр. „Внутриполитическая ситуация в Грузии.“ *Грузия: Проблемы и перспективы развития*. Под ред. Евгения Кожокина. Москва: РИСИ, 2002. 259-316.

Соглашение между Российской Федерацией и Республикой Абхазия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Абхазия. Президент России. Москва: Кремль, 2009а.

<<http://archive.kremlin.ru/text/docs/2009/04/215690.shtml>> (2-01-12).

Соглашение между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Южная Осетия. Президент России. Москва: Кремль, 2009б.

<<http://archive.kremlin.ru/text/docs/2009/04/215691.shtml>> (2-01-12).

Соглашение о создании Содружества Независимых Государств. Минск, 1991.

<[http://www.cismission.mid.ru/ii1\\_1.html](http://www.cismission.mid.ru/ii1_1.html)> (22-01-13).

Соглашение о принципах урегулирования грузино-осетинского конфликта. Сочи, 1992.

<<http://www.smr.gov.ge/docs/doc110.pdf>> (22-01-13).

Соглашение о прекращении огня в абхазии и механизме контроля за его соблюдением Сочи, 1993.

<<http://www.un.org/ru/peacekeeping/missions/past/unomig/s26250.pdf>> (22-01-13).

Соглашение о прекращении огня и разъединении сил. Москва, 1994.

<<http://www.un.org/ru/peacekeeping/missions/past/unomig/94-583.pdf>> (29-01-13).

Червонная, Светлана. *Абхазия 1992: Посткоммунистическая Вандея*. Москва: Мосгорпечать, 1993.

ანჩაბაძე, გიორგი. *საქართველოს ისტორია: მოკლე ნაკვეთი*. თბილისი: კავკასიური სახლი, 2005.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. 1992-93 წწ. სამხედრო კონფლიქტი აფხაზეთში, 2012. <[http://abkhazia.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=44](http://abkhazia.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=44)> (22-01-13).

ბოლოთაშვილი, გივი. „საქართველო – სუვერენული სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XX საუკუნის 90-იან წლებში“. ქართული დიპლომატიის ისტორია. რედ. თბილისი, 2004.

გამისონია, ნარგიზა და დოდო პერტაია. *რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ავენიტოს ომი და მისი შედეგები*. თბილისი: უნივერსალი, 2009.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება. თბილისი, 1921. <<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000299/konstitucia%20kart.pdf>> (22-01-13).

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თბილისი, 2011. <<http://www.nsc.gov.ge/files/files/%20erovnuli%20usafrTxoebis%20koncefcia.pdf>> (29-01-13).

საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, 2009. <<http://www.diaspora.gov.ge/files/faili/conclusion.html>> (29-01-13).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. დევნილთა სტატისტიკა. თბილისი, 2012.

<<http://mra.gov.ge/main/GEO#section/33>> (28-01-13).

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის 20 წლისთავის შესახებ. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია. სხდომის ოქმი №59, 2011-03-31. თბილისი, 2011.

<[http://www.parliament.ge/site2/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=1229&info\\_id=31266](http://www.parliament.ge/site2/index.php?lang_id=GEO&sec_id=1229&info_id=31266)> (10-12-12).

საქართველოს პარლამენტი. ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ შესახებ. კომისიის აპარატი. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატი. თბილისი, 2013. <[http://www.parliament.ge/files/617\\_8236\\_484760\\_qart\\_osuri.pdf](http://www.parliament.ge/files/617_8236_484760_qart_osuri.pdf)> (27-01-13).

საქართველოს პარლამენტი. მოკლე ისტორია. კომისიის აპარატი. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატი. თბილისი, 2013a. <[http://www.parliament.ge/files/617\\_8236\\_221191\\_617\\_8236\\_609650\\_apxazeti.pdf](http://www.parliament.ge/files/617_8236_221191_617_8236_609650_apxazeti.pdf)> (22-01-13).

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“. თბილისი, 7 მარტი, 2013b.

<[http://www.parliament.ge/index.php?option=com\\_easyblog&view=entry&id=4&lang=ge](http://www.parliament.ge/index.php?option=com_easyblog&view=entry&id=4&lang=ge)> (11-03-13).

საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. №431 – IIს. თბილისი, 2008. <<http://www.smr.gov.ge/docs/doc215.pdf>> (4-01-12).

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის დღეს. თბილისი, 2004.

<<http://president.gov.ge/ge/President/Inauguration>> (20-03-13)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. თბილისი, 1990.

<[http://www.parliament.ge/files/613\\_8104\\_833304\\_7.pdf](http://www.parliament.ge/files/613_8104_833304_7.pdf)> (11-12-12).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შესახებ“. №657, 16.09.1991. თბილისი, 1991.

<[http://www.parliament.ge/files/100\\_23285\\_423156\\_TarielPutkaradze.pdf](http://www.parliament.ge/files/100_23285_423156_TarielPutkaradze.pdf)> (12-01-13).

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2006-2009 წლებისათვის. თბილისი, 2006. <[http://www.mfa.gov.ge/files/35\\_219\\_883794\\_2006-2009.pdf](http://www.mfa.gov.ge/files/35_219_883794_2006-2009.pdf)> (29-01-13).

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის პრესკონფერენცია. თბილისი, 2012.

<[http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=15836](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=15836)> (10-03-13).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი. საქართველოს დამფუძნებელი კრება.

თბილისი, 1918. <<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000299/konstitucia%20kart.pdf>> (22-01-13).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. თბილისი: მთავრობის სასახლე, 1991.

ამგვარი მეტამორფოზისთვის ჩვენი არქიტექტურული საზოგადოებრიობა მზად არ აღმოჩნდა. ქალაქების მრავალმხრივი პრობლემატიკა სულ უფრო სცილდება არქიტექტორთა პროფესიულ კონტროლს და ინაცვლებს პოლიტიკის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, PR-ის მიმართულებით. უდავოდ, ქალაქების კონტროლის და ყველგან განაპირობებდა იდეოლოგიური და პოლიტიკური მიზანდასახულობა; მაგრამ, თუ გავიხსენებთ ქალაქების განვითარების საბჭოურ პრაქტიკას, არქიტექტორებს და ქალაქების შენარჩუნებული ჰქონდათ საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილების მიღების პროფესიული პრეროგატივა. დღეს ურბანული განვითარების პროცესში როლების განაწილების სურათი დრამატულად შეიცვალა. ეს დაკავშირებულია სოციუმის მორიგ, ურბანიზაციის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ ნახტომთან ქალაქების განვითარებაში, რაც გლობალიზაციის პროცესს უკავშირდება.

\* \* \*

თანამედროვე ურბანისტიკის და ქალაქის სოციოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა – **სახეია სახენი** ასაბუთებს, ერთი შეხედვით, პარადოქსულ თეზის – გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონკურენციაში დღეს ქალაქები მეტს ნიშნავს, ვიდრე ქვეყნები. რაღა თქმა უნდა, იგულისხმება არა რომელიდაც „შტატგარეშე“ ქალაქური დასახლება, არამედ, ის წამყვანი ურბანული ცენტრები, რომლებმაც – ფორმალურადაც და არაფორმალურადაც – „გლობალური ქალაქების“ სტატუსი შეიძინეს. კარგადაა ცნობილი, რომ პირველ რიგში ესენია: **ნიუ-იორკი, ლონდონი, ტოკიო.** მათ შემდეგ ჩამომწკრივდნენ: **პარიზი, მაინის ფრანკფურტი, შანხაი, ჰონკონგი, სინგაპური... ცალკე დგას მოსკოვი.**

და მაინც, რას ნიშნავს „გლობალური ქალაქები“? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ის ქალაქები, უფრო ზუსტად კი მეტროპოლისები, რომლებშიც კონცენტრირებულია მსოფლიო ეკონომიკის მართვა. ამგვარი სტატუსისა და როლის სწრაფი ჩამოყალიბება სათავეს იღებს 1970-იან წლებში. ეს განპირობებული იყო მობილური ტრანსნაციონალური კაპიტალის ორგანული მოთხოვნილებებით საბანკო საქმის, სავალუტო და სასაქონლო ბირჟების, საერთაშორისო აუდიტის, აგრესიული რეკლამის, ფინანსური მენეჯმენტის, კონსალტინგური მომსახურების, ბიზნეს-სამართლის სფეროებში. ცხადი გახდა, რომ კონტროლი გლობალური კაპიტალის ნაკადებზე შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული ურბანული ფოკუსებიდან, რომლებიც „გლობალურ ქალაქებად“ იქცნენ.

მაგრამ, „გლობალური ქალაქები“ დასახლებათა ამჟამინდელი კლასიფიკაციის მხოლოდ ერთი პოლუსია. ჩნდება ბუნებრივი კითხვა – რა ხდება ქალაქურ დასახლებათა დანარჩენ, უკიდეგანო კონტინუუმში? ჩვენთვის საინტერესო პოზიციებიდან ეს, უწინარესად, არის დაუნდობელი ეკონომიკური კონკურენცია, ბრძოლა მაღალი პოზიციის მოსაპოვებლად ინვესტორების, დეველოპერების, ტურისტებისთვის მიმზიდველობის იერარქიაში.

უნდა გავიხსენოთ, რომ ქალაქების იერარქიული კლასიფიკაცია **საბჭოთა კავშირშიც** იყო ჩამოყალიბებული. იმ იერარქიაში მაღალი პოზიცია ბევრს ნიშნავდა ამა თუ იმ კონკრეტული ქალაქებისათვის. ეს პოზიცია განისაზღვრებოდა ფაქტორთა კომპლექსით, რომელთა შორის იყო ქალაქის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსი (მაგ., მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი), მოსახლეობის რაოდენობა, ე.ნ. სახალხო-სამეურნეო პროფილი და სხვა ამგვარი. ეს კლასიფიკაცია ფიქსირდებოდა სამშენებლო ნორმებსა და წესებში (CHNП) და განსაზღვრავდა განვითარების შესაბამის ვეტტორებს. მაგალითად, მოსახლეობის მილიონიან ზღვარს მიღწეულ ქალაქს უფლება ჰქონდა წამოეწყო მეტროპოლიტენის მშენებლობა; ქალაქთა იერარქიის ყოველი საფეხურისთვის დადგენილი იყო სოციალურ-კულტურული მომსახურების ობიექტების ნომენკლატურა და ა.შ.

ქალაქების მომარაგება სამრეწველო და კვების პროდუქტებით, უცხოელი ხელოვან-შემსრულებელთა გასტროლები თუ გამოფენები ასევე კორელირებდა ქალაქის სტატუსთან. რაღა თქმა უნდა, ამ სიაში კონკურენციის გარეშე **მოხკოვი** იდგა, შემდეგ **კიევი** და **თბილისი**, რომელსაც გარკვეულ კონკურენციას **რიგა** თუ უწევდა. მაგრამ, მთავარი მაინც ის იყო, რომ ყველა ჩამოთვლილი სიკეთე ქალაქებს „ზემოდან“ ურიგდებოდა – სახელისუფლებო სტრუქტურების ხისტი ცენტრალიზების, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისა და თვითმმართველობის ინსტიტუტის ფაქტობრივად არარსებობის პირობებში სხვაგვარად ვერც იქნებოდა.

„რკინის ფარდის“ ჩამოხსნამ გააშიშვლა საბჭოთა ქალაქების ამგვარი ფორმალიზებული კლასიფიკის უპერსპექტივობა. 1990-იანი წლების დასაწყისში ამას მოჰყვა დასავლეთის მყისიერი რეაქცია – იმ დროისათვის უკვე გააზრებული იყო, რომ ევროპულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სივრცეში პოსტსაბჭოური ქვეყნების წარმატებული ინტეგრირება ყველაზე ეფექტურიანი იქნებოდა სწორედ ურბანისტული სისტემების მეშვეობით – იქნებიდა ეს საკუთრივ ქალაქები თუ რეგიონთაშორისი, საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტოს ჩათვლით. ამიტომაც, **დასავლეთმა** მზერა, უწინარესად, **აღმოსავლეთს**, ანუ პოსტსაბჭოური სივრცის **ჩრდილო-დასავლეთ** სექტორს მიაპყრო, რადგან ამ სივრცის მეორე, ჩვენი, სამხრეთ-დასავლეთი ფლანგი იმთავითებ ჩაეფლო შიდა და სახელმწიფოთაშორის შეიარაღებულ კონფლიქტებში და სრულიად არ იყო მზად ამა თუ იმ მკაფიოდ გამოხატული ურბანისტული პოლიტიკის გასატარებლად.

1992 წელს, **ბალტიის რეგიონის** მინისტერიალზე გადაწყდა ფუძემდებელი დოკუმენტის – „ბალტიის ზღვის რეგიონის ხედვა და სტრატეგია 2010 წლისათვის“ შემუშავება. ეს დოკუმენტი 1994 წელს გამოიცა. ნიშანდობლივია, როგორ იყო განსაზღვრული საკვანძო ცნება – **ბალტიის რეგიონი**; მასში, საკუთრივ ბალტიის ზღვის აუზის ქვეყნებს გარდა, ჩართული იყო ნორვეგია და აბსოლუტურად სახმელეთო ბელორუსი.

დოკუმენტში შემოთავაზებული იყო რეგიონის ქალაქთა რანჟირება ხუთსაფეხურიანი სქემით:

- (1) ევროპული ქალაქი;
- (2) ბალტიური ქალაქი;
- (3) ნაციონალური ქალაქი;
- (4) რეგიონული ქალაქი (ამ შემთხვევაში რეგიონად მოიაზრებოდა სუბნაციონალური ტერიტორიული ერთეული);
- (5) სხვა „მსხვილი“ ქალაქი.

ამ ქალაქთაგან ყოველს, გარკვეული მეთოდიკით, მიენიჭა შესაბამისი სტატუსი 1993 წლის მდგომარეობით და პერსპექტიული სტატუსი 2010 წლისათვის. მაგალითად, **რიგასა** და **მინსკს**

შესთავაზეს მათი სტატუსის აწევა (3) პოზიციიდან (1) პოზიციამდე; **ვილნიუსსა და ტალინს – (3)-დან (2)-მდე და ა.შ.** იყო კონკრეტული ქალაქების სტატუსების დაქვეითების რეალისტური წინადადებებიც.

მოყვანილი მაგალითი დამტკირდა საიმისოდ, რომ ხაზი გამესვა ქალაქების რანჟირების საჭიროებასათვის საერთაშორისო მასშტაბით და შემეხსენებინა, რომ ქალაქების ამგვარი სტრუქტურირება **შავიზღვისპირების** რეგიონში ჩატარებული არ არის.

არადა, ჩვენი რეგიონის ყველა ქალაქი დადგა საკუთარი ახალი იდენტობის განსაზღვრის, სხვა ქალაქ-კონკურენტებს შორის თავისი ნიშის მოძებნის აუცილებლობის წინაშე. ამ მხრივ, რეგიონის უთუო ლიდერის – **სტამბოლის** კვალდაკვალ, რეგიონის სხვა ქალაქებმაც უნდა მოიპოვონ საინვესტიციო თუ ტურისტული მიმზიდველობა არა პოლიტიკოსების დეკლარაციული შელოცვების შედეგად, არამედ ღია კონკურენციის გზით. რომელი ქალაქი დგას **სტამბოლის** შემდეგ რეგიონში ლიდერობისთვის სრბოლაში: – **ანკარა, სოფია, ბუქარესტი, ბაქო, ერევანი, თბილისი?** სხვათა შორის, ამ შეჯიბრში ქვეყნის დედაქალაქობა თუ ცენტრალურობა სულაც არ არის აუცილებელი პირობა – ამის მაგალითი, თუნდაც, **ბათუმია**, რომელიც ერთი საუკუნის წინ განვითარების ტემპით უსწრებდა იმდროინდელ „კავკასიის დედაქალაქს“ – **ტფილისს** და ამ თვალსაზრისით მხოლოდ **ბაქოს** თუ ჩამორჩებოდა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ნავთობი იყო – მისი ტრანსპორტირება, გადამუშავება და ექსპორტი.

მაგრამ, ეს წარსულია. დღეს ქალაქის განვითარებას, მის სტატუსს თუ რეიტინგს დიდწილად განაპირობებს სხვა, არასანარმოო (ტრადიციული გაგებით) ფაქტორები. ქალაქთა კონკურენტულ ბრძოლაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ეთმობა საქალაქო პოლიტიკის, ურბან-მენეჯმენტის ახლებურ ინსტრუმენტს – **ქალაქის ბრენდინგს**, რომელმაც ათასწლეულების მიჯნაზე შეცვალა თითქმის იდენტური ცნება – **ქალაქის მარკეტინგი**. ამ ინსტიტუტის უკეთ გასაცნობიერებლად საჭიროა რამდენიმე საკვანძო ნეოლოგიზმის აპრობირებული (მაგრამ, ერთადერთი არა) განმარტება – როგორც ზოგადის, ისე სპეციფიკურის (Трубина 2011, Визгалов 2011).

**ბრენდი** – კრებსითი ხატი („იმიჯი“) ან ასოციაციათა რიგი, რომლებიც დამკვიდრებულია კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფის ცნობიერებაში – იქნება ეს ინვესტორები, დეველოპერები, მეწარმეები, მომხმარებლები, ტურისტები, სტუდენტები, ადგილობრივი თემი თუ ფართო საზოგადოებრიობა.

**ქალაქის ბრენდინგი** – ამა თუ იმ ქალაქის კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენ მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსი; ვიზუალური იდენტიფიკაციის სხვადასხვა კამპანიები თუ ტაქტიკები; ნიშნური შენობა-ნაგებობების შექმნა ან უკვე არსებულთა ახალი ხერხებით ჩართვა ქალაქის იდენტიფიკაციის კამპანიაში; ქალაქში სხვადასხვა წარმოდგენებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება (ე.ნ. „პერფომანსები“, „ივენთები“ და ა.შ.); მდგრადი, ემოციური, ფსიქოლოგიური, მენტალური (კოგნიტიური) ასოციაციების ჩამოყალიბება, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ არქიტექტურულ ობიექტს<sup>1</sup> ან ქალაქს მთლიანობაში; ქალაქის („იმიჯის“) გაუმჯობესების ან შეცვლის ქმედებათა დაგეგმვა და განხორციელება.

**ბუსტერიზმი** (ინგლ. to boost – გაფართოება, რეკლამირება) – ქალაქის სწრაფი განვითარების სტრატეგიის წინ წანევა, ნებისმიერ ფასადაც კი. ამგვარ საქმიანობაში ერთიანდებიან პოლიტიკოსები, ამბიციური მერები, მეწარმეები, დეველოპერები, უძრავი ქონების მესაკუთრენი.

**იმიჯინირინგი** (ორი ინგლისური სიტყვის ნაჯვარი – imagination და engineering) – ქალაქის ხელისუფლების მიერ სიმბოლური რესურსებით მიზანდასახული მანიპულირება.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ამ მხრივ საგულისხმოა ქ. **ლოს-ანჯელესის** სასტუმრო „ვესტინ ბონავენტურა“, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც პოსტმოდერნისტული კულტურის სიმბოლო, ინტელექტუალთა სტუმრობის კერამ. დღეს ეს სასტუმრო სორედ ამიტომ იზიდავს მრავალრიცხვან ტურისტებს და აძლიერებს **ლოს-ანჯელესის** ისედაც მძლავრ ბრენდს.

<sup>2</sup> ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენებოდა 1996 წელს ქ. **ატლანტაში** (აშშ) ოლიმპიური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით, როდესაც მუნიციპალური ხელისუფლება წარმატებით „ასაღებდა“ თავისი ქალაქის ბრენდ.

**ახალი ლოკალიზმი** – ქალაქის ხელისუფალთა რეაგირება გლობალიზაციის პროცესზე. ვლინდება იმაში, რომ ყველა ამბიციური ქალაქი ისწრაფვის გლობალიზაციის რუკაზე შესამჩნევი ადგილის დაკავებისკენ, ანუ ცდილობს მიზიდოს უცხოური ინვესტიციები და ამიტომაც დიდ სახსრებს ხარჯავს ქალაქის ბრენდინგზე.

**სიმბოლოთა ეკონომიკა** – სამენარებო კაპიტალის მიერ კულტურის სიმბოლოთა გამოყენება; ეფუძნება შემოქმედებით ინდუსტრიასა და კულტურას, როგორც განვითარების ძირითად რესურსს. ქალაქებისთვის კულტურა მთავარი პიზნესი ხდება, ხოლო კულტურის ეკონომიკა – მთლიანად ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი.

**კომოდიტიზაცია** (ინგლ. commodity – საქონელი, პროდუქტი, მოხმარების საგნები) –პროცესი, რომლის დროსაც ეკონომიკური ფასეულობის მქონე და ატრიბუტების მხრივ გამორჩეული (უნიკალური ან ბრენდი) საქონელი ადრე თუ გვიან იქცევა ჩვეულებრივ საქონლად მომხმარებლის ან, ზოგადად, ბაზრის თვალსაზრისით.

ამ ცნება-ტერმინებმა საკმარისად შემოფარგლა სტატიის ამოცანა; ამასთან, სასურველია შევეხოთ ბრენდინგის ზოგად თეორიასაც.<sup>1</sup>

საერთოდ, ნებისმიერ „საქონელს“, ქალაქის ჩათვლით, მაშინ აქვს შანსი გახდეს ბრენდი, როდესაც ის (1) კარგადაა გაგებული, აღმული და ცნობილია მისი „გასაყიდად“ განკუთვნილი თავისებურებები და (2) შემუშავებულია მარკეტინგის სისტემა, რომელიც იყენებს ამ თავისებურებებს. ქალაქთან, როგორც „საქონლის“ სპეციფიკურ სახეობასთან, მიმართებაში სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ბრენდი ეს არის:

- არა ის, რადაც **ჩვენ** მიგვაჩნია ქალაქი, არამედ ის, რადაც **ბათ** მიაჩნიათ ქალაქი;
- არა ის, თუ როგორ წარვადგენთ ქალაქს **ჩვენ**, არამედ ის, თუ როგორ აღიქვამენ ქალაქს **ისინი**;
- არა ის, თუ როგორ აღვნერთ, ვუმდერით, ვადლეგრძელებთ ქალაქს **ჩვენ**, არამედ ის, თუ როგორ ითავისებენ ამ ტექსტებს **ისინი**.

„ისინი“ განიმარტება როგორც სამიზნე ჯგუფი, რომელთათვისაც განკუთვნილია ამა თუ იმ ქალაქის ბრენდინგი.

ჩამოვთვლით ქალაქის ბრენდინგის ძირითად ფაქტორებს:

- ბრენდინგის მნიშვნელობის გაცნობიერება;
- მოტივაცია, ემოციური მუხტი;
- ბრენდინგის წესების კარგი ცოდნა;
- ბრენდინგის ფოკუსირება;
- სისადავე, აღქმის სიადვილე;
- თანმიმდევრული და კოორდინირებული დაგეგმვა;
- პარტნიორთა მობილიზება და ჩართულობა.

ყოველივე ზემოთ ჩამოვთვლილი ქალაქის ბრენდინგის ზოგადი, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობებია; კონკრეტული ფაქტორები კი შემდეგია:

- ქალაქის მატერიალური პროდუქტებით თუ სერვისებით სარგებლობის სტაბილური და ხანგრძლივი გამოცდილება;
- ადგილობრივი კულინარიისა და სასმელების მიმზიდველობა;
- პოპულარიზების მასალები (რუკები, ბუკლეტები, გზამკვლევები);
- თემატური საგაზირო და საჟურნალო სტატიები;
- მასმედიის წამყვანი საშუალებების მიერ ახალ ამბებში მოხსენიება;
- ისტორიაში, ლიტერატურაში, კინოფილმებში ფიგურირება;
- პირადი შეხვედრები ქალაქელებთან;
- მოგზაურობა ქალაქში.

<sup>1</sup> სტატიის ამ ნაწილში გამოყენებულია თბილისის V ეკონომიკური ფორუმის (2011 წ.) მასალები.

მოვიყვან ქალაქის ბრენდინგის რამდენიმე მეტაფორულ, ამასთან, მეტად არსებით რეკომენდაციასაც:

- იყავი ის, რაც ხარ;
- ქმედებები უფრო უღერადია, ვიდრე სიტყვები;
- დაბანდეთ სახსრები ქალაქების და არა ბრენდის გაუმჯობესებაში;
- სიმღერები, ვიდეოფილმები, სლოგანები – თავისთავად ქალაქის ბრენდი არ არის, ისინი თან ახლავს ბრენდს.

კონკრეტული ქალაქის წარმატებული ბრენდი ერთხელ და სამუდამოდ მიღწეული მდგომარეობა არ არის; ის მუდმივ მზრუნველობას მოითხოვს. როდის საჭიროებს ქალაქის ბრენდი გაუმჯობესებას ან კორექტირებას? როგორ ხდება ეს?

- **ბრენდის გაფართოება** გამოიყენება, როდესაც ქალაქზე წარმოდგენა პოზიტიური, მაგრამ შეზღუდულია – თემატურად, ტერიტორიულად, ქრონოლოგიურად თუ სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში და ა.შ.;
- **ბრენდის გაძლიერება** აუცილებელია, თუ ის არასაკმარისად მკაფიოა, ძალიან სუსტია, არ განსხვავდება კონკურენტ-ბრენდებისგან ან აღარ არის ეფექტიანი;
- **ბრენდის რევიტალიზაცია** (რებრენდინგი) – მიზანშეწონილია, თუ ქალაქის ბრენდი მოძველდა და და ხელს ვეღარ უწყობს დასახულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დეველოპერულ მიზნებს. ქალაქის ბრენდინგის ფორმირება ქალაქების სერიოზული და ზედმიწევნითი საქმიანობაა; მისი წარმართვისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ:
- შეუძლებელია ბრენდის გამოგონება ან კონსტრუირება; ბრენდი უნდა დაიმსახურო, მოიპოვო;
- არავინ იცვლის თავის წარმოდგენებს ამა თუ იმ ქალაქზე მხოლოდ განცხადებების, ვიდეოკლიპების, ფილმების, ფოტოგრაფიების, სტატიების, სიმღერების, ემბლემების, ლოგოების, ლოზუნებისა თუ სლოგანების გავლენით;
- არ არსებობს ცალსახა კორელაცია ქალაქის ბრენდინგის შედეგებსა და ბრენდინგზე დახარჯულ თანხებს შორის.

ეს ყველაფერი ბრენდინგის თეორიაა; რას გვეუბნება პრაქტიკა? ავილოთ, თუნდაც, ზოგიერთი ევროპული ქალაქის სლოგანები. აი, მათი რიგი:<sup>1</sup>

- London: The Big Smoke;
- Only Lyon;
- Do it in Budapest/Spa Capital of Europe;
- Helsinki: Welcoming Technology;
- Paris – City of Romance;
- Rome: The Eternal City;
- Glasgow: No Mean City;
- Stockholm: Venice of the North;
- Edinburgh: Athens of the North;
- I Amsterdam.

ამ რიგის გააზრებისას ვრწმუნდებით, რომ ქალაქის დამაჯერებელი სლოგანის მოძებნა არცთუ ადვილი საქმეა – ბრნეინგალე მიგნებები უღიმლამო კონსტრუქციებთან მეზობლობს. **ლონდონის** მოყვანილი სლოგანი უსაშველოდ მოძველდა და სინამდვილეს აღარ შეესაბამება; **ლიონი** მახვილგონივრულად იყენებს საკუთარი ურბანონიმის მარცვლების გადანაცვლებას;

<sup>1</sup> ეს ჩამონათვალი ინგლისურად მოგვყავს, რადგან ეს სლოგანები ორიენტირებულია საერთაშორისო აუდიტორიაზე და ამიტომ ზოგიერთი მათგანი იყენებს სწორედ ინგლისური ენის თავისებურებას, რაც, უბრალოდ, ადეკვატურად ვერ ითარგმნება.

**ბუდაპეშტი** გვარწმუნებს, რომ ყოველ ჩვენგანს იქ საქმე მოეძებნება; **პელსინკი** პრიმიტიულად ტექნოკრატიულია; **პარიზი** შეეძლო ამ თავისი სლოგანის დათმობა თუნდაც **ვერონასათვის** და დამაჯერებლად აელორდინებინა საკუთარი, ძველი ლათინური „Fluctuat Nec Mergitur“ („მერყევი, მაგრამ ჩაუძირავი“) – **პარიზის** შუასაუკუნოვან გერბზე აღბეჭდილი ნავის თანმხლები დევიზი); **გლაზო** გვაიძულებს დავფიქრდეთ, ამ შემთხვევაში სიტყვა „mean“-ის რომელი მნიშვნელობა მივუსადაგოთ მის სლოგანს; **სტოკჰოლმში** და **ედინბურგში** ერთხმად დაადასტურეს საკუთარი მეორადობა. ალბათ, დასახულ მიზანს ყველაზე წარმატებით მიაღწია **ამსტერდამში** – მის სლოგანში არის სემანტიკური ინტრიგაც და ორიგინალობის ბრწყინვალებაც. ფრჩხილებში ვიტყვით, რომ ქალაქის სლოგანის შეუდარებელ ნიმუშად რჩება კლასიკური I love NY.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნების დედაქალაქები სარგებლობენ უფრო არა სლოგანებით, არამედ ეპითეტური მეტსახელებით – **ბაქოსთვის** ეს არის „ქარების ქალაქი“ (მეტეოროლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე), **ერევნისთვის** კი – „ვარდისფერი ქალაქი“ – ძირითადი სამშენებლო მასალის – არტიკის ტუფის შეფერილობის გამო.

რა ხდება ამ მხრივ **თბილისში?**

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენი დედაქალაქი სარგებლობს სლოგანით – „თბილისი – ქალაქი, რომელსაც უყვარსარ“ (ინგლისურად: „Tbilisi – the City that Loves You“). სლოგანის ავტორია ცნობილი სპეციალისტი **ჯიმ თომას ჰამბერგი** – მას ეკუთვნის ისეთი კომპანიების სლოგანები, როგორცაა „რიბოკი“ და „ნოკია“. სლოგანი საკმაოდ ზოგადია – სამიზნე ჯგუფის მოუხსენიებლობა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქალაქის სიყვარული უნივერსალურია და ის ვრცელდება ყველა თბილისელზე თუ ტურისტზე. ამასთან დაკავშირებით ერთმა ამერიკელმა ექსპერტმა ასეთი სარკასტული რედაქცია ჩაუტარა ამ სლოგანს: „Tbilisi – the City that Loves [Some] of You“ და კითხვით ფორმაში ჩამოთვალა მოსახლეობის ის ჯგუფები, რომლებიც, მისი აზრით, ვერ გრძნობენ ქალაქის მხრიდან განსაკუთრებულ სიყვარულს. ჩემს საკუთარ შეხედულებებთან ერთად, ამ კითხვათა და, შესაბამისად, მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების ნუსხა შეიძლება შემდეგი იყოს:

- მათხოვრები ქუჩებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში,
- თბილისელები, რომლებიც ნაგვის კონტეინერებში იქექებიან,
- ქვეითები, რომლებიც უნდებიან წინააღმდეგობების გადალახვას ტროტუარებზე და უადგილოდ პარკირებულ მანქანებს შორის,
- უნარშეზღუდული პირები, რომლებიც არ ჩანან თბილისის ქუჩებში და საკუთარ ბინებში სამიდღემშიო პატიმრობას იხდიან,
- ზამთრობით გაყინული უსახლკაროები და მიუსაფარი ბავშვები,
- ახალი ქსენოფონბის ობიექტები – აფრიკელები, ინდოელები, ჩინელები,
- ქალაქის ქუჩებში საზოგადოებრივი ტუალეტების გამწარებული მაძიებლები...

ცხადია, ეს კითხვები რიტორიკულია და მსგავსი პრობლემები მოიძებნება მსოფლიოს ყველა ქალაქში. მთავარი ისაა, რას აკეთებს ქალაქი ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად თუ არა, შესარბილებლად მაინც; რომელი მუნიციპალური პროგრამებია ამოქმედებული თითოეული პრობლემური მიმართულებით . . .

მიმზიდველი იმიჯისა და, საბოლოოდ, კონკურენტუნარიანი ბრენდის შესაქმნელად ქალაქები მრავალფეროვან ხერხებს მიმართავენ – მათ შორის სკანდალურსა თუ ეპატაჟურს – და საამისოდ ყველა შანსს იყენებენ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქ. **ლეოვის** – ამ ამბიციური, **უკრაინის** „კულტურული დედაქალაქის“ წინდებაზე პრეტენზიის მქონე ქალაქის პრაქტიკა. აქ ეფექტურად უნევენ ექსპლუატაციას იმ ფაქტს, რომ **ლეოვის**, 1836 წელს, დაიბადა მაზოხიშმის ცნობილი იდეოლოგი – **ლეოპოლდ ფონ ზახერ-მაზოხი**. ტურისტების მოზიდვის მიზნით, **ლეოვი**

თავის თავს მაზოხიზმის მსოფლიო დედაქალაქად მიიჩნევს. ეს ისტორიული ფაქტი მხოლოდ გზამკვლევებში როდია მოხსენიებული – შესაბამისად წოდებული და გაფორმებული კაფე იყავებს საპატიო მესამე ადგილს მსოფლიოს ყველაზე უცნაურ რესტორაციებს შორის – Pay as You Wish მსოფლიო ქსელსა და რესტორან EL Tintero **მალაგაში** (ესპანეთი); ამ უკანასკნელში კერძები აუქციონზე გამოაქვთ.

**ლოკოს** ბრენდინგში კიდევ ერთი თემაა ასახული. ეს არის გამძაფრებული ანტისოვეტიზმი და რუსოფონია – მართალია, ინსცენირებული, მაგრამ შოკისმომგვრელი ფორმით. პირველ შემთხვევაში ეს არის **II მსოფლიო ომის** შემდგომი პერიოდის ანტისაბჭოთა მოძრაობის ხელმძღვანელის **სტეფან ბანდერას** მონუმენტი; მეორე შემთხვევაში კი – ბანდერელების, ტყეში მოწყობილი მიწურის ინტერიერის მიმბაძველი რესტორანი, რომლის შესასვლელში კლიენტებს ხვდება „პარტიზანი“ ავტომატითა და გამაოგნებელი კითხვით – „არიან თქვენში რუსები?“ თუ გავიხსენებთ, რომ ქალაქის ბრენდინგზე „შთაბეჭდილებათა ინდუსტრიაც“ მუშაობს, შთაბეჭდილება, ამ შემთხვევაში, აშკარად მიღწეულია.

ქალაქის ბრენდინგის გაცილებით უფრო აკადემიური მიმართულება UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“ მოხვედრაა (სხვათა შორის, იმავე **ლოკოს** ეს პატივი ჯერ კიდევ 1998 წელს დაიმსახურა). რაც შეეხება **თბილისს**, ჩვენი ამბიციები ამ მხრივ წააწყდა საერთაშორისო ექსპერტების გამომაფხილებელ შეფასებას – 2000-ანი წლების დასაწყისში სათანადო განაცხადი კორექტული ფორმულირებით უარყოფილ იქნა – „ძველ თბილისში“ ძეგლთადაცვითი რეუმის უხამსი დარღვევების გამო. **თბილისს** მიეცა „საშინაო დავალება“ მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომლის ნაწილი ნამდვილად შესრულდა (კანონმდებლობის დახვეწა, მართვის ფორმის ოპტიმიზება, არქიტექტურის ძეგლთა ინვენტარიზაცია, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება). 2007 წლიდან „ძველი თბილისში“ ხელმეორედ წარდგენილ იქნა UNESCO-ში და დღემდე იმყოფება ე.წ. წინასწარ თუ გამოსაცდელ სიაში. მაგრამ, ამასთან ერთად, ურბანული მემკვიდრეობის დაცვის პოზიციებიდან შეუსაბამო ობიექტის მშენებლობა დღემდე გრძელდება, რასაც UNESCO-ს პირუთვნელ ექსპერტებს ვერ გამოაპარებ.<sup>1</sup>

საქმე ისაა, რომ წარმატებული ბრენდინგის შედეგად სამიზნე ჯგუფის თვალში კონკრეტული ქალაქი გაიგივებული უნდა იყოს კონკრეტულ ვიზუალურ „კადრებთან“ და პირიქით; ანუ ქალაქისა და მისი ბრენდის შემქმნელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ერთეულს, შენობა-ნაგებობასა, თუ მათს კომბინაციას შორის მდგრადი და მუდმივად ხელშეწყობილი ასოციაცია უნდა არსებობდეს. ამის მაგალითები მსოფლიო პრაქტიკაში უხვადაა – **ეფელის კაშკი, თავისუფლების ქანდაკება, ქრისტეს ქანდაკება, ოპერის თეატრი** მყისიერად იწვევს ასოციაციას, შესაბამისად, **პარიზთან, ნიუ-იორკთან, რიო-დე-ჟანეიროსთან, სიდნეისთან**.

**თბილისისათვის** ამგვარი „ვიზუალური პარათი“ იყო **მთანმინდის** პუნქტრივ-არქიტექტურული კომპლექსი, კულტურის ნიშნური ელემენტების მრავალსაუკუნოვანი დანაშრევით. ამიტომაც, ამბიციურ ქალაქს, როგორიც **თბილისია**, უფლება არ ჰქონდა დაეშვა **მთანმინდის** ფერდობებზე მრავალსართულიანი სახლების შემოტევა ან **I გიმნაზიის** უკან ფარდა-შენობის აგება...

UNESCO-ს ხსენებულ სიაში მონაწილეობასთან ერთად, ქალაქების ბრენდინგში დიდი როლი მიეკუთვნება **ეკოტურის კულტურული დედაქალაქის** თემას, უფრო სწორედ, ამ უაღრესად პრესტიული სტატუსისკენ მისწრაფებას. ბოლო დრომდე ცოტა ვინმემ თუ იცოდა პატარა ტრან-

<sup>1</sup> სხვათა შორის, UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ათასამდე ობიექტია შეყვანილი, მათ შორის 3 **საქართველოდან** – „ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი“, „მცხეთის ისტორიული ძეგლები“ (არსებითად, ჯვრის, სვეტიცხოვლისა და სამთავროს მონასტრები) და „ზემო სვანეთი“ (რეგიონი). ამათგან პირველი ორი გადაყვანილია „საფრთხეში მყოფ ძეგლთა“ სამწუხარო კატეგორიაში; სავარაუდოა, რომ იგივე ბედი ენევა „ზემო სვანეთსაც“, **მესტიაში** განხორციელებული არაკორექტული რეაბილიტაციის შედეგად.

სილვანური ქალაქის – **სიბიუს** არსებობა. დღეს კი **სიბიუს** ბრენდი უკავშირდება **უვროპული კულტურული დედაქალაქის** სტატუსს, რომელიც მან რამდენიმე წლის წინ მოიპოვა.

რას ნიშნავს ეს სტატუსი, როგორია მისი ისტორია?

1980-იან წლებში, როდესაც მსხვილი ევროპული ქალაქების უმრავლესობა დეინდუსტრიალიზაციამ მოიცვა და წარმოების ტრადიციულმა დარგებმა დაკარგა როგორც ეკონომიკური, ისე სიმბოლური მნიშვნელობა, **საბერძნეთის კულტურის მინისტრმა** – გამოჩენილმა მსახიობმა **ელინა მერკურიმ** ევროპულ ქალაქებს ღირსეული მეტოქეობის ახალი იდეა შესთავაზა. ეს იყო შეჯიბრი **უვროპის კულტურული ქალაქისათვის** – ასეთი იყო იმ დროს მოსაპოვებელი სტატუსის ფორმულირება. იდეა რეალობად იქცა და პირველ ასეთ ქალაქად, გასაგები მიზეზების გამო, გახდა **მერკურის მშობლიური ათენი**. მომდევნო წელს, ასევე ბუნებრივად, ეს სტატუსი **ფლორენციამ** მოიპოვა.

სულ მალე ამ მასშტაბურმა პროექტმა ევროპის რუკაზე თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა; ის გახდა ამბიციური და შემოქმედებითი ქალაქების ახლებური პოზიციონირების ძლიერი ფაქტორი, ქალაქების კულტურული პროდუქტების გაყიდვის ქმედითი წინაპირობა. ყოველივე ეს, საბოლოოდ, ემსახურება ევროპულ ქალაქებს შორის გაშლილ კონკურენციას, რომელმაც, როგორც ზემოთ ითქვა, ქვეყნებს შორის კონკურენცია შეცვალა. 1985 წლიდან ეს ინიციატივა გახდა ქალაქების კულტურული ცხოვრების და, ფართო გაებით, ურბანული განვითარების რეზონანსული მოვლენა. სადღეისოდ, ორმოცხე მეტი ქალაქი უკვე იყო ამ პრესტიული წოდების მფლობელი.

რას ნიშნავს ქალაქისათვის იყოს **უვროპის კულტურული დედაქალაქი?**

უწინარესად, სულაც არ არის აუცილებელი ქალაქი-პრეტენდენტი იყოს ქვეყნის დედაქალაქი. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მან მკაფიოდ განმარტოს საკუთარი როლი ევროპული კულტურის მრავალფეროვან სცენაზე; განაახლოს და განავითაროს კავშირები ევროპულ კულტურულ სამყაროსთან. შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქის აქტიურობას ევროპულ კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი დეტალური პროგრამა და სამოქალაქო გეგმა, რომლებიც ასახავს საზოგადოებრიობის ფართომასშტაბურ ჩართულობას ურბანული განვითარების სხვადასხვა მიმართულებაში – ადგილობრივი ტრადიციების, აგრეთვე, ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. აპლიკანტ-ქალაქებისათვის დაწესებული პროცედურები მრავალსაფეხურიანი და ხანგრძლივია; პრიმიტიული PR-ითა და თვალებში ნაცრის შეყრით აქ ფონს ვერ გახვალ. საძიებელი სტატუსის მინიჭების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს **უვროკავშირის საბჭო**.

სენებული ათენისა და ფლორენციის შემდეგ, 1987-1999 წლებში, ეს სტატუსი თანმიმდევრობით მოიპოვეს შემდეგმა ქალაქებმა: **ამსტერდამი – დასავლეთ ბერლინი – პარიზი – ვლაზო – დუბლინი – მადრიდი – ანტვერპენი – ლისაბონი – ლუქსემბურგი – კოპენჰაგენი – სალონიკი – სტოქჰოლმი – ვაიმარი**. თანდათან, დაინტერესებულ ქალაქთა კონკურენცია იმდენად გამძაფრდა, რომ 2000 წელს პრესტიული ტიტული ერთდროულად 9 ქალაქმა გაიყო: მათ შორის იყვნენ: **რეიკიავიკი, პარადა და კრაკოვი**. საგულისხმოა, რომ ამ სამეულში პირველი წარმოადგენდა **უვროკავშირის** არანევრ ქვეყანას, დანარჩენო თრი კი **უვროკავშირთან** ახლად შემოერთებულ ქვეყნებს. **უვროკავშირის** გაფართოების ახალი ტალღა აღინიშნა სტატუსის მინიჭებით უკვე ნახსენებ ქ. **სიბიუსათვის** (რუმინეთი), რომელშიც სერიოზულ კულტურულ გავლენას ახდენს მრავალრიცხოვანი გერმანული თემი. 2009 წელს **უვროპული კულტურული დედაქალაქის** სტატუსი ქ. **ვილნიუსს** ეკუთვნოდა, რომელიც 1994 წლიდან ირიცხება UNESCO-ს „კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში“.

სადღეისოდ, პრაქტიკაშე იცია შეიცვალა და ყოველ წელს ორი, მოგვიანებით კი სამი ქალაქი გახდება ამ სტატუსის მატარებელი. საერთოდ, ქალაქების პრენდინგის ამ მსხვილმასშტაბური პროექტის პოპულარობაზე მეტყველებს ის, რომ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნომინანტ-ქალაქების წარმომდგენი ქვეყნების სია უკვე დამტკიცებულია 2025 წლის ჩათვლით.

- 2013 წ. – საფრანგეთი და სლოვაკეთი (შესაბამისად, მარხელი და კოშოცე);
- 2014 წ. – შვედეთი და ლატვია (უძეო და რიგა);
- 2015 წ. – ბელგია და ჩეხეთის რესპუბლიკა (მონსი და პლზენი);
- 2016 წ. – ესპანეთი და პოლონეთი (სან-სებასტიანი და ვროცლავი);
- 2017 წ. – დანია და კვიპროსი;
- 2018 წ. – ნიდერლანდები და მალტა;
- 2019 წ. – იტალია და ბულგარეთი;
- 2020 წ. – რუმინეთი, სერბეთი, ირლანდია;
- 2021 წ. – საბერძნეთი, ხორვატია, შვეიცარია;
- 2022 წ. – დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, თურქეთი;
- 2023 წ. – ნორვეგია, ლიტვა, ბოსნია და ჰერცეგოვინა;
- 2024 წ. – გერმანია, უკრაინა, აღმანეთი;
- 2025 წ. – ავსტრია, ისლანდია, მონტენეგრო.

ამ გრძელ სიაში ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ **საქართველო** მასში არ მოიძებნება. რას ნიშნავს ეს – ელემენტარულ გულგრილობას, გააზრებულ უიმედობას, მიზნის სიშორეს თუ ვიწრო პოლიტიკურ მიზნებთან შეუთავსებლობას?<sup>1</sup>

თუ რა მოაქვს ქალაქისათვის **ევროპული კულტურის დედაქალაქობას**, კარგად მოწმობს **ტალინის** მაგალითი, რომელიც 2011 წელს, **ფინეთის** ქალაქ **ტურკუსთან** ერთად, ფლობდა ამ სტატუსს. **ტალინმა** ეფექტიანად გამოიყენა ეს შანსი და დაუკავშირა განვითარების ურბანისტულ პროგრამას. ტალინში წლის განმავლობაში განხორციელდა მრავალი პროექტი – მათ შორის, გაიხსნა **ზღვისპირა პრომენადა**, რეაბილიტირებულ იქნა **თავისუფლების მოედანი** და სხვა.

ტალინელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიზიდა ღია კონკურსმა საპროექტო იდეებზე; დარეგისტრირდა 1000-მდე ინვაციური ურბანისტული იდეა თუ წინადადება; უკვე რეალიზებულთა შორის გამოვყოთ **საბავშვო მუზეუმის** განახლება, „ძველი ქალაქის“ ქვეშ საავტომობილო გვირაბის გაყვანა, **ზღვის მუზეუმი**, პენიტენციალური დაწესებულება და, განსაკუთრებით, „კულტურული ქვაბი“ – არქიტექტურულად გაფორმებული საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც განკუთვნილია მრავალფეროვანი ერთჯერადი და ხანგრძლივი კულტურული პროგრამების ჩასატარებლად.

ამის გარდა, ჩატარდა 251 პროგრამული ღონისძიება, მათ შორის მეწყვილე ქალაქ **ტურკუსთან** ერთობლივად. ზოგიერთი სპეციფიკური პროექტი ორიენტირებული იყო ახალგაზრდობაზე, ეროვნულ უმცირესობებზე, ურბანული გარემოს გაუმჯობესებაზე. ქალაქმა შეასრულა ისეთი მოთხოვნაც, როგორიცაა ღონისძიებების მომსახურე 500 მოხალისის მომზადება ტურისტების შესახვედრად. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად გაძლიერდა **ტალინის** ბრენდი, რა დონეზე ასწია მისი ფასი „ქალაქთა ევროპულ ბირჟაზე“.

ქალაქის ბრენდზე მნიშვნელოვნად მოქმედებს რეიტინგები, რომლებსაც ადგენენ მრავალ-რიცხოვანი უცხოური თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. უფრო სწორედ, ამ შემთხვევაში, ბრენდსა და რეიტინგს შორის კავშირი ორმხრივია. რეიტინგები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით დგება. მაგალითად, საიტზე europeancitiesmonitor.eu გამოქვეყნებულია 40-მდე ევროპული ქალაქის, ძირითადად, დედაქალაქების, 2010 წლის რეიტინგები მრავალი მახასიათებლების მიხედვით. საკვლევ ქალაქთა წინასწარ შერჩეულ ჩამონათვალში **თბილისი** არ არის მოხვედრილი; პოსტისაბჭოური სივრციდან იქ მხოლოდ **მოსკოვია**. ეს გასაკვირი არც არის. ჩვენთვის კი ის არის

<sup>1</sup> სხვათა შორის, როდესაც 2011 წელს ამ პროექტში **საქართველოს** ჩართვის წინადადება „სათანადო ინსტანციას“ მივაწოდეთ, ვაკანსიები შევსებული იყო მხოლოდ 2019 წლამდე.

- მნიშვნელოვანი, თუ რომელი პარამეტრებით აფასებენ ამ შემთხვევაში ევროპულ ქალაქებს ექ-სპერტები. მოგვყავს ეს პარამეტრები და ლიდერ-ქალაქების შესაბამისი სამეულები.
- (1) ბიზნესის განსათავსებლად საუკეთესო ქალაქები (ლონდონი, **პარიზი, ფრანკფურტი;**)
  - (2) რამდენად იცნობენ ქალაქს კომპანიები ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით (ლონდონი, **პარიზი, ბრიუსელი;**)
  - (3) ქალაქები, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავენ თავის გაუმჯობესებაზე (ბერლინი, **ბარსელონა, ლონდონი;**)
  - (4) ბაზრებზე ადვილი მისაწვდომობა (ლონდონი, **პარიზი, ფრანკფურტი;**)
  - (5) კვალიფიციური კადრების არსებობა (ლონდონი, **პარიზი, ფრანკფურტი;**)
  - (6) ტელეკომუნიკაციების ხარისხი (ლონდონი, **პარიზი, ფრანკფურტი;**)
  - (7) გარე სატრანსპორტო კავშირები (ლონდონი, **პარიზი, ფრანკფურტი;**)
  - (8) საოფისე ფართობის ღირებულება (ღირდსი, **ლისაბონი, ბერლინი;**)
  - (9) დაქირავებული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება (ვარშავა, **ბრაზისლავა, ლისაბონი;**)
  - (10) საოფისე ფართობების მისაწვდომობა (ბერლინი, **მანჩესტერი, მადრიდი;**)
  - (11) ხელისუფლების მიერ შექმნილი პირობები (დუბლინი, **ლონდონი, ვარშავა;**)
  - (12) ენების ფლობა (ლონდონი, **ბრიუსელი და ამსტერდამი;**)
  - (13) შიდასაქალაქო ტრანსპორტი (ლონდონი, **პარიზი, ბერლინი;**)
  - (14) თანამშრომელთა საცხოვრებელი პირობები (ბარსელონა, **მიუნხენი, სტოკოლმი;**)
  - (15) გარემოს სისუფთავე (სტოკოლმი, **თბილისის ბრენდინგის ეკონომიკური შემადგენლის დასაგეგმად.**

საგულისხმოა, რომ თავისი ბიზნესების ექსპანსიის განხორციელებას გამოკითხული კომპანიები, უწინარესად, აპირებენ ქ. **მოხკოვში** (გამოკითხულთა 47%) და **ვარშავაში**.

ეს მონაცემები კარგი გზამკვლევია ქ. **თბილისის ბრენდინგის ეკონომიკური შემადგენლის დასაგეგმად.**

ქალაქის წარმატებული ბრენდინგის კიდევ ერთი კომპონენტია მისი კრეატიულობა (შემოქმედობითობა). დღეს საკმაოდ გავრცელებული ცნება – „კრეატიული ქალაქი“ ურბანისტულ ლიტერატურაში შემოტანილია ბრიტანელი ურბანისტის **ჩარლზ ლენდრის** მიერ. ამ სახელწოდების წიგნი პოპულარულია; ავტორისეული განწყობების რეფრენად გამოდგება მოდერნიზებული ცნობილი სენტრიცია – „მითხარი, როგორ ქალაქში ცხოვრობ და გეტყვი, რას წარმოადგენ“. ევროპული ურბანისტული პანორამის აღნერისას **ჩ. ლენდრი** მსჯელობს: „<...> დიალექტიკური გერმანული მიდგომა ცდილობს თეორიული ბაზის ჩამოყალიბებას და თვალი გაადევნოს პროცესების განვითარებას, მოძებნოს სინთეზური გადაწყვეტები და შეათანხმოს წინააღმდეგობები. ანგლოსაქსური მიდგომა უფრო ემპირიულია, ის ეყრდნობა რეალური ცხოვრებიდან აღებულ ნათელ და წარმატებულ მაგალითებს. იტალიური ხედვა ეფუძნება მდიდარ წარმოსახვას და კულტურის ღრმა ცოდნას“ (Лენდრი 2005: 27).

**ჩ. ლენდრის** მიაჩნია, რომ ნებისმიერ ქალაქს ძალუძს გახდეს საქმიანობის რომელიმე სახის მსოფლიო ცენტრი – თუ გამოავლენს საკმარის ძალისხმევასა და გერგილიანობას. ასე გახდა **ფრანგული** (გერმანია) ეკოლოგიური კვლევების ცენტრი, **ჰეი-ონ-უაი** (უელსი) – წიგნების ვაჭრობის ცენტრი, **მონპელიე** (საფრანგეთი) – საერთაშორისო ინვაციური, ეკოლოგიური, ჯანსაღი ცხოვრების კერა.

კრეატიულობის ფილოსოფიის უკეთ გაცნობიერების მიზნით, მომყავს **დევიდ პარკინსის** გამონათქვამი: „შემოქმედებითი ადამიანები მუშაობენ საკუთარი კომპეტენციის ზონის კიდეზე და არა მის ცენტრში“ (Лენდრი 2005: 39). დღეს კრეატიულობის კერები, კულტურის ინდუსტრია წარმოადგენს ისეთი ქალაქების ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს, როგორებიცაა: **ლონდონი, მილანი, ნიუ-იორკი** თუ **ბერლინი**, სადაც ამ სექტორში დაკავებულია შრომითი რესურსების 5%-მდე. **ჰელსინკის** კრეატიულობა გამოისახა ტრადიციულ მასობრივ ღონისძიებებში – „ხელოვნებათა ღამე“, „ტოტალური ბალალაიკა“, „შუქის ძალა“. ამგვარი ქალაქებისა და მათი კრეატიულობის გამოვლენის მაგალითების გაგრძელება შეიძლება.

კონკრეტული ქალაქების ბრენდებზე შეიძლება ამუშავდეს ისეთი საინტერესო ფენომენი, როგორიცაა **დეტოპონიმიზაცია**. ამ ტერმინით აღინიშნება მოვლენა, როდესაც ესა თუ ის ტოპოსი (ადგილი, ქალაქის ტერიტორიის ჩათვლით) ერთგვარად უთმობს საკუთარ გეოგრაფიულ დასახელებას სხვადასხვაგვარ პროდუქტს, რომელიც წარმოებულია, შექმნილია ამ ადგილას ან ორგანულად დაკავშირებულია მასთან. ქვემოთ მოგვყავს დეტოპონიმიზაციის მაგალითები.

- ქსოვილი, ბენვეული, სამოსა:
- ბოსტონი, ტიული, მარენგო, ყარაკულის კრაველი, შირაზი, ქიშმირი, ფესი და ა.შ.;
- სურსათი:
- როკფორი, პარმეზანი, მირაბელი (ქლიავი) და ა.შ.;
- სასმელები:
- კალვადოსი, კონიაკი, შამპანური, ბორდო, კაგორი, ხერესი, პორტვეინი, მალაგა, ტოკაი, ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების მთელი წყება;
- ხელოვნების პროდუქტები და მასალები:
- ჩარლსტონი, ხაპანერა, ბრინჯაო, ფაიანსი და სხვა.

ამ ისტორიულ-კულტურული ფაქტების გამოყენება დეტოპონიმიზაციის მეშვეობით შესაბამის ქალაქებსა თუ რეგიონებს ხელს შეუწყობს საკუთარი ბრენდინგის ჩამოყალიბება-გაძლიერებაში.

და მაინც, ქალაქის ბრენდინგზე არაფერი მუშაობს ისე ეფექტურად, როგორც მისი არქიტექტურა, უფრო ზუსტად, ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეული არქიტექტურული ობიექტები. ამგვარი ობიექტები, ადრე თუ გვიან, ქალაქებში „სიმბოლისეული ეკონომიკის“ აღმძვრელი ხდება. ამ მხრივ, საყოველთაოდაც ცნობილი **პარიზში ეიფელის კოშკის** ბიორგაფია, რომელიც თავდაპირველად გახმაურებული სკანდალისა და კატეგორიული მიუღებლობის შემდეგ, **საფრანგეთის** დედაქალაქის სიმბოლოდ (ბრენდად) იქცა. სხვათა შორის, **ეიფელთან** დადებული კონტრაქტის თანახმად, კოშკი დროებით ნაგებობად იყო მოხსენიებული და მსოფლიო გამოფენის დახურვის შემდეგ უნდა დაშლილიყო. კოშკი რადიოს ძალუმად შემოჭრის ეპოქამ გადაარჩინა – უკეთესი რადიონების მოძებნა წარმოუდგენელი იყო.

საზოგადოებრივმა აზრმა იგივე ბედი არგუნა **პარიზების** ფილოსოფიით გადაწყვეტილ, აგრეთვე **პარიზში აგებულ, უორჟ პომპიდუს** სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრს. აქვე ვიტყვი, რომ დღეს, ტურისტების მიზიდვის თვალსაზრისით, **პარიზის** ღირსშესანიშნაობის სამეული ასე გამოიყურება: **ლუვრი, ეიფელის კოშკი, პომპიდუს ცენტრი ...**

დღეს, ამგვარი ქალაქების ბრენდმაფორმირებელი შენობა-ნაგებობების რაოდენობა სულ უფრო მატულობს. მათ შორის ერთ-ერთი ახალია ჩვენ მეზობელ **აზერბაიჯანის** დედაქალაქში „ბაქოს ალის“ აგება. და მაინც, არსებობს ერთი ობიექტი, რომელმაც ქალაქის ბრენდინგი არქიტექტურის მეშვეობის ურბანული პოლიტიკის ქვაკუთხედად აქცია. ეს შენობაა **გუგენჰაიმის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი** ქ. ბილბაოში (ბასკონია, ესპანეთის სამეფო). ამ შენობაზე, უფრო ზუსტად, მის როლზე ღირს ყურადღების გამახვილება.

მოკლედ, ისტორია ასეთია – თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა **ფრენკ ლოიდ რაიტმა XX საუკუნის** შეუ ხანებში დააპროექტა და ქ. **ნიუ-იორკში ააგო გუგენჰაიმის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი**, რომელიც ქრესთომატური, ნიშნური იმ-თავითვე გახდა. შენობას არასოდეს აკლდა არქიტექტურული კრიტიკის ხოტბა და აღფრთოვანებული დამთვალიერებლების ნაკადები. მაგრამ, ამ ბრენდის ახალი სიცოცხლე 1990-ანი წლების ბოლოს დაიწყო, როდესაც არქიტექტორმა **ფრენკ გერიმა** ააშენა ამ მუზეუმის ფილიალი ქ. **ბილბაოში. ფილიპ კონსონმა**, თავად გამოჩენილმა არქიტექტორმა, მუზეუმს „თანამედროვეობის უდიდესი შენობა“ უწოდა.

მაგრამ, მთავარი სხვაა. **გუგენჰაიმის მუზეუმმა** ძირი ესვიანად შეცვალა **ბილბაოს** ეკონომიკური ცხოვრება. თავის დროზე მეტალურგიის, გემთმშენებლობის, სატექნიკო გადაზიდვების ქალაქი, აუტოსორსინგის – მესამე სამყაროში მრეწველობის გატანის გამო, ღრმა ეკონომიკურ

დეპრესიაში აღმოჩნდა. ქალაქის ბედი მუზეუმმა შეცვალა – 10 წელიწადში მან 10 მილიონი ტუ-რისტი მიიღო. **ბილბაოში** მძიმე მრეწველობამ ადგილი დაუთმო „სიმბოლისეულ ეკონომიკას“.

მეტიც – გაჩნდა „გუგენჰაიმის ეფექტი“; ის ორი მიმართულებით გამოიხატა: პირველი – **ბილბაოშუმალ** მიიზიდა პირველი რიგის არქიტექტურული სახელები: ამ ქალაქში ხიდი დააპროექტა **სანტიაგო კალატრავამ**, მეტროს ერთ-ერთი სადგური – **სერ ნორმან ფოსტერმა**, ოფისი – **ზაჟა ჰადიდიმის მეორე გუგენჰაიმის ფონდის მუზეუმების ქსელი**, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო (ვენეცია, **ბერლინი**, **ლას ვეგასი**). 2012 წელს უნდა დასრულებულიყო მუზეუმის მშენებლობა **აბუ-დაბიში**. დაგეგმილია მშენებლობა **ზალცბურგში**, **მაკაოში**, **პონენგში**, **სინგაპურში**, **პეკინში**, **ტაივანში**, **ტოკიოში**, **ოსაკაში**, **მეხიკო-სიტიში**, **სანქ-პეტერბურგში** და – რიგით მეორე – **ნიუ-იორკში**.

ამავე დროს, ანალიტიკოსები გვაფრთხილებენ „კლონირებული“ ბრენდის „გადახურვის“ და **მაკ-დონალდსის** ბრენდთან მისი დამსგავსების თაობაზე. მაგრამ, ჯერჯერობით, გარემოებები მუშაობს ქ. **ბილბაოს** სასარგებლოდ, რომელიც ჩადგა **ესპანეთის** ტურისტულად ყველაზე მიმზიდველ ქალაქთა რიგში. 2010 წელს **ბილბაომ** ISOCARP-ის<sup>1</sup> წარდგინებით მიიღო **ლი კუან იუ**<sup>2</sup> სახელობის პრიზი, ინოვაციურ წამოწყებებში განსაკუთრებული წარმატებისთვის.

ქალაქების ბრენდინგის ესოდენ ვრცელი მიმოხილვის შემდეგ, უფრო გასაგები ხდება ბუსტერიზმი საქართველოს ზოგიერთ ქალაქში – **თბილისში, ქუთაისში, სიღნაღში, მესტიაში** და, განსაკუთრებით – **ბათუმში; ბათუმის** მაგალითი ჩაღრმავებული შესწავლის ღირსა. **თბილისის** პრაქტიკიდან გამოვყოთ ახალი საქვეითო „მშვიდობის ხიდი“. მის მიმართ აზრთა შეურიგებელი პოლარიზების მიუხედავად, ცხადია, რომ ის თავის საბრენდინგო ამოცანას მშვენივრად ასრულებს – **თბილისისა თუ საქართველოსადმი** მიძღვნილი თითქმის ყველა დასავლური სატელევიზიო რეპორტაჟი ამ ხიდის ფონზე გადაიცემა. ხიდი გახდა მასშედისთვის ერთგვარი „ვიზუალური რეფრენი“ – დედაქალაქის ახალი არქიტექტურული ბრენდი, და ეს მაიძულებს სტატიის დასრულებას რიტორიკული კითხვით – ხომ არ ემატება თითქოს და ურყევა, ორათასწლოვან ვიტრუვიუსის ტრიადად ცნობილ მოთხოვნებს არქიტექტურისადმი – „სარგებელი, სიმტკიცე, სილამაზე“ – მეოთხე, რომელიც ქალაქების ბრენდინგს სულ უფრო უკავშირდება?

## გამოყენებული ლიტერატურა:

Визгалов, В. *Брендинг города*. М., Ин-т экономики города, 2011.

Лэндри, Ч. *Креативный город*. М., Институт культурной политики, 2005.

Трубина, Е. *Город в теории. Опыты осмыслиения пространства*. М., «Новое литературное обозрение», 2011.

## LADO VARDOSANIDZE

### THE NEW REALITIES OF URBAN CULTURE – A CITY AS „COMMODITY“ AND ITS BRANDING. WHAT VITRUVIUS COULD NOT TAKE INTO ACCOUNT?

#### Summary

Among the unprecedented challenges of the urban culture which Georgia experienced unexpectedly in the last decades, the transfer of focus from normatively grounded, technically and technologically calculated and financially secured design and construction of our cities to multi-component urban management through Programs, Projects and Plans represented with the acronym (PPP) is indeed a novelty. To borrow a definition from the modern IT vocabulary, „hardware“ in urban development obviously gives priority to „software“. The former represents physical construction and the latter – urban-management.

<sup>1</sup> ISOCARP (International Society of City and Regional Planning) – ურბანისტრთა საერთაშორისო საზოგადოება, ურბანისტიკის სფეროში ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაცია.

<sup>2</sup> **ლი კუან იუ – სინგაპურის** პირველი პრემიერ-მინისტრი, „ეკონომიკური სასწაულის“ სულისჩამდგმელი.

Our architectural community was unprepared for such a metamorphosis. Multiple problems of urban development turned out beyond the control of professional architects and drift towards policy, economics, management and PR. It is indisputable that urban development was always and everywhere stipulated by ideological and political purposes; however, if we recall the Soviet practice of urban planning, architects sustained a very serious decision-making professional privilege. At present, the distribution of functions in the process of urban development has changed dramatically, which is related to the social-economic changes taking place in the process named „globalization“.

The article covers the current events against the background of globalization, which gives a new dimension to urban development. Among them is the „global cities“ and urban settlement hierarchy and a strong desire to achieve a high place in this hierarchy.

A special section is devoted to the new realities of the urban culture such as city branding, relevant technologies and methods. One of the methods of European city branding – city slogan – is considered; an attempt is made to evaluate the effectiveness of the slogans of selected cities.

In this context, the following issues are reasoned: „European Cultural Capital“ categories; efforts of Tbilisi City to be included in the „UNESCO's Cultural Heritage List“; evaluation parameters from the position of particular business interests, etc. It is emphasized that today every city has a chance to become a center of any kind of activity. „Detoponymization“ as one of the City branding trend is considered. It is highlighted that the most important component of city branding is architecture. From this position the so-called „Guggenheim effect“ is analyzed.

In the mentioned context is evaluated busterizm – rapid development strategy carried out by the authorities in a few cities of Georgia during 2004-2012. Some examples of urban reality of Georgia are given.

The article ends with a rhetorical question: Is there an attempt to add one more requirement (which is connected with branding of contemporary cities) to the firm, two millennial Vitruvian triad of demands and ideals that must be met in architecture – „*firmitas, utilitas, venustas*“?

## მანანა ჯავახიშვილი

### ქალაუფლების გადანაწილება (კორონაციის რიტუალი)

მეფის ან იმპერატორის კორონაცია შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ სივრცეში მისი ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და ძალაუფლების რეპრეზენტაციის სიმბოლური გამოხატულებაა. ამავე დროს ეს არის სასულიერო და საერო წოდებათა შესვედრის ადგილი, რომელშიც საინტერესოდ აისახება ამ ორი ფენის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთმიმართების მნიშვნელოვანი მომენტები.

სამეფო კორონაციის დასავლეთევროპული ტრადიცია ოთხი მთავარი ელემენტისაგან შედგება: 1) არჩევისგან; 2) თანხმობისა და აკლამაციისგან; 3) მისალმებისა და 4) კორონირებისაგან. პირველად ეს ოთხივე ელემენტი ერთად მხოლოდ კარლოს დიდის კორონაციისას გვხვდება რომელი 800 წელს საშობაო ლიტურგიის დროს.

#### 1. კორონაცია და მირონცხება: საერო და სასულიერო აქტები, წოდებათა შესვედრის ადგილი

კორონაციის სინონიმად ითვლება მირონცხება.<sup>1</sup> ორივე ტერმინი – კორონაციაც და მირონცხებაც თანაბრად აღნიშნავს მეფედ დამტკიცების მკაცრად ფორმალურებულ პროცედურას.

ევროპის ბარბაროსთა ქრისტიანიზაციის შემდეგ ეკლესია ცვლის ძალაუფლების მატარებელთა ხარიზმის კონცეფციას. ამიერიდან ძალაუფლების მფლობელთა განსაკუთრებული, დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც მათ უბრალო მოკვდავთაგან გამოარჩევს, განხილულია, როგორც ზეციდან მონიჭებული წყალობა, რომელიც მირონცხებით აღინიშნება (Джексон 2003: 229-230).

ძველი აღთქმის მიხედვით, ეს საიდუმლო ჯერ კიდევ ისრაელის მეფეებზე ტარდებოდა. მეფის თავზე მირონის დადება (სულინმიდის გადმოსვლის რიტუალური სინონიმი) უნდა ასახავდეს ბიბლიაში აღნერილ ისრაელის მეფეთა კურთხევას მღვდელმთავართა მიერ, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება მეფე დავითის მნიშვნელოვან ფიგურას ქრისტიანულ მეტაფორიკაში (Джексон 2003:230).

მირონცხებას დასავლეთ ევროპაში ახლად გაქრისტიანებულების კონფირმაციის დატვირთვა ჰქონდა. პირველად VII ს-დან ვესტგოთების სამეფოში დამკვიდრდა მირონცხების რიტუალი, შემდეგ კი – ფრანკთა სამეფოში. თუმცა არც ერთი მეროვინგი ყოფილა მირონცხებული.

ევროპაში მირონცხება-კორონაციის რიტუალის რეალური ისტორია VIII საუკუნიდან იწყება. 751 წელს პიპინ მოკლემ მონასტერში გამოკეტა უკანასკნელი მეროვინგები და რეალურ ძალაუფლებასთან ერთად სამეფო ღირსებებიც მიინერა, პიპინმა ამ უზურპაციის დასაფარად ეკლესიის ავტორიტეტი მოიშველია. 751 წელს პაპის ლეგატმა ვინფრიდმა (იგივე ბონიფაციუსმა, 672/3-754) ფრანკთა მეფის პიპინ მოკლეს მირონცხება განახორციელა, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა ახალ პოლიტიკურ რიტუალს. 754 წელს ეს რიტუალი იმავე მეფეზე განმეორდა, მაგრამ ამჯერად პაპის – სტეფანე III-ის (752-757) მიერ. ახალ დინასტიას ბიბლიური, ქრისტიანული ცერემონიალით უნდა მოეხდინა ლეგიტიმაცია. პიპინი გახდა პირველი ფრანკი მეფე, რომელიც მღვდელმთავრის ხელით იყო მირონცხებული. VIII საუკუნეშივე იგივე ცერემონიალი ინგლისა და მთელ დასავლეთ ევროპაში მკვიდრდება.

<sup>1</sup> ღათინურად — consecration, inauguration, coronation; გერმანულად – Weihe და Kronung; ფრანგულად – consecration, couronnement ან sacre.

800 წლის 25 დეკემბერს რომში წმ. პეტრეს ტაძარში პაპი ლეონ III კარლოს დიდს იმპერატორად აცხადებს, თავზე გვირგვინს ადგამს. კარლოს დიდი, რომელიც მანამდე მეფედ იყო მირონცხებული, იმპერატორად კურთხევისას ხელმეორედ აღარ იქნა მირონცხებული. პირველი ხელმწიფე, რომელიც იმპერატორად კურთხევისას მირონცხებული იყო, გახლდათ კარლოს დიდის ვაჟი – ლუი დვითისმოსავი (814-840). მისი მირონცხება და კორონაცია შედგა რეიმსში 816 წელს პაპ სტეფან IV-ის (768-772) მიერ. ამიერიდან ეს ორი რიტუალი პრაქტიკულად განუყრელი გახდა.

საფრანგეთში შარლ მელოტის (843-877) დროიდან, ხოლო ინგლისში IX საუკუნიდან მეფეებზე ჯერ მირონცხებას ატარებდნენ, ხოლო შემდეგ კორონაციას. მეფისადმი მიცემული ინსიგნიების რაოდენობაც იზრდებოდა. უკვე კარლოს მელოტის დროიდან გვირგვინთან ერთად სკიპტრაც გაჩნდა. რიტუალი ორი ნანილისაგან შედგებოდა: ჯერ ინსიგნიებს (გვირგვინ-კურთხევა) ჩუქნიდნენ, ხოლო შემდეგ – მირონცხება ხდებოდა. ასე დაიბადა კორონაციის ცერემონიალი.

IX საუკუნის ბოლოსათვის ჰინკმარი (806-882),<sup>1</sup> რეიმსის არქიეპისკოპოსი (845-882), ტექსტებს ადგენს, რომლითაც კორონაცია წარმოადგენილია ერთიან ცერემონიალურ მოქმედებად, რომელსაც სხვადასხვა შემადგენელი გააჩნია. ეს ტექსტები (კორონაციული წესები, *ordines coronationis*) ნორმატიულ საფუძველს უყრის დასავლეთ ევროპის კორონაციულ რიტუალებს; დღესაც ინგლისური კორონაციის სცენარში ჩართულია ჰიმნები და ლოცვები, რომელიც ჰინკმარის მიერ იყო შექმნილი ან რედაქტირებული (Fisquet 1864: 38-46; Teijs 1993: 49-50).

მეცნიერები დაობენ იმის შესახებ, თუ რომელი რიტუალი, მირონცხება თუ კორონაცია, იყო პრაქტიკაში თავდაპირველად; მეფის მირონცხებას მარკ ბლოკი რეალურად ნათლობას უწოდებს (Bloch 1983). მისი აზრით, კორონაცია ვინრო გაეგბით, ანუ გვირგვინის თავზე დადგმის რიტუალი ევროპაში წინ უსწრებდა მირონცხების რიტუალს. არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც (კ. ბრიული), რომლის მიხედვითაც, მირონცხება თავიდანვე ერთიანდება კორონაციასთან რიტუალურ პრაქტიკაში (Bruhl 1982: 1-31). რ. ჯერსონის აზრით კი, თავდაპირველად კორონაცია განიხილებოდა, როგორც საერო აქტი, ხოლო მირონცხება – როგორც სასულიერო (Джексон 2003: 229-231).

ქვემოთ შევცდებით ვაჩვენოთ, რომ შუა საუკუნეებში კორონაცია-მირონცხება ორი წოდების: საერო და სასულიერო ფეხების წარმომადგენელთა შეხვედრის სიმბოლურ ადგილად იქცა, რომელმაც გარკვეულნილად ასახა ამ წოდებათა ურთიერთდამოკიდებულების საინტერესო ას-ჰექტები.

## 2. საერო თუ სასულიერო ძალაუფლება: ძალაუფლების გადანაწილება?

მონარქი მორონცხებას სასულიერო პირის მსგავსად იღებს. შუა საუკუნეებში ხელმწიფე – ღვთის მიერ ცხებული (christus Domini) ჩვეულებრივ საერო პირად არ განიხილება. შუა საუკუნე-



უან ფუკე, შარლ VI-ის კორონაცია  
რეიმსში (1380 წ.).

<sup>1</sup> ჰინკმარი დიდი რაოდენობით საღვთისმეტყველო, ჰაგიოგრაფიული და საეკლესიო-სამართლებრივი თხზულებების ავტორია («ღვთიური წინასწარგანსაზღვრულობისა და თავისუფლების შესახებ» (*De praedestinatione Dei et libero arbitrio*; 859/860), «ლოტარისა და ტეტბერგის გაყრაზე» (*De devocio Lotharii et Teutberge*; 860), «მეფის პიროვნებასა და სამეფო სამსახურზე» (*De regis persona et regio ministerio*; 873), «მიტროპოლიტების უფლებებზე» (*De jure metropolitanorum*; 876), «დარიგებები მეფე ლუდოვიკის» (*Instructio ad Ludovicum regem*; 878), «სასახლის მოწყობაზე» (*De ordine palati*; 882). მას ასევე ეკუთვნის მრავალი წერილი და «რემიგიუსის ცხოვრება» (*Vita Remigii*).

ებში გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ მონარქი მირონცხებით დაბალ საეკლესიო ჩინს – დიაკვანს უთანაბრდებოდა.

მეფები ლვის რჩეულები იყვნენ. მირონცხება ხელისუფალთ უბრალო ხალხზე მაღლა აყენებდა, რადგან ისინი ამ პრივილეგიას ეპისკოპოსებთან და მღვდლებთან ერთად იზიარებდნენ. ცერემონიის ჩატარების დროს მღვდელი წამიერად მონარქზე მაღლა იდგა, რომელიც მორჩილად იღებდა მისგან მირონს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ მეფე ტახტზე ასულიყო, მას მღვდელი ესაჭიროებოდა.

ამ რიტუალმა ერთმანეთს შეახვედრა ხელისუფლების ეს ორი შტო და, იმავდროულად, გარკვეულწილად გვიჩვენა მათი ურთიერთმიმართება: ვინ უფრო მაღლა დგას? ვისი ძალაუფლებაა უფრო მნიშვნელოვანი – სასულიერო თუ საერო პირის? ერთი ფაქტია, საერო ხელისუფალის, მეფის, მონარქის მირონცხებისა და კორონაციის რიტუალი წარმოუდგენელია სასულიერო პირის მონაწილეობის გარეშე, შესაბამისად, საერო ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ გახდება სასულიერო ხელისუფლების ჩარევის გარეშე; ეს ფაქტი, თავისთავად, კლერიკალებს საერო პირებზე მაღლა აყენებს. ეს რიტუალი, რომელიც საერო პირებზე ტარდება, ნათლად გვიჩვენებს სასულიერო პირთა დიდ ძალაუფლებას მათზე, მაგრამ აქვე უნდა დავამატოთ, რომ ეს პრივილეგია დროებითა, მხოლოდ რიტუალის ჩატარების დროსაა (და რა თქმა უნდა, რიგ შემთხვევებში კორონაციამდე) მნიშვნელოვანი; ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც შემდგომ საერო ხელისუფალი უხეშად ერევიან სასულიერო საკითხებში და ამ სფეროს საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა სურთ.

თავის მხრივ, კლერიკალებიც ცდილობენ საკუთარი ძალაუფლების წარმოჩენას. «სწორედ მირონცხებას, ეპისკოპოსის, სასულიერო პირის ქმედებას, სწორედ მის დალოცვას და არა მიწიერ ძალაუფლებას უნდა უმადლოდეთ თქვენ სამეფო ლირსებებს», – წერდა პინკმარი 868 წელს შარლ მელოტს (Bloch 1983: 45). მისი აზრით, ნამდვილი მეფე მირონცხების გარეშე არ არსებობს, რაც უნდა დიდი ამქვეყნიური პრეტენზიები ჰქონდეს მას. პინკმარის მიერ შედგენილ სენტ-მაკრის ტაძარის აქტებში წერია: „პრელატების ლირსება მეფის ლირსებაზე მაღლა დგას: რადგან მეფენი პრელატებისაგან იღებენ კურთხევას“ (Bloch 1983: 49). პინკმარი იმეორებდა, რომ ქრისტეს მოსვლის შემდეგომ არავის შეეძლო ერთდროულად მღვდელიც ყოფილიყო და მეფეც. ამდენად, პინკმარი არ უშვებს საერო ხელმწიფის სასულიერო პირზე ბატონობისა და მისი ხელისულფების უპირატესობის იდეას. 1198 წელს პაპი ინოკენტი III (1198-1216) სასულიერო და საერო ხელისულფებას მზისა და მთვარის ურთიერთმიმართებას ადარებს: – როგორც მთვარე იღებს შუქს მზისაგან, ისე საერო ხელისუფლებას ლეგიტიმაციას სასულიერო წოდება ანიჭებსო. ასევე ცნობილია შუა საუკუნეებში განვითარებული ორი მახვილის თეორია, რომელიც სახარებისეულ ტექსტებს ეყრდნობა (ლუკა 22, 38; რომალთა მიმართ 13, 3-4) და რომლის მიხედვითაც, ეკლესია ღვთისაგან ორივე მახვილს იღებს, ხოლო შემდეგ, თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად, ერთ მახვილს საერო ხელისუფლებას გადასცემს. საერო და სასულიერო ხელისუფლების არათანაბარი ძალა გამოვლინდა ინოკენტი III შედარებაში, როდესაც მან ეკლესია სულ შეადარა, ხოლო საერო ხელისუფლება – სხეულს. შუა საუკუნეებში პაპობის თვალსაზრისით, სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა იდგა.

იმპერატორის კორონაციის აუცილებელი მოთხოვნა იყო მისი რომში ჩატარება და ცერემონიის თავად რომის პაპის მიერ გაძლოლა. საინტერესოა, რომ ცერემონიალის დროს იმპერატორს ორჯერ უნდა ეკოცნა პაპისთვის ფეხზე, დაედო საკორონაციო ფიცი (განსხვავდებოდა მეფეთა მიერ დადებული ფიცისაგან); ხოლო ლიტურგიის დასრულების შემდეგ იმპერატორი ატარებდა რიტუალს სახელწოდებით „მეჯინიბქეს სამსახური“, მას უნდა დაეჭირა იმ ცხენის აღვირი, რომელზეც პაპი უნდა დამჯდარიყო.<sup>1</sup> ამდენად, საერო ხელისუფალი ამ აქტებით პაპის მიმართ სრულ მორჩილებასა და პატივისცემას, მის მიმართ ვასალურ დამოკიდებულებას უჩვენებდა.

მეფის ლეგიტიმაციისათვის აუცილებელი გახდა კორონაცია. უანა დ'არკი შარლ VII-ეს დოფინს უნიდებს, მანამ იგი კორონირებული არ გახდება. კორონაცია არის საერო ხელისუფლების

<sup>1</sup> ბოლო იმპერატორი, რომელიც პაპმა აკურთხა 1433 წელს, იყო სიგიზმუნდი, ხოლო ბოლო იმპერატორი, რომელიც იტალიაში იყო კორონირებული – კარლოს V (1533).

განმტკიცების და პოლიტიკური რეპრეზენტაციის საშუალება. საეკლესიო მირონცხება იცავს მონარქს და ხალხისათვის ცოცხალ სიმბოლოდ აქცევს.

ე. კანტაროვიჩის აზრით, მეფისა და ეკლესიის ურთიერთობა საბოლოო ჯამში წარმოშობდა გარკვეულ „ჰიბრიდს“ ორივე ფენაში. ადგილი ჰქონდა ინსიგნიების, პოლიტიკური სიმბოლოების ურთიერთსესხებას. მაგალითად, პაპი თავის ტიარას ოქროს გვირგვინით ამშვენებდა, იმპერატორი მენამულ მოსასხამს იცვამდა, ხოლო იმპერატორის გვირგვინზე მითრა ჩნდება და ა.შ. ასევე კორონაციის დროს, ხელმწიფე, ეპისკოპოსის მსგავსად, ბეჭედს იღებს (Kantorowicz 1957).

ფაქტია, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ძლიერი საერო ხელისუფლების არარსებობა კლერიკალთა პოზიციების გაძლიერებას იწვევს; ამ თვალსაზრისით კორონაციის რიტუალი სიმბოლურად გამოხატავს სასულიერო წოდების მნიშვნელოვან თანამონაწილეობას საერო მმართველობაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Bloch, M. *Les Rois Thaumaturges: Etude sur le Caractère Surnaturel Attribué à la Puissance Royale Particulièrement en France et en Angleterre*, Paris: Gallimard, 1983.
- Bruhl, C. Kronen-und Kronungsbrauch im fruhen und hohen Mittelalter. *Historische Zeitschrift*, Bd. 234, 1982.
- Kantorowicz, E. *The king's two bodies. A study in medieval political theology*. Princeton, 1957.
- Джексон, Р.А. Коронация императоров и королей. *Словарь средневековой культуры*, М., 2003.
- Fisquet, H. *La France Pontificale. Archidiocèse de Reims*, Paris: E. Repos, 1864.
- Тейс, Л. Наследие Каролингов. IX-X века. Перевод с французского Т. А. Чесноковой. М: «Скарабей», 1993.

**MANANA JAVAKHISHVILI**

### DISTRIBUTION OF POWER (The Ceremony of Coronation)

#### Summary

The ceremony of Coronation of a King or Emperor in Medieval Western Europe was a symbolic manifestation of legitimization of the rule of a monarch and representation of their regal power. At the same time, this was a place of meeting of the clergy and civilian society depicting most important aspects of interrelationships between these two groups.

The Western European tradition of Royal Coronation consists of four major elements: 1) Election; 2) Consent and Acclamation; 3) Greeting and 4) Coronation. All of these four elements first came together during the coronation of Charles the Great, which took place in Rome during the Christmas Liturgy in AD 800.

The terms “Coronation” and “Baptism” are classed as synonymous and denote a strictly formalised procedure of the Coronation. In Western Europe baptism possessed a function of conferring a confirmation to newly baptized people. The rite of baptizing was first established in VII century in the kingdom of West Goths (Spain) and later was introduced into the kingdom of the Franks. By locking the last representatives of the Merovingian Dynasty in a monastery, Pepin the Short thus took the royal power into his own hands in 751. In order to disguise this act of usurpation, Pepin relied on the reputation of the Church. The New Dynasty wished to acquire a legitimate status by means of the Biblical, Christian rite. Pepin became the first French king who was baptized by the highest Church dignitary. From VIII century this rite was introduced to England and Western Europe.

Kings were classed as God’s favourites and the ritual of baptizing put them above common people, as they were baptized by priests and archbishops. During the rite the priest stood higher than the monarch who timidly and obediently accepted chrism from him. Thus, in order to become a legitimate monarch, the future king needed a representative of the clergy.

By the end of IX century, Hincmar, an archbishop of Reims, composed texts according to which the coronation was presented as a whole, ceremonial performance comprising several components. These texts (coronation rules – ordines) established the normative foundations of the Western European coronation ceremony. Nowadays, the script of English coronation includes hymns and prayers either composed or edited by Hincmar.

The Coronation became a church ritual and because of this ordines were mostly part of liturgical books, specifically, of benedictions, sacraments and pontifical. Other sources have not reached us. Later, the coronation ceremony became very festive and included hymns, prayers and the rite of baptism. In addition to this, it also included the ceremony of the transfer of the symbols of knighthood (spurs) as well as regal symbols (cloak, sword, signet, orb, sceptre and crown). This ceremony was followed by the mass and a royal feast. The crucial demand for the coronation of the Emperor was their arrival in Rome, which made it possible for the Pope to conduct the ceremony. As well as this, the Emperor was to kiss the Pope on his foot twice and make a coronation vow (which was different from the vow made by kings). After the liturgy, the Emperor conducted the traditional ceremony of “the groom’s service” which meant that the Emperor had to hold the reins of the Pope’s horse.

The hierarchies of the Catholic Church wished to make the coronation a perfect prototype of Absolute Monarchy, which had sprung from a mystic background, whereas the State also desired to have the Church under control. In Medieval Europe the lack of strong secular government strengthened the position of the clergy. From this point of view, the ceremony of coronation symbolically manifests a significant participation of the clergy in the civil authority.

## ნინო მგალობლიშვილი

### მოდის თეორიის კლასიკურ კოცეფიათა თავისებურებანი

მოდის ცნება ადამიანთა უმრავლესობისთვის ასოცირდება დროის პატარა მონაკვეთში გაბატონებულ ჩაცმის მანერასთან, ან კულტურის გარეგნული ფორმების ერთი ეტალონის მეორით ჩანაცვლებასთან. თუმცა, დღეისთვის მოდის ფენომენის ამგვარი გააზრება ძალიან ვიწრო და არასრულყოფილია. დღევანდელი მოდა არ იფარებლება მხოლოდ ტანსაცმლით ან კულტურის გარეგნული ფორმებით. ის შექრიბლია ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში, მსჯვალავს მოვლენათა უფართოეს წრეს: ეკონომიკას, პოლიტიკას, მეცნიერებას, მუსიკალურ და ლიტერატურულ მიმდინარეობებს, ქცევის მანერას, მეტყველებას, ურთიერთობათა ხერხებს. მოდა კულტურის აუცილებელი ელემენტი და ადამიანთა ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია. ის საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური რეპრეზენტაციაა. შეიძლება ითქვას, რომ ის ითავსებს სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციების ინდიკატორის ფუნქციას. ამავდროულად, მოდა არის ის ენა, რომლითაც ყოველი კულტურა „საუბრობს“ საკუთარ თავზე. მოდა, როგორც ფენომენი, რთული და მრავალწახნაგოვანია. მისი მასშტაბები ისეთია, რომ „რთულია არ მოინახოს სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების სფერო, სადაც თავს არ იჩენს მისი გავლენა“ (Гიმან 2000: 4). ამრიგად, როგორც გარკვეული პერიოდის ტოტალური და დომინანტური მოვლენა, მოდა იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ვისაც სურს ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის შეცნობა, უქველად უნდა დაინტერესდეს მოდის შესწავლით. მოდა თუნდაც იმის გამო იმსახურებს ყურადღებასა და ღრმა ანალიზს, რომ შეუძლია გავლენა იქონიოს საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მოდის მეშვეობით, თუ მას რეკლამის ინსტრუმენტად გამოვიყენებთ, შესაძლებელია პროდუქციის წარმოების სტიმულირება და სამომხმარებლო ბაზრის სტრუქტურის სრულყოფა.

ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს, თუ რატომ არის მოდა ინტერესის საგანი არა მხოლოდ იმ ადამიანთათვის, რომელთაც ყოველდღიური შეხება აქვთ მასთან, არამედ სოციალური თუ ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენელი მკვლევრებისთვისაც. მოდა, როგორც უნივერსალური ფენომენი, ფილოსოფიისთა, სოციოლოგთა, ეკონომისტთა, კულტურის მკვლევართა, ლინგვისტთა, ფილოლოგთა, ისტორიკოსთა და სხვათა კვლევის ობიექტი გახდა.

მოდის ფენომენის მრავალმნიშვნელოვნებამ განაპირობა მისი შესწავლის განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები. ზღვარის დადგენა ამ მიდგომათა შორის საკმაოდ რთულია. დაყოფა აქ პირობითია. ამოცანის გადაჭრას ამ თვალსაზრისით მოდის სოციოლოგია ცდილობს.

ერთიანი მსოფლიო მოდის ველის ფორმირებაზე დასავლურ ევროპულ ფასეულობათა გავლენა ისტორიულად განპირობებულია. მოდის ინტერნაციონალიზაციას დასავლე თ ევროპამ ჩაუყარა საფუძველი.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, ამომწურავად განვიხილოთ დასავლელი თეორეტიკოსების შრომები, რომელთაც ასე თუ ისე გავლენა იქონიეს მოდის თეორიის განვითარებაზე. თუმცა, შევეცდებით წარმოვადგინოთ საკვანძო მომენტები და თეორიულ-მეთოდოლოგიური პრიციპები, რომლებიც სამუალებას მოგვცემენ, გავერკვეთ მოდის, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენის „უსასრულო კალეიდოსკოპში“. მეტადრე, ეს პრობლემა არ არის გაშუქებული კულტურის კვლევათა ქართულ ეპისტემაში.

თუ ჩავატარებთ ისტორიულ ექსკურსს და გამოვყოფთ მოდის ანალიზის სხვადასხვაგვარ მიდგომებს, აღმოვაჩინთ შეხედულებათა საინტერესო ევოლუციას. ანტიკური ხანის ფილოსოფოსები მოდის ფენომენს საკმაოდ კრიტიკულად განიხილავდნენ. თუმცა, მკვლევრები აღიარებენ, რომ

უკვე ძველ რომში მოდას დიდი სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ის გავლენას ახდენდა ცხოვრების ყველა სფეროზე, წარმოაჩენდა ადამიანების სტატუსსა და ძალაუფლებას. მაგრამ ანტიკურ ხანაში მისი გავლენა გაუაზრებელი უნდა ყოფილიყო. არსებობს მოსაზრება, რომ მოდა დასაბამს გვიან შუა საუკუნეებში იღებს, როდესაც კაპიტალიზმის ჩასახვის პროცესის პარალელურად დიდი კულტურული ცვლილებები მიმდინარეობდა. სწორედ ამ ხანებში აღმოაჩინეს ადამიანებმა, რომ ტანსაცმლის მოდიფიკაციები გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარებოდა. „ეს ცვლილებები არ იყო იშვიათი და შემთხვევითი, ისინი განუწყვეტლივ მიმდინარეობდ“ (Svendsen 2004). შესაძლებელია ვისაუბროთ და ვიკამათოთ ძვ. რომის პროტომოდაზე ან მოდის გარკვეულ ტენდენციებზე XV-XVIII საუკუნეების ევროპის დიდგვაროვანთა ცხოვრებაში. თუმცა, უდავოა, რომ მოდამ გარკვეული განვითარების ისტორიული გზა განვლო, ვიდრე სოციალურ დატვირთვას შეიძენდა. მოდის სათავე, სავარაუდო, ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების, ანუ, განმანათლებლობის ეპოქაში უნდა ვეძიოთ. მოდის, როგორც კულტურული ფენომენის, შესწავლა სწორედ ამ დროიდან იწყება. ამ ხანებში ბევრი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ხელოვნების თეორეტიკოსი ცდილობს ახსნას ამ მოვლენის არსი, მოიძიოს მისი წარმოშობისა და გავრცელების მიზეზები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ უკვე XVII საუკუნეში გამოჩნდა დიდი მოაზროვნების ნაშრომები მოდის შესახებ. ისინი მხოლოდ საკითხის მიმოხილვით შემოიფარგლებიან და არა მეცნიერული ანალიზით. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ნაშრომები ღირებულნი არიან იმ თვალსაზრისით, რომ გვაცნობენ, ყურადღებას ამახვილებენ მოდის სოციალურ ასპექტებზე მისი ჩასახვის პერიოდში. ამით საშუალება გვეძლევა, უკეთ ჩავწვდეთ მოდის ფენომენის გენეზის. მაგალითად შეიძლება მოვიყანოთ ენტონი ეშლი კუპერის, შეფრინის შესაბამე გრაფის (Anthony Ashley Cooper, 3rd Earl of Shaftesbury, 1671-1713) შემოქმედება, რომელიც XVII-XVIII საუკუნეთა გასაყარზე მოდის პრობლემებით დაინტერესდა. კამათს არ იწვევს მოსაზრება შეფრინის განსაკუთრებული დამსახურების შესახებ მოდის კვლევის საკითხში. მან პირველმა შენიშნა თავის თანამედროვე კურტუაზული მოდის ამბივალენტური ხასიათი. მისი შრომები გაერთიანებულია სამტომეულში „ადამიანების, ზნე-ჩვეულებების, აზრთა და დროის დახასიათებანი“ და მიეძღვნა პრეინდუსტრიული საზოგადოების ეთიკურ, ესთეტიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ პრობლემებს. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის საზოგადოებას მეცნიერები განიხილავენ, როგორც მექანიკური სოლიდარობის საზოგადოებას, რომელსაც ახასიათებს „მსგავსებით გამოწვეული სოლიდარობა“ (Durkheim 1966: 138). ბუნებრივია, რომ ასეთ საზოგადოებაში (სტატიკური, არქაული და ტრადიციული) არ არსებობდა პირობები მოდის, როგორც მასიური სოციოკულტურული მოვლენის, განვითარებისათვის. ეს პირობებია: დინამიკურობა, ღიაობა, სიუხვე, მობილურობა. მიუხედავად ამისა, მოდა მაინც ჩაისახა და დაინყო მეცნიერული დისკუსიები მოდის შესახებ.

ამრიგად, უკვე XVII-XVIII სს. მოდას აღიქვამენ როგორც კანონმდებელს (ლორდი შეფრინი, ა.სმიტი, ე.კუპერი, ი.კანტი, ფ.პეგელი, ფრანგი განმანათლებლები). ამ ხანებში მოდა იქცა არა მხოლოდ ნიმუშად, არამედ ნორმად, შეიძინა იმპერატიული ხასიათი, ჩამოყალიბდა გემოვნების თეორია. შესაძლებელი გახდა მოდის ფენომენის გამოყენებითი დეფინიციების გამოკვეთა, დახასიათება ისეთი სოციალური თვისებებისა, როგორებიც არის: მიმბარველობა (ელიტის განსაკუთრებული როლი), ცილიურობა და ცვალებადობა. ამ პერიოდში შექმნილი თეორიების ევრისტიკული ღირებულების მიუხედავად, მაინც ნაადრევია საუბარი მოდის თეორიული კონცეფციების შექმნაზე.

მოდის მეცნიერული შესწავლა მთელი სერიოზულობით XIX საუკუნეში დაიწყო. ამ დროს დამკვიდრდა სოციოლოგია, როგორც მეცნიერება. გამოჩნდა მოდის შესახებ გამოთქმული თეორიული მოსაზრებების მიმართ ყურადღების პირველი ნიშნები. „არსებობს ყოველგვარი საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ მოდა სოციალურ მნიშვნელობას ევროპულ საზოგადოებაში XIX საუკუნეში იდენს“ (Гофман 2003: 649). სწორედ XIX საუკუნეში გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომლებიც წარმოქმნიან მოდას: ტექნიკური სიახლეების დანერგვა, პოლიტიკური რევოლუციები, ურბანიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მასობრივი ხასიათის დანერგვა.

მოდერნის ეპოქამ მოდის შესახებ პირველი თეორიების გამოჩენა განაპირობა – გ.ტარდის, ჰ.სპენსერის, გ.ზიმელის, ტ.ვებლენის, ჰ.ბლუმერის, პ.ბურდიეს და სხვათა. ეს კლასიკური კვლევებია, სადაც მოდის, როგორც ადამიანების სოციალური ქცევის, სხვადასხვა ასპექტი განიხილება. რა თქმა უნდა, ყოველ თეორიას აქვს თავისი ლირსებებიც და ნაკლიც. მაგრამ, მთავარია ის, რომ ამ ნაშრომებმა სათავე დაუდეს მოდის თანამედროვე თეორიებს. თითოეული კლასიკური კონცეფცია ასახავდა მოდის სოციალურ არსს ისე, როგორც ეს მის თანამედროვე ეპოქას შეესაბამებოდა. თუმცა, ეს კონცეფციები ვერ ჩამოყალიბდა „სისტემურ“ თეორიებად, რომლებიც მთლიანად მოიცავდა და ახსნიდა მოდის როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ ასპექტებს.

მაგალითად, **XIX** საუკუნის ბოლოს და **XX** საუკუნის დასაწყისში კვლევრები მოდას, პირველ რიგში, განიხილავდნენ, როგორც სოციალურ ფენომენს. მეცნიერები აანალიზებდნენ მოდის წარმოშობის და განვითარების მიზეზებს, სწავლობდნენ აგრეთვე მისი ზემოქმედების შედეგებს სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროზე. სწორედ ამგვარმა მიდგომამ შეუწყო ხელი მოდის ფენომენის შესახებ ერთიანი კონცეფციის შემუშავებას. შეიქმნა პირობები იმისთვის, რომ გასაგები გამხდარიყო მოდის, როგორც სოციოკულტურული მოვლენის, ჭეშმარიტი არსი, მისი წარმოქმნის მექანიზმი და ფუნქციონირება საზოგადოებაში.

**XX** საუკუნის შუა წლებში მოდის ტენდეციების ცვალებადობის შესახებ არსებული პირველი თეორიების რევიზია მოხდა. გამოჩნდა რამდენიმე ახალი ვარაუდი, რატომ და როგორ ცვლის ახალი მოდა ძველს.

მოდის სოციოლოგიური ანალიზი განსაკუთრებით აქტუალური ხდება **XX** საუკუნის მეორე ნახევრიდან. ჩამოყალიბდა სიმბოლური ფასეულობების მსოფლიო და ნაციონალური ბაზრები, კულტურის მენეჯმენტი და მარკეტინგი. რა თქმა უნდა, ამ ფონზე სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე საუბრები მოდის არსის, მისი მიმართულებების შესახებ კვლავაც ზედაპირული მსჯელობის დონეზე რჩება. ამ დროს, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ მევლევრები, არსებობს ყველა ობიექტური პირობა იმისათვის, რომ მოდა სოციოლოგიის საკვლევ პრივილეგირებულ ობიექტად იქცეს. „პირველ რიგში, ის ქმნის კოლექტიურ ფენომენს, რომელიც უფრო ნათლად გვაგრძნობინებს, რომ მოდა ჩვენი ქცევების სოციალურ შინაარსს შეიცავს; მეორე მხვრივ, იგი გვევლინება კონფორმიზმისა და ცვალებადობის დიალექტიკად, რაც მხოლოდ სოციოლოგიის საფეხველზე შეიძლება აიხსნას“ (Stoetzel 1963: 245). გასული საუკუნის მეორე ნახევრაშივე პოპულარული ხდება მოდისადმი სოციოსემიოტიკური და პოსტმოდერნისტული მიდგომები. ამგვარი მოდგომების ნათელი მაგალითებია როლანდ ბარტისა და უან ბოდრიიარის შრომები.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე მოდა სპეციფიკური ფენომენია, რამდენადაც ის ინდუსტრიის სახით გვევლინება. მოდა, როგორც ინდუსტრია, – ეს არის თანამედროვე, ორიგინალური მოდელების რაციონალიზმის პრინციპზე ორგანიზებული წარმოება. დიდ მნიშვნელობას იძენს იმის გააზრება, რომ იქმნება არა უმუალოდ მოდელი, არამედ მოდურობა. შესაბამისად, ისინი (მოდელები) გამოხატავენ მისწრაფებას, ერთი მხვრივ, არავის ჰავადე, იყო ინდივიდუალური, მეორე მხრივ, ფეხი აუწყო ყველასათვის საერთო „ეპოქის სულს“.

სწორედ ამიტომ ინვესტ ჩვენს ინტერესს მოდის, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენის, შესწავლისას უაღრესად მნიშვნელოვანი სოციოლოგიური კონცეფციები, რომლებიც **XIX-XX** სს. კვლევებშია წარმოდგენილი. განსაკუთრებით გვაინტერესებდა შრომები, რომლებშიც მოდის კონცეფციები განიხილება, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენი.

დღეისათვის ერთიანი კანონზომიერება, რომელიც მოდის ცვლილებებს განაპირობებდა, არ არსებობს, თუმცა, მოდა უფრო ფართო სოციალურ და კულტურულ კონტექსტში განიხილება. თეორიის არასაკმარისი სისტემურობის პირობებში, ჩვენი აზრით, მოდის განმარტების პრობლემა უფრო ხელშესახები ხდება. ამიტომ საჭიროა გავაანალიზოთ მათ შორის ყველაზე ტიპიური კონცეფციები.

გასაანალიზებლად ჩვენ შევარჩიეთ ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული მიდგომები და შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ მათი პრინციპული დებულებები. მოდის ფენომენის გააზრებისთვის

შეიძლება პირობითად ოთხი მიდგომა გამოვყოთ, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს მის დღევანდელ განმარტებაზე:

- მიბაძვის კონცეფცია (გ.ტარდი, გ.ზიმელი);
- დემონსტრატიული ქცევის თეორია (ტ.ვებლენი, ვ.ზომბარტი, რ.კუნიგი);
- მოდის ახსნის კონცეფცია, დაფუძნებული კოლექტიურ ქცევებზე (ჰ.ბლუმერი);
- მოდის შესწავლის სემიოტიკური მეთოდი (რ.ბარტი, ჯ.ბოდრიიარი, რ.სენეტი).

მოდის ყველა კონცეფციის საერთო ნიშანია ის, რომ თითოეული მათგანი მოდას განიხილავს როგორც სოციოკულტურულ ფენომენს, რომელიც გავლენას ახდენს სოციუმზე. ამასთან, როგორც ვიცით, მოდის კონცეფციას საფუძვლად სხვადასხვა მეთოდოლოგია უდევს, რაც განაპირობებს კვლევის შესაბამის მიმართულებას. აქედან გამომდინარე, მოდის სოციალური ფენომენის ახსნისას სხვადასხვა თეორიის აქცენტები არსებითად განსხვავებულია.

**მიბაძვის კონცეფცია.** მნიშვნელოვანია ფრანგი სოციოლოგის **გაბრიელ ტარდის** (Gabriel Tarde, 1843-1904) პოზიცია მოდის საკითხის შესახებ. გ.ტარდი მოდის კონცეფციას ავითარებს თავისი მოძღვრების – „საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ“ – ჩარჩოებში (აღსანიშნავია, რომ იგი „საზოგადოებრივ ცხოვრებად“ მიიჩნევდა კულტურას თავის უმაღლეს, მათ შორის ინტელექტუალურ, გამოვლინებებში). მკვლევარი იზიარებს მოსაზრებას, რომ მოდას საფუძვლად უდევს ელიტის მიერ გავრცელებული ნიმუშების მიბაძვის მექანიზმი. მოდა, გ.ტარდის აზრით, მუდმივად მოდიფიცირებადი საზოგადოებივი შინაარსის უმარტივესი, „წამიერი“ ფორმაა. ამის მიუხედავად, ის (მოდა) ასწრებს, გარკვეული დროით „დააფიქსიროს“ ადამიანების ურთიერთობისა და ქცევის, ყოფის გარეგნულ ფორმათა და ა.შ. ზოგიერთი არსებითი მომენტი (Tarde 1901: 63). გ.ტარდის აზრით, ურთიერთობის პროცესს საფუძვლად ორი მოვლენა უდევს: აღმოჩენა და მიბაძვა. მიმბაძველობა იყოფა მიბაძვა-წეს-ჩვეულებად და მიბაძვა-მოდად. თუ წეს-ჩვეულება წინაპრების მიბაძვაა, რომელიც თვით საზოგადოებრიობის ჩარჩოებშია მოქცეული, მოდა – არის თანამედროვეთა მიბაძვა, რომელიც „ექსტერიტორიალურ“ ხასიათს ატარებს. მიმბაძველობა, რომელიც ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, მოდის ფორმით არსებობს, ხელს უწყობს სიახლეთა გავრცელებას და საზოგადოების უნიფიკაციას (Tarde 1892: 360). გ.ტარდი მოდის გავრცელებას განიხილავს, როგორც იმიტაციის ერთ-ერთ ფორმას, როგორც ერთი ტიპის პიროვნების ასიათასობით ასლად გადაქცევის გზას, რისი შედეგიც „უნიფორმასავით“ ერთნაირი, გარეგნობით ერთიანი საზოგადოების შექმნაა (Tarde 1892: 370). აქედან გამომდინარე, თუ მივყვებით მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ ლოგიკას, ადამიანი, როგორც სოციალური არსება, ყოველთვის მიმბაძველია. ეს დასკვნა ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე პოსტმოდერნისტული საზოგადოების განვითარების სოციოლოგიური პროგნოზებისთვის.

ამას გარდა, გ.ტარდმა დაამუშავა მოდის „იდეოლოგიური მიზეზობრიობის“ თეორია. კერძოდ, ცდილობს რა დაამკვიდროს თავისი თეზისი იმის შესახებ, რომ „მოდას ეპოქის სული მართავს“, გ.ტარდი მკითხველს სთავაზობს, XVIII-XIX სს. ფრანგული კოსტიუმების ცვლილებათა ისტორია შებრუნებული თანმიმდევრობით წარმოიდგინოს. ამგვარი მეტამორფოზა, გ.ტარდის აზრით, შეუძლებელია, „რადგან შეხედულებები და ზნე-ჩვეულებები, რომელთა გარეგნულ გამოვლენას, გარკვეული ხარისხით, კოსტიუმი ემსახურება, ლუ XIV დროიდან მოყოლებული, ცნობილ ლოგიკურ კავშირს წარმოგვიდგენს. ეს კავშირი, ისევე, როგორც მიმბაძველობის კანონები, არ დაუშვებს, ეს მელოდია, ასე ვთქვათ, პირუკუ მიმართულებით შესრულდეს“. მაგრამ, აქვე გ.ტარდი დასაშვებად მიიჩნევს ქალის მოდის პირუკუ მიმართულებით განვითარებას. ანუ, სრულიად დამოუკიდებლად იმ თანამიმდევრობისგან, რომლითაც ვითარდება იდეები და ზნე-ჩვეულებები. ამას მკვლევარი იმით ხსნის, რომ ქალები „უმნიშვნელო მონანილეობას იღებენ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში. მათთვის ყველგან და ყოველთვის უმთავრესია სურვილი – ფიზიკურად მოსწონდეთ...“ (Tarde 1892: 364). ამგვარი მსჯელობა აშკარად არათანმიმდევრულია. გ.ტარდის მიერ აქ მოხმობილი არგუმენტები, შესაძლოა, ზოგად სოციოლოგიური კონცეფციის დადასტურებას ემსახურებოდეს, მაგრამ, ამავდროულად, ის გვიჩვენებს, რომ მეცნიერისთვის

საკუთრივ მოდა, როგორც სოციოკულტურული ფენომენი, დამოუკიდებელი სახით ჯერ კიდევ არ არსებობს. თავს ნებას მივცემთ აღვნიშნოთ, რომ გ.ტარდი მოდის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინების, განხილვისას, ზედმეტად სწორებოვანია, როცა აცხა-დებს, რომ მოდა საზოგადოებაში გაბატონებული იდეებით არის განპირობებული.

მიბაძვის კონცეფციას იზიარებდა გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგის თეორეტიკო-სი გეორგ ზიმელი (Georg Simmel, 1858-1918). გ.ზიმელმა მოდას მიუძღვნა ბრნყინვალე ესე, რომე-ლიც ახლაც ინარჩუნებს აქტუალურობას და ისე იკითხება, თითქოს დღეს იყოს დაწერილი. გ.ზი-მელმა პირველმა გამოიკვლია მოდის ციკლური ხასიათი და მიუთითა მის კავშირზე საზოგადოე-ბის იერარქიულ სტრუქტურებთან. მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს მოდის დუალისტურ ხასი-ათზე და აღნიშნავს, რომ მოდა ორგვარ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, ის სოციალური „გამთა-ნაპრებელია“, ხოლო, მეორე მხრივ, ხორცს ასხამს პირველების მისწრაფებას საზოგადოების დი-ფერენცირებისაკენ, ინდივიდის საერთო მასიდან გამოყოფისაკენ და ინდივიდუალურობის შე-ნარჩუნებისაკენ. გ.ზიმელის ინდივიდუალიზაციის უკიდურესი მაგალითია გაბლენძილი პენინიკა, რომელსაც ინდივიდუალური სტილის მისაღწევად აბსურდამდე მიჰყავს მოდის მოთხოვნები და თავს იწონებს მოდური ელემენტებით გადატვირთული ტანსაცმლით: „თუ მოდაში შემოვიდა წვრილცხვირიანი ფეხსაცმელი, მისი ფეხსაცმლის ცხვირები შუბებს დაემსგავსება, თუ მაღალი საყელოებია მოდაში, მისი საყელო ყურებს ებჯინება“ (Simmel 1996: 277). პენინიკა „მთლად ინდი-ვიდუალიზებული რამეა“, მაგრამ ამავდროულად იგი იყენებს საზოგადოების გარკვეული ჯგუ-ფისათვის დამახასიათებელ ნიმუშებს. ამრიგად, გამოდის, რომ „ნამყვანი გარკვეულწილად ნაყ-ვანილად გვევლინება“ (Simmel 1996: 276). გ.ზიმელის მიხედვით, მოდა თავისთავად, „მოცემული ნიმუშის მიბაძვის ნარმოადგენს და ამით სოციალური საყრდენის მოთხოვნილებას აკმაყოფი-ლებს... ამავე ხარისხით აკმაყოფილებს იგი განსხვავებულობის მოთხოვნილებას, დიფერენცირე-ბის, ცვლილებების, მასიდან გამორჩევის ტენდენციებს“ (Simmel 1996: 267). გ.ზიმელის თეორიაც მიბაძვის კონცეფციას ესადაგება. იგი მოდის ნარმოშობას ადამიანის ორმაგი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობას უკავშირებს: გამოირჩეოდე სხვებისგან და ჰეგავდე სხვებს. მო-და რომ ინდივიდუალიზაციის გარეშე შეუძლებელია, ავტორიპრიმიტიული საზოგადოების ცხოვ-რების წესის მაგალითით ასაბუთებს, სადაც სოციალური ერთგვარობა ყველას ათანაბრებს და არავის უჩენს სურვილს, გამოეყოს მასას. სხვათა შორის, ასევე იქცეოდნენ მმართველი ოლიგარ-ქიის ნარმომადგენელი ვენეციელი ნობილები. მათ არ სურდათ ყველა დანარჩენი მოქალაქის წი-ნაშე საკუთარი განსაკუთრებულობის დემონსტრირება და ამიტომ მხოლოდ შავ სამოსს ატარებ-დნენ (Simmel 1996: 273).

გ.ზიმელის მოდის თეორიას ბევრი საერთო აქვს გ.ტარდის კონცეფციასთან, მაგრამ მისი თა-ვისებურება მოდის კლასობრივი ხასიათის ხაზგასმაა. თავის ნაშრომში „მოდა“ (1904) გ.ზიმელმა ჩამოაყალიბა მოდის კლასობრივი თეორია, ე.წ. „ელიტარული მოდის კონცეფცია“. გ.ზიმელი ამ-ტკიცებდა, რომ მოდის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ გარკვეულ კლასს ეკუთვნის. იგი იზიარებდა დამკვიდრებულ აზრს პრესტიული ფენების როლის შესახებ მოდის ტენდენციების ჩამოყალიბებაში. გ.ზიმელმა შემოვთავაზა მოდის ნარმოშობის ე.წ. ელიტარული თეორია, ანუ „გაუზონვის ეფექტის“ კონცეფცია („trickle-down theory“): მოდა ვერტიკალურად ვითარდება – სა-ზოგადოების ელიტიდან დაბალი ფენებისაკენ. ნარმოვიდენთ გ.ზიმელის მსჯელობას ამ საკითხ-თან დაკავშირებით. გ.ზიმელი თვლიდა, რომ საზოგადოების სოციალური ელიტა ახალ მოდას თა-ვისი სტატუსის აღსანიშნავად იყენებს, რათა ხაზი გაუსვას თავის გამორჩეულობას უპრალო ადა-მიანებისაგან. მომიჯნავე კლასების წევრებს სურთ საკუთარი თავის უმაღლეს სტატუსთან იდენ-ტიფიცირება. თავისი სურვილის დაკმაყოფილების საშუალებად მოდას მიიჩნევენ. გ.ზიმელის კონცეფციის მიხედვით, დაბალ ფენებს, თავის მხრივ, კიდევ უფრო დაბალი ფენების წევრები ბაძავენ. ამ გზით ელიტარული კლასის განმასხვავებელი განსაკუთრებული ნიშნები გაიუმნება ქვევით კლასობრივი პირამიდის მთელ სიღრმეზე. ამ ვითარებაში სრულიად იკარგება მოდის სიახლის შეგრძნება. მოდა მასიურ, „ვულგარულ“ ხასიათს იძენს, ხოლო ელიტური კლასი, კარ-

გავს რა თავისი იდენტობის ნიშნებს, იძულებულია მოიგონოს ახალი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებსაც კვლავ შეიწოვენ დაბალი ფენები და, ამრიგად, ციკლი მეორდება. გ.ზიმელი წერს: „მოდა... ყოველთვის კლასობრივ ხასიათს ატარებს. უმაღლესი ფენის მოდა ყოველთვის განსხვავდება დაბალი მოდისაგან. ამასთან, მაღალი ფენა უსწრაფესად უარყოფს მას, როგორც კი იგი დაბალ სფეროში შეღწევას იწყებს“ (Simmel 1996: 268). მოდის ხიბლი იმაში მდგომარეობს, მიიჩნევს გ.ზიმელი, რომ ის ერთდროულად ახალიც არის და წარმავალიც. მოდა გვაძლევს დღევანდელობისა და დროის მსვლელობის შეგრძნებებს. თუმცა, ამა თუმციმ კონკრეტული მოდის წარმავალი ხასიათის მიუხედავად, ის, თავისთავად, როგორც სოციალური ცხოვრების ფორმა, მუდმივია – ყოველთვის არსებობს, ყველა დროში. ეს პროცესი მოდის დაუსარულებელი ცვალებადობის ერთ-ერთი მიზეზია. ასეთია, გ.ზიმელის კონცეფციის მიხედვით, მოდის ბუნება და მისი ფუნქციონირების მექანიზმი. საინტერესოა, რომ, უკვე **XIX** საუკუნის დასაწყისში შენიშნა გ.ზიმელმა მოდის თანდათანობითი გაიაფებისა და აჩქარების ერთ-ერთი მექანიზმი. გ.ზიმელი თვლის, რაც უფრო სწრაფად იცვლება მოდა, მით უფრო უნდა გაიაფდეს ნივთები. ნივთების სწრაფი გაიაფება მოდის სწრაფი ცვლილებისაკენ უბიძგებს მომხმარებლებს, ხოლო მწარმოებლებს აიძულებს მათ გამოშვებას.

გ.ზიმელისა და სხვა, **XIX** საუკუნის დასასრულისა და **XX** საუკუნის დასაწყისის ავტორთა (მაგალითად, ტ.ვებლენის, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ) შრომები მოდის სოციოლოგიური კვლევის პირველ მცდელობად მიიჩნევა. სწორედ მათ სცადეს პირველად მოდის სოციალური ბუნების მეცნიერული ახსნა. **XX** საუკუნის დასაწყისში, სოციალური სტრუქტურის ტრანსფორმაციისა და ე.წ. მასობრივი საზოგადოების აღმოცენების გამო, ამ მიდგომებმა მნიშვნელოვანნილად დაკარგა განმარტების ძალა და კრიტიკის ობიექტად იქცა. აღმოცენდა განმარტების ახალი მოდელები.

**დემონსტრატიული ქცევის თეორია.** გ.ზიმელის პარალელურად მოდის ფენომენის შესწავლით იყო დაკავებული ტორსტეინ ვებლენი (Thorstein Bunde Veblen, 1857-1929). ამერიკელმა სოციოლოგმა, ეკონომისტმა და ფუტუროლოგმა ტ.ვებლენმა განახორციელა მოდის ფუნქციონირებაში პრესტიჟის, „საჩვენებელი (დემონსტრატიული) მოხმარების“ როლის ანალიზი. ტ.ვებლენის აზრით, მოხმარების ძირითადი მოტივია მაღალი სოციალური სტატუსის დემონსტრირება და ზრუნვა რეპუტაციაზე. ტ.ვებლენმა მეცნიერებაში შემოიტანა ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „საჩვენებელი (დემონსტრატიული) მოხმარება“, „საჩვენებელი (დემონსტრატიული) მოცლილობა“, „საჩვენებელი (დემონსტრატიული) ხარჯვა“.

დემონსტრატიული მოხმარება – ეს არის „მოხმარების გამოყენება იმის დასამტკიცებლად, რომ სიმდიდრეს ფლობ; მოხმარება, როგორც რეპუტაციის შენარჩუნების საშუალება“. მოხმარების ეს სტილი, ტ.ვებლენის აზრით, ახლად გამდიდრებულ ამერიკელებს ახასიათებდა, რომლებიც ცდილობდნენ, ევროპის მაღალი კლასისთვის მიებაძათ. მაგრამ, თუ **XIX** საუკუნის ევროპის არისტოკრატია არა მხოლოდ სიმდიდრით იყო გამორჩეული, არამედ განსაკუთრებული კულტურითა და ეტიკეტითაც, რომელსაც ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ, ამერიკელ ახლად გამდიდრებულთა ფენას არ მოეპოვებოდა ეს რესურსი და სამომხმარებლო სიკეთების, მათ შორის ტანსაცმლის მოდის, დემონსტრატიულ გამოყენებას ცდილობდა. ეს საჩვენებელი მომხმარებლობა ახლად გამდიდრებულ ამერიკელებს საშუალებას აძლევდა, საკუთარი თავი ამერიკული საზოგადოების ელიტად წარმოეჩინა. ამრიგად, პატივისა და ლირსების უზრუნველყოფა – მოდის ლატენტური ფუნქცია აღმოჩენილი და აღწერილია ტ.ვებლენის მიერ. თავის წიგნში „უზრუნველი კლასისა და საჩვენებელი მოხმარების თეორიები“ (1899) ტ.ვებლენი წერს: „ამერიკაში მოდას გვთავაზობენ არა ძველი არისტოკრატები, არამედ ნუვორიმები. ისინი ხაზს უსვამდნენ საკუთარ, თუმცა სულ ახლახანს მოპოვებულ, მაღალ სტატუსს... მოდასა და გემოვნებას ფულის კანონები განსაზღვრავს. მოდურია და პრესტიული ძვირფასი ნივთების ქონა...“ (Beale 1984: 118). ამრიგად, მიმბაცველობის თეორიისგან განსხვავებით, „დემონსტრატიული მოხმარების“ კონცეფციის მიმდევრები მოდის, როგორც სოციალური ფენომენის, დახასიათებას კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისე-

ბურებას ამატებენ, კერძოდ, საზოგადოების მაღალი ფენისადმი კუთვნილების დემონსტრირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ტ.ვებლენი უარყოფდა მოდის ესთეტიკური შესაძლებლობების ანალიზს, რადგან თვლიდა, რომ „მოდა“ (ცვალებადობა) და „სილამაზე“ განსხვავებულ საფუძველზე აღმოცენდნენ.

დაახლოებით ასევე, ოღონდ ცოტა განსხვავებულ ასპექტში, ფუფუნების კონცეფციის პრიზმი გავლით, განიხილავდა მოდას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის გერმანელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი ზომბარტ ვერნერი (Sombart Werner, 1863-1941). ზ.ვერნერი დემონსტრატიული მიმართულების წარმომადგენელია. ამ თეორიის ავტორების (ზ.ვერნერი, ტ.ვებლენი, რ.კუნიგი) შრომებში, მიმბაძველობის კონცეფციისგან განსხვავებით, ძირითად მეთოდოლოგიურ კონსტრუქტად „მიბაძვის“ ნაცვლად „საჩვენებელი (დემონსტრატიული) მოხმარება“ და „იმიჯი“ გვევლინება. კაპიტალისტური საზოგადოების ანალიზისას ზ.ვერნერი მოდას განიხილავდა, როგორც ბურჟუაზიულ ინდივიდუალურ იმიჯს, რომელსაც შეუძლია ხაზი გაუსვას კლასობრივ განსხვავებებს. თავის ნაშრომში „Der moderne Kapitalismus“ („თანამედროვე კაპიტალიზმი“, 1902) ავტორი მიუთითებს, რომ მოთხოვნილება პირდაპირ არის დამოკიდებული მოდის ცვალებადობაზე: „საუკუნეებში შემონახული ხალხის დაყოფა უძველეს „ფენებად“ – სასულიერო ფენა, რაინდები და მოქალაქეები – მოთხოვნილების სტერეოტიპულობაზე მიანიშნებს: რაც უფრო ხარისხიანია, მით უფრო მყარია, რაც უფრო ნელა იცვლება ადათ-წესები ჯგუფის შიგნით, მით უფრო იშვიათად იცვლება მოდა“ (Bepnep 1903-05: 337).

ზ.ვერნერმა დაამუშავა მოდის ეკონომიკური თეორია. იგი მოდად მიიჩნევდა ყოველგავარ ცვლილებას, რომელიც ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე იწვევდა მოთხოვნილებების ცვალებადობას. XIX საუკუნის დასასრულის კაპიტალიზმის რომ იკვლევდა, ზ.ვერნერმა მოდა განიხილა კაპიტალიზმის პირმშოდ, რომელიც კერძო მენარმეობის ინტერესებს ემსახურებოდა და საზოგადოებაში ხელოვნური მოთხოვნილებების გაჩენას უწყობდა ხელს. მისი აზრით, მოდა აიძულებს მყიდველს, შეიძინოს მეტი ნივთი, ვიდრე რეალურად სჭირდება. მკვლევარი კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაში შესვლას უკავშირებს „აბსოლუტურად საყოველთაო მოდის“ გაჩენას. მან ყურადღება მიაქცია „მოდის ცვალებადობის თავბრუდამხვევ ტემპს“ (Bepnep 1905: 338), როგორც დროის დამახასიათებელ ნიშანს. ამ გზით მიგვანიშნებდა მკვლევარი მოდის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე, რამდენადაც ის (მოდა) გავლენას ახდენს მოთხოვნილებაზე. ამასთან, ზ.ვერნერი ცდილობდა განესაზღვრა მოდის მიერ გამოწვეული ცვლილებების ხანგრძლივობა. იგი თვლიდა, რომ საბაზრო ეკონომიკის მექანიზმები ნივთების დაგეგმილ დაძველებასაც ითავსებენ.

ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ XX საუკუნის გერმანელი სოციოლოგის რენე ქიონიგი (Rene König, 1906-1992) კონცეფციას მოდის შესახებ, წარმოდგენილს „დემონსტრატიული მოხმარების“ თეორიის ჩარჩოებში. საკუთარი თეორიის აგებისას ავტორი იყენებს „სტატუსის“ ცნებას: „მოდა – ეს სტატუსის კოდური მაჩვენებელია“. რ.ქიონიგი თვლის, რომ „ადამიანები უფრო იოლად აღიარებენ საკუთარ სექსუალურ საიდუმლოებებს, ვიდრე თავინთ დაბალ სოციალურ სტატუსს. დანაშაულის გრძნობა იმის გამო, რომ საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსი არ გაგვაჩნია, წამოშობს ჩვენს სურვილს, მივდიოთ მოდას“ – ამტკიცებს რ. ქიონიგი (König 1973: 217). იგი მოდის უწყობებს უნივერსალურ პრინციპს, რომელსაც შესწევს ძალა წარმოაჩინოს სხეული ყველა შესაძლო გამოვლინებაში.

**მოდის ახსნის კონცეფცია, დაფუძნებული კოლექტიურ ქცევებზე.** კოლექტიური ქცევის კონცეფცია ჩვენს გამოკვლევაში ამერიკელი სოციოლოგისა და სოციალური ფსიქოლოგის ჰერბერტ ბლუმერის (Herbert Blumer, 1900-1987) შრომებით არის წარმოდგენილი. ჰ.ბლუმერი გ.ზიმელის სოცოლოგიური კონცეფციის მემკვიდრედ გვევლინება. ამ დროისათვის (XX საუკუნის შუა წლები) მრეწველობის ზრდამ და მასობრივი წარმოების განვითარებამ კარდინალურად შეცვალა მოდური ტენდეციების განვითარებისა და დანერგვის კონტექსტი. გ.ზიმელის თეორია კრიტიკის ობიექტად იქცა, რამდენადაც: XX საუკუნეში საზოგადოების სოციალური სტრუქტურა უფრო მოძრავი გახდა და თითქმის წაიშალა მკვეთრი საზღვრები კლასებს შორის. ამერიკელი მარკეტო-

ლოგი, დოქტორი **ჩარლზ უ. კინგი** (Charles W. King) საკუთარი მარკეტოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე გვთავაზობს ახალ კონცეფციას – მასობივი ბაზრის თეორიას – **Trickle-across an mass market theory** (King 1963: 108-125). ამ კონცეფციის მიხედვით, მოდა პორიზონტალურად ვითარდება – ერთდროულად ყველა სოციალურ წრეში იყიდებს ფეხს. ამასთან, თითოეულ სოციალურ კლასს ჰყავს თავისი ლიდერები და მიმდევრები, ხოლო მომხმარებელი თავად აყალიბებს საკუთარ სტილს, რომელსაც შემოთავაზებული კოსტიუმის სტილებსა და ვარიანტების სიმრავლიდან ირჩევს; 1960-იან წლების ბოლოს ქუჩური მოდა, კერძოდ, ახალგაზრდობის წრეში სტიქიურად ჩასახული „ჰიპების“ სტილი, აშკარად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მაღალ მოდაზე და ტანსაცმლის მნარმოებლებზე. ყოველივე ეს აიძულებს მეცნიერებს გადახედონ დამკვიდრებულ მექანიზმებს. ასე, მაგალითად, 1970 წელს ამერიკელი მკვლევარი **ჯორჯ ფილდი** (George Field) თავის ნაშრომში „ცვალებადი სტატუსის ფენომენი. ზევით მიმართული ინოვაციების დიფუზია“ („The Status Float Phenomenon. The Upward Diffusion of Innovation“) წარმოადგენს ჰიპოთეზას მოდის გავრცელების შებრუნებული წესის შესახებ (Trickle-up Theory). ამ თეორიის მიხედვით საზოგადოების ელიტა იმიტირებას უკეთებს დაბალი ფენების სტილს.

სწორედ ამ იდეების გაგრძელებასა და განვითარებას ემსახურებაპ.ბლუმერის შრომებში წარმოდგენილი მოსაზრება, რომ მოდა ცვალებად სამყაროში ახალი სოციოკულტურული ფორმების დანერგვისა და მათთან ადაპტაციის საშუალებაა. ჰ.ბლუმერმა პირველმა იმ სოციოლოგთა შორის, ვინც საფუძვლიანად სწავლობდა მოდას, გამოიკვლია პროფესიული მოდის ინდუსტრიის პრაქტიკა. ემპირიული ფაქტების გათვალისწინებით ჰ.ბლუმერი მოდის განვითარებასა და მოძრაობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას რიგით პუბლიკას ანიჭებს. მოდური ჩვენებების აუდიტორიასთან ჩატარებული ექსპერიმენტის მონაცემებზე დაყრდნობით მკვლევარი აკეთებს დასკვნებს ქუჩის წამყვან როლზე Fashion-ტენდენციების ჩამოყალიბებაში. მოდის გავრცელების კატალიზატორად შეიძლება მოგვევლინოს როგორც ელიტა, ასევე საზოგადოების „ქვედა ფენები“, დარწმუნებულია მკვლევარი.

მოდის ფორმირებისა და გავრცელების პროცესი, ჰ.ბლუმერის მიხედვით, ორ ფაზას გადის: ინოვაციასა და შერჩევას. ქალის მოდის გამოკვლევის შედეგად მან გააკეთა დასკვნა, რომ მოდის დამკვიდრება ან განსაზღვრა სინამდვილეში შერჩევის ინტენსიური პროცესის გავლით ხდება. მაგრამ, რატომ არის, რომ მომხმარებლის არჩევანი მხოლოდ რამდენიმე მოდელს ემთხვევა? „... მყიდველების მიერ ერთგვაროვანი არჩევანის გაკეთების მიზეზების გარკვევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მყიდველი იმყოფება ზოგადი სამყაროს მიერ შექმნილ უაღრესად ინტენსიური სტიმულირების სივრცეში. იგი დაპყრობილია იმის გაცხარებული გარჩევა-განხილვით, თუ რა ხდება ქალის მოდაში და რა ინერება მოდის შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში... სიცხადით დავინახე, რომ ამ სამყაროში ღრმად ჩაფლულ მყიდველებს საბოლოოდ საერთო აღქმა და ერთმანეთის მსგავსი შეფასებები უვითარდებათ...“ (Blumer 1969: 134-135).

ამასთან ერთად, ჰ.ბლუმერი გარკვეულნილად ახშობს მოდის ანალიზის სტრატიგიკულ ასპექტს (პრესტიული ფენები – დაბალი ფენები, რომლებიც ესწრაფვიან დაემსგავსონ პრესტიულ ფენებს). ჰ.ბლუმერი თვლის, რომ XX საუკუნეში გაიზარდა საშუალო კლასის მნიშვნელობა და ახალი მოდის წარმოშობა ხშირად მის წიაღში ხდება (ტანგო, ჯაზი, ჯინსები). მისი თქმით, პირველ ფაზაში (ინოვაცია) სხვადასხვა, ერთმანეთის მეტოქე კულტურული ნიმუშების შემოთავაზება ხდება, მეორე ფაზაში ყველა სოციალური ჯგუფი ახორციელებს კოლექტიურ შერჩევას, რის შედეგადაც მოწონებული ნიმუში საყოველთაოდ აღიარებულ ნორმად იქცევა.

ამრიგად, ჰ.ბლუმერი, გ.ზიმელისაგან განსხვავებით, ფიქრობდა, რომ ელიტური ჯგუფების პრესტიული სულაც არ განაპირობებს მოდის ტენდენციებს. სხვა კლასების წარმომადგენლები, რომლებიც შეგნებულად მიჰყვებიან მოდას, ასე იმიტომ იქცევიან, რომ ეს მოდაა და არა ელიტური ჯგუფების განსაკუთრებული პრესტიული გამო. „მოდა“ კვდება არა იმიტომ, რომ ელიტური კლასის მიერ არის უგულებელყოფილი, არამედ იმის გამო, რომ ის გზას უთმობს ახალ ნიმუშს, უკეთ მორგებულს განვითარებულ გემოვნებაზე. მოდა განვირობებულია არა კლასობრივი დიფუ-

რენციაციის ან კლასობრივი მიპატვის მოთხოვნილებით, არამედ იმ სურვილის დასაკმაყოფილებლად, რომ იყო მოდური, იდგე იმ სიმაღლეზე, რასაც მოსაწონად მიიჩნევენ, გამოხატავდე ახალ გემოვნებას, ცვალებად სამყაროში რომ იპადება“ (Blumer 1969: 137).

სხვა კონცეფციებისგან განსხვავებით, „კოლექტიური ქცევის“ თეორიაში მოდის პროცესები წარმოჩინდება როგორც „ბრძოს ქცევის ელემენტარული ფორმები“ (Blumer 1994: 38-46). „მყიდველები მოდური პუბლიკის უნიტლიერ სურვაგატებად გადაიქცევიან. მათი წარმატება და პროფესიული ილბალიც კი დამოკიდებულია უნარზე, ამოიცნონ მიმართულება, საითაც მიდის ამ პუბლიკის გემოვნება“ (Blumer 1969: 134-135).

1960-იანი წლების დასასრულს ჰ.ბლუმერმა „სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიაში“ (International Encyclopedia of the Social Sciences) წარმოადგინა მოდის სოციალური ფუნქციის სხვადასხვა განმარტების შეჯერებული შედეგი; მას შემდეგ საკითხის შესწავლაში რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა. ჰ.ბლუმერი თვლის, რომ მთლიანობაში მოდის სოციალური როლის საკითხზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ არსებობს (Blumer 1968: 289-290).

მკვლევარი გვთავაზობს მოდის სოციალური ფუნქციის შედარებით ტიპური განმარტების კლასიფიკაციას: კულტურულ ნიმუშებში ერთგვაროვნებისა და მრავალგვარობის შექმნისა და შენარჩუნების ფუნქცია; ინოვაციური ფუნქცია; კომუნიკაციის ფუნქცია; სოციალური დიფერენცირებისა და ნიველირების ფუნქცია; სოციალიზაციის ფუნქცია; პრესტიუსის ფუნქცია; ფსიქოფიზიოლოგიური განტვირთვის ფუნქცია.

ზოგადად, როგორც ჰ.ბლუმერი აღნიშნავს, მოდის სოციალური როლი მდგომარეობს იმაში, რომ „ხელი შეუწყოს ცვალებადი სამყაროსადმი კოლექტიურ შეგუებას“ (Blumer 1968: 343). მოდის სოციალური ფუნქციის გაანალიზებისას ჰ.ბლუმერი ხაზს უსვამს მოდის მექანიზმის მნიშვნელოვან შტრიხებს, კერძოდ, თანამედროვეობას, მოდის ისტორიულ მემკვიდრეობითობას და მოდის ფუნქციონირებაში კოლექტიური გემოვნების როლს. ჰ.ბლუმერი ასახელებს ასევე მოდის შემდეგ სოციალურ ფუნქციებს: ფანტაზიის, ახირებისა და კაპრიზის ფუნქციას, წეს-ჩვეულებათა ტირანიაზე უარის თქმის ფუნქციას, სიახლის სფეროში კონვენციურად შეთანხმებული მიზანდასახული შეჭრის ფუნქციას, საკუთარი „მე“-ს დემონსტრირების ფუნქციას, სექსუალური ინტერესების შენიღბულად გამოხატვის ფუნქციას, ელიტური კლასების გამოცალკევების ფუნქციას, დაბალი კლასის სტატუსის მქონე ადამიანების მაღალი სტატუსის ჯგუფებთან ხელოვნური იდენტიფიკაციის ფუნქციას (Blumer 1968: 343).

ჰ.ბლუმერის მიერ შემოთავაზებული მოდის ფუნქციების განხილვისას შენიშნავთ, რომ ზოგიერთი მათგანი მთელი საზოგადოების დონეზე მოქმედებს (როგორებიცაა კულტურულ ნიმუშებში ერთგვაროვნებისა და ნიველირების ფუნქციები), ხოლო ფუნქციათა ნაწილი კი ადამიანის ინდივიდუალური სოციალური მოთხოვნილებების დონეზე ვრცელდება (სოციალიზაციის, პრესტიუსის, აგრეთვე ფსიქოფიზიოლოგიური განტვირთვის ფუნქციები). აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: მოდის სოციალური ფუნქციები საგრძნობლად აღემატება დისფუნქციებს, რაც გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ მოდა შეესაბამება სოციალური ორგანიზმისა და მისი ცალკეული ქვესისტემების, მათ შორის ეკონომიკისა და კულტურის, სილრმისეულ მოთხოვნებს.

მირითადი დასკვნები სოციალური კლასების, ტანსაცმლისა და მოდის შესახებ მოცემულია თანამედროვე სოციოლოგის პიერ ბურდიეს (Pierre Bourdieu, 1930-2002) მონოგრაფიში „Distinction: a Social Critique of the Judgement of Taste“ („განსხვავება: გემოვნების განსჯის სოციალური კრიტიკა“), რომელიც 1963-68 წლებში დაიწერა და 1979 წელს გამოიცა. მაღალი მოდის განხილვას ეძღვნება, ასევე, ესეები „Le couturier et sa griffe: contribution à une théorie de la magie“ (1975) („კუტურიე და მისი ხელმოწერა: წვლილი მაგიის თეორიაში“) და „Haute Couture – Haute Culture“ (1993) („მაღალი მოდა – მაღალი კულტურა“).

მოდის ანალიზისას ჰ.ბურდიე იყენებს საკუთარი „ველის კონცეფციას“. კონსტრუქციული სტრუქტურალიზმის ფარგლებში მოდის „წარმოების ველსა“ და „მოხმარების სივრცეს“ იგი განიხილავს, როგორც პოზიციების სტრუქტურულ სივრცეებს, ვინაიდან თითოეულ პოზიციას კაპი-

ტალის გარკვეული მოცულობა შეესატყვისება. „წარმოების ველში“ იწყება იქ მოქმედი აგენტების ბრძოლა ყველაზე სახარბიელო, დიდი რესურსის მქონე „პრიზისათვის“, ანუ კაპიტალისთვის, რომელიც მოცემულ ველში მნიშვნელოვნად მიიჩნევა. მაგალითად, მოდის შეზღუდული „წარმოების ველში“ მისი ყველა მონაწილე ფასეულად მიიჩნევს იმის აღიარებას, რომ მწარმოებელს აქვს კარგი გემოვნება, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედი ტალანტის მოძიებაში. ეს შეფასება მწარმოებლის კოლეგების მხრიდან ხდება და მას (მწარმოებელს) „გულწრფელობის უფლებას“ აძლევს. ეს გარემოება, თავის მხრივ, ძალაუფლებით უზრუნველყოფს მწარმოებლის მიერ აღიარებულ კუტურიეს, რომელსაც ეძლევა შესაძლებლობა ამ ველში მოქმედი სხვა დიზაინერების გემოვნება აღიაროს (Bourdieu 1993). მოთამაშები, რომლებიც ერთმანეთს მეტოქეობენ პრიზისათვის „Haute Couture“ – დიზაინერები არიან. ისინი ორ ჯგუფად იყოფიან, რომელთაგან ერთი ნაწილი დომინირებს, ანუ ფლობს დიდი ოდენობის კაპიტალს, რაც მათ ლეიბლს მაგიურ ძალას ანიჭებს, ხოლო ქმნილებებს – სოლიდურ ფასს. მეორე ნაწილის კაპიტალი კი გაცილებით ნაკლებია. პ.ბურდიეს მიხედვით, ესენი არიან მეტიჩრები, ახალბედები ან უილბლონი. ეს უკანასკნელი დომინანტი პოზიციის დასაკავებლად ბრძოლის პროვოცირებას ახდენენ. მათ სურთ შეცვალონ იერაქია და ამისათვის ძლიერების მიერ გამოყენებული კონსერვაციის წინააღმდეგ დამხობის სტრატეგიას ირჩევენ, რაც ეპატაჟში, ავანგარდულ მოდურ მიმართულებებში რეალიზდება. „ველის დინამიკა ბრძოლაშია, რომელიც, თავის მხრივ, ამ ველის განვითარების მექანიზმს წარმოადგენს. ბრძოლა გზას უხსნის სიახლეს: ახალ ადამიანებს, ახალ მოდას“ (Bourdieu 1993).

უნდა აღინიშნოს, რომ პ.ბურდიემ მაღალი მოდის „წარმოების ველის“ კონცეფცია საფრანგეთის მაგალითზე შეიმუშავა. ამ კონცეფციის რელევანტურობის საკითხი სხვა კონტექსტში ღია რჩება.

მოდის „მომხმარებლის სივრცე“ კი მსგავსი ლოგიკით ფუნქციონირებს სხვა კონტექსტშიც. მისი მონაწილეები ქმნიან ცალკეულ ჯგუფებს, რომელთაც კაპიტალის მოცულობისა, სტრუქტურისა და ასევე გემოვნების შესაბამისად სხვადასხვა პოზიცია უკავიათ აღნიშნულ არეალში. აგენტების გემოვნების პომოლოგიას XX საუკუნის 60-იანი წლების საფრანგეთში საფუძვლად უდევს ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა წარმომავლობა და განათლება, რაზეც პ.ბურდიე საუბრობს კვლევაში „განსხვავება“ (Bourdieu 1984). გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფაქტორებს (წარმომავლობა და განათლება) პ.ბურდიე კლასების შემქმნელ ნიშნებად მიიჩნევს. მაშასადამე, პ.ბურდიეს აზრით, მოდის „მომხმარებელთა არეალში“ მოთამაშედ კლასები გვევლინებიან: სამოსი მათ „ეკუთვნით“, იგი მათი „მარკერია“. აგენტი ტანსაცმლის შერჩევისას საკუთარ გემოვნებას ეყრდნობა, რომელშიც მისი აღზრდის, განათლებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების განუმეორებელი კონცეფციაა ჩადებული.

„მომხმარებელთა სივრცის“ სტრუქტურის (ანუ სხვადასხვა სოციალური კლასის) კვლევის საფუძველზე ბურდიე მიუთითებს, რომ თითოეულ კლასს პრაქტიკული საშუალებები და მეთოდები აქვს. მაგალითად, მუშები ირჩევენ ფუნქციურ ნივთებს და მოდურად ჩატარებულ თავს არ ინუხებენ. ბურუაზია ასევე ფლობს პრივილეგიას „არ იზრუნოს განსხვავებულ იერზე“. ამ ფენის ბატონობას, პირველ რიგში, განაპირობებს მათი ეკონომიკური კაპიტალი და ასევე პრეტენზიები განსაკუთრებულ გემოვნებაზე ხელოვნებაში, მხატვრული, მუსიკალური და სხვა ლეგიტიმური კულტურული კაპიტალის სფეროებში. ამით ბურუაზია ემიჯნება „ყოველივე უფერულს“. ამ ორი კლასისაგან განსხვავებით, მოდის მიმართ გაძლიერებულ ინტერესს იჩენენ საშუალო კლასი და ნუვორიშები – უმაღლესი კლასის არადომინანტი ფრაგიის წარმომადგენლები (ახლად გამდიდრებული ადამიანები, რომლებიც უმაღლეს ფენებში შეღწევისკენ ისწრაფვიან). ამ ჯგუფებისთვის დამახასიათებელია აქტიური „თვალთმაქცობის“ სტრატეგია. ანუ, მათვის მნიშვნელოვანია, „გამოიყრებოდნენ უფრო მედიდურად, ვიდრე სინამდვილეში არიან“ (Bourdieu 1993).

პ.ბურდიეს აზრით, არავის შეუძლია სუბიექტის კლასიფიცირება იმაზე უკეთ, ვიდრე თავად სუბიექტს, როცა იგი გადაწყვეტილებას იღებს, რა ჩაიცვას, როგორ მოიქცეს და ისაუბროს, სად გაატაროს თავისუფალი დრო და ა.შ. (Bourdieu 1984).

ეს თეზისები ტ.ვებლენის იდეის მსგავს მოსაზრებას შეიცავს, რომლის თანახმადაც სამოსი სტატუსის სიმბოლოდ არის განხილული. მაგრამ, 1960-იანი წლების ფრანგული საზოგადოების-თვის სტატუსი უკავშირდებოდა არა ეკონომიკურ კაპიტალს, როგორც ტ.ვებლენის დროინდელ ამერიკულ საზოგადოებაში, არამედ გემოვნებას, რომლის უკანაც განათლება და წარმომავლობა იდგა.

ყველა თანამედროვე კონცეფცია, გარკვეულწილად, სტატიაში მოყვანილ მოდის კლასიკურ თეორიებს ეფუძნება, რომლებსაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავთ.

XX საუკუნის ბოლო წლებში უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭა მოდის, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენის, რეგულაციის მექანიზმების შესწავლას. მოდა მჭიდრო კავშირში განიხილება თანამედროვე საზოგადოების განვითარების მთავარ ფასეულობებთან და ტენდენციებთან. მოდა გაიაზრება, როგორც იდეოლოგია, რომლის ტრანსლირება მოდური უურნალებით ხდება. მასზე საუბრობენ ისე, როგორც ინდუსტრიაზე, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა აგენტის მცდელობებით მიმდინარეობს მოდის წარმოება, წინ წამოწევა და გავრცელება.

როგორც მოდის ინდუსტრიის, ასევე მიმპარველობის, დემონსტრაციული მოხმარებისა და სოციალურ-კულტურული ნორმების განახლების მექანიზმის კონცეფციებს გამოყენების საკუთარი სფეროები აქვთ. თუმცა, მაინც შეიძლება იმის მტკიცება, რომ მიმპარველობისა და დემონსტრაციული მოხმარების კონცეფციები იშვიათად გამოიყენება, როგორც თანამედროვე კვლევბის მეთოდოლოგიური საფუძველი, ხოლო მოდის ინდუსტრიის კონცეფცია უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს.

მოდის ფენომენისა და მის განმარტებათა კომპლექსურ ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ მრავალრიცხოვანი კვლევები ვერ უზრუნველყოფენ კონცეპტუალურ მთლიანობას მოდის გააზრებაში. როდესაც ჩატარებული კვლევების მეცნიერულ ღირებულებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი დასკვნა და დებულება, შემოთავაზებული მენიერებისა და სპეციალისტების მიერ, საჭიროებს შემდგომ თეორიულ და პრაქტიკულ გავრცობას. ზოგი მეცნიერული დებულება კი მოდის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კორექტირებას მოითხოვს, რაც სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ცვლილებებით არის განპირობებული.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Blumer, H. „Fashion: from Class Differentiation to Collective Selection“. The Sociological Quarterly. Vol.10. N3. 1969.
- Blumer, H. Fashion. International Encyclopedia of the Social Sciences. N.Y., Vol.5. 1968, p.289-290, 343.
- Bourdieu, P. Distinction: a Social Critique of the Judgement of Taste. USA: Harvard University Press.1984.
- Bourdieu, P. „Haute Couture – Haute Culture“. Sociology in Questions. London: Sage Publications, 1993.
- Durkheim, E. *The Rules of Sociological Method*. 8th ed. Edited by George E.G. Catlin. Glencoe, III: Free Press. First published in French, 1895 English-language translation by John Irons, British Library Cataloguing in Publication Data 2006.
- Field, G. „The Status Float Fenomenon. The Upward Diffusion of Innovation“. Business Horizons. 1970. № 13 (August), p. 45–52.
- King, Ch.W. „Fashion Adoption: A Rebuttal to the „Trickle Down Theory““. Toward Scientific Marketing. Edited by S. Greyser. Chicago: American Marketing Association, 1963.
- König, R. On the Social Psychology of Fashion. New York, Seabury, 1973.
- Stoetzel, J. La Psychologie sociale, Paris, Flammarion, 1963.
- Svendsen, L. Fashion: A Philosophy/Mote: Et Filosofisk Essay Universitetsforlaget, Oslo, 2004.
- Shaftsbury, A. Characteristics of men, manners, opinions, times cte. L., 1900.vol.1.
- Simmel, G. Soziologie: Untersuchungen über die Formen der Vergesellschaftung. Leipzig: Verlag von Duncker & Humblot, 1908.

- Блумер, Г. Коллективное поведение. Американская социологическая мысль. М., 1994.
- Веблен, Т. Теория праздного класса. М., Прогресс. 1984.
- Вернер, З. Изменчивость потребления. Современный капитализм, т.2, М.: 1905.
- Гофман, А. Мода и люди, или новая теория моды и модного поведения. М., Агентство «Издательский сервис», 2000.
- Гофман, А. Классическое и современное: Этюды по теории социологии. М., Наука, 2003
- Зиммель, Г. Мода. Георг Зиммель. Избранное. Т.2. Созерцание жизни. М., Юрист, 1996.
- Зомбарт, В. „Изменчивость потребления“. Современный капитализм, т.2, М., 1905.
- Тард, Г. Законы подражания. СПб., 1892.
- Тард, Г. Социальные законы. СПб., 1901.

**NINO MGALOBLISHVILI**

### **FEATURES OF CLASSICAL CONCEPTS OF THE THEORY OF FASHION**

#### **Summary**

The main categories in the initial discussions of fashion (from the 18<sup>th</sup> to the end of the 19<sup>th</sup> centuries) are the concepts of „imitation“ and „isolation, maintaining their elite group distinctiveness from other layers“.

In the 20<sup>th</sup> century, in connection with the transformation of social structure and the rise of the so-called mass society, these approaches largely lost the explanatory power and were criticized when new explanatory models appeared. The concept of „Production Mode“ still took effect in the first half of the 20th century. There were changes only in the image of the elite. Thus, according to the theory of the leisure class and conspicuous consumption, the old aristocracy in the US were no longer fashion founders, this was done by nouveau riches who had recently acquired their status.

The situation has changed dramatically since the 1950's. In the sociology of fashion the winner was the so-called „Theory of collective decision“ of fashion standards. In accordance with this theory, the elite were no longer fashion leaders, fashion standards were formed by the masses. Fashion was becoming an industry, fashion standards were duplicated and distributed to the masses. The development of mass communications could impose the same model to millions of customers.

In this study, we have tried to present the evolution of the theory of fashion, specific methodological tools of the theory of mode, pre-industrial, industrial and post-industrial society and, correspondingly, show how they reflect the dynamics of fashion and fashion behavior in different periods of human history. It is particularly interesting to track how the theoretical and methodological approaches in the analyzed fashion were developing. Their study is interesting as the point of view of the history of social thought, which saw the fashion as a very important factor of human social interaction and a new interpretation of previous judgments about fashion in the context of modern ideas about its phenomenon, about the increasing complexity of the dynamics of transition from closed to open society, from simple to complex self-organized systems.

In our work, we are particularly interested in the works which deal with the concept of fashion as a social and cultural phenomenon. In this context, the works of G. Tarde, G. Simmel, W. Sombart, Herbert Spencer, H. Blumer are particularly interesting. They are the first in the history of sociological and socio-psychological knowledge who identified the trends of mass processes of nucleation, the approval and change of stereotypes, which is typical of the fashion world. We have analyzed the characteristics of fashion in the works of T. Veblen, P. Bourdieu, Anthony Ashley Cooper Shaftesbury, I. Kant and E. Durkheim.

## ოლეგ კაპანაძე, ნუნუ კაპანაძე

### ორანჟის გარმაცხულ-ეართული პარალელური ხელის ბანკის შესახებ

#### 1. შესავალი

პარალელური ხეების ბანკები მოიცავს თარგმნილი (პარალელური) დოკუმენტებიდან აღებულ სინტაქსურად ანოტირებულ წინადადებებს ორ ან მეტ ენაზე. ამასთან, ორი შესაბამისი წინადადების სინტაქსური ხეები ურთიერთშეთანადებულია სიტყვის, ფრაზისა და შემადგენელი წინადადებების დონეებზე.

მრავალ ენაზე ბუნებრივად წარმოდგენილი ტექსტები მათი ლინგვისტური სტრუქტურის შესაბამისად არის ანოტირებული. ერთენოვანი ხეების ბანკი წარმოადგენს ტექსტის კორპუსს რაიმე ენაზე, რომელშიც ყოველი წინადადება სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით არის ანოტირებული. ლინგვისტური ხეების ბანკი თითოეული წინადადებისათვის აღწერს წინადადებების სტრუქტურულ სქემას, რომელიც სინტაქსურ და ზოგჯერ სემანტიკურ ინფორმაციას მოიცავს. ჩვეულებრივ, სინტაქსური სტრუქტურა წარმოდგენილია ე.ნ. „ორიენტირებული გრაფის“, ანუ ხის ფორმით, რაც განაპირობებს ასეთი რესურსების სახელწოდებას „ხეების ბანკის“ ტერმინის სახით.

ხშირად ხეების ბანკები იმ კორპუსზეა დაშენებული, რომელიც უკვე ანოტირებულია მეტყველების ნაწილთა მიხედვით (*POS – part-of-speech tags*). ანოტირება შეიძლება ხდებოდეს შემადგენელთა, დამოკიდებულებათა ან სხვადასხვა დონის ლინგვისტური ანალიზის შესატყვის გრამატიკულ სტრუქტურათა მიხედვით. ამდენად, ხეების ბანკები შეიძლება ბევრ შემთხვევაში შევსებული იყოს სემანტიკური ან სხვა ლინგვისტური ინფორმაციით.

შესაძლოა, ხეების ბანკები მთლიანად ხელით აიგოს და ლინგვისტმა შეასრულოს ყველა წინადადების ანოტირება მისი შესაბამისი სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით; სხვა შემთხვევაში, ბუნებრივი ენის ლინგვისტურად დამუშავებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული პროდუქტი (parser) ყოველი წინადადებისათვის ავტომატურად განსაზღვრავს სინტაქსურ სტრუქტურებს, რაც შემდეგ შემოწმდება და საჭიროების შემთხვევაში შესწორდება ლინგვისტის მიერ.

ხეების ბანკები თანამედროვე ლინგვისტური კვლევის ფასდაუდებელ ბაზებად იქცა. მათი გამოყენება შეიძლება მთარგმნელობით მეცნიერებაში, კორპუსის ლინგვისტიკაში – სინტაქსური ფერმენტების შესასწავლად, კომპიუტერულ ლინგვისტიკაში – ბუნებრივი ენის ტექნოლოგიის სხვადასხვა კომპიუტერული სისტემისა და მარგი ქმედების კორპუსის სტრუქტურული და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შესაფასებლად ან ლინგვისტური დამუშავების პროგრამული პროდუქტების (parser) შესაქმნელად და მათ შემდგომ დასახვენად (*training*); ამასთან, ხეების ბანკები ქმნის მონაცემთა ბაზას მთარგმნელი მეცნიერების სისტემებისთვის, რომლებიც მულტილინგვურ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში წამყვან პოზიციას იკავებს ბოლო ათწლეულში.

მას შემდეგ, რაც ხეების ბანკების დიდი რაოდენობა აიგო, პოპულარული გახდა პარალელური (ორი ან მეტი ენისათვის) ხეების ბანკების შემუშავება. უკანასკნელ ათწლეულში პარალელურ კორპუსზე და ხეების ბანკებზე წარმოებულმა კვლევამ გეზი პარალელური ხეების ბანკებისკენ აიღო.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება (Samuelsson/Volk, 2006, 2007), ხეების ბანკები სადღეისოდ ლინგვისტური კვლევების აუცილებელ საფუძველს / ბაზისს ქმნის. ბუნებრივი ენის ტექსტის მრავალი პარალელური კორპუსი, რომელიც 90-იან წლებში შეიქმნა, განივრცო ხეების ბანკების სახით.

საგულისხმოა, რომ ქართული ნაკლებად გავრცელებული ენაა მასზე მოლაპარაკე ადამიანთა შედარებითი სიმცირის გამო და, ამასთანავე, მისთვის ნაკლებად მოიპოვება კომპიუტერული რესურსები ბუნებრივი ენის მანქანური დამუშავების თვალსაზრისით. ამდენად, მსგავს ენებს პროფესიულ წრეებში „მცირერესურსიან“ (less-resourced) ენებს მიაკუთვნებენ.

სტატიაში აღვწერთ ჩვენს მუშაობას პარალელური ხეების ბანკის შესაქმნელად ტიპოლოგიურად განსხვავებული ენათა წყვილისათვის, როგორიცაა ქართული და გერმანული. ხსენებულ ორენოვან ხეების ბანკში წარმოდგენილი წინადადებები სინტაქსურად არის გაანალიზებული. პარალელური წინადადებები და სიტყვები ურთიერთშეთანადებულია.

## 2. საკვლევი ენობრივი მასალა

ბილინგვური/ორენოვანი ხეების ბანკების შესამუშავებლად საჭირო პარალელური ტექსტები საკმაოდ ცოტაა, განსაკუთრებით კომპიუტერული თვალსაზრისით მცირერესურსიანი ენების-თვის, რომლებსაც განეკუთვნება ქართული ენა.

კვლევისათვის გამოყენებული პარალელური კორპუსი შედგება გერმანული წინადადებებისა და მათი შესატყვისი ქართული თარგმანებისაგან, რომელიც შეიქმნა GREG პროექტისათვის (Kapanadze et al., 2002) (Kapanadze O. 2010a).

GREG ლექსიკონი მოიცავს გერმანული, რუსული, ინგლისური და ქართული ენის ზმნებისათვის ხელით ურთიერთშეთანადებულ სინტაქსურ და სემანტიკურ მონაცემებს, რომლებიც სინტაქსური ქვეკატეგორიების ჩარჩოებით და ე.წ. „სილრმული ბრუნვების“ მომნიშვნელების სახით არის წარმოდგენილი (Baker et al., 1998). GREG მულტილინგვური ლექსიკონი გავრცელილია წინადადებების მაგალითებით ოთხ ენაზე. ეს მაგალითები ხსნის თითოეული სალექსიკონი ერთეულის შესაძლო მნიშვნელობებს და სათარგმნ ეკვივალენტებად არის მიჩნეული მოცემული წინადადებებისათვის. ბილინგვურ ქველექსიკონთა ზომა სხვადასხვაა ენათა წყვილების მიხედვით და მერყეობს 1200-დან 1300 ერთეულამდე; განსხვავდება ქველექსიკონზე დართულ წინადადებების ნიმუშთა რაოდენობაც. მაგალითად, GRUG პროექტისათვის (<http://fedorare.clarin-d.uni-saarland.de/~grug/>) გამოყენებული გერმანულ-ქართული ქვეკორპუსი შეიცავს დაახლოებით 2600 წინადადებათა წყვილს, რაც სხვადასხვა სინტაქსურ ქვეკატეგორიათა ჩარჩოებს შეესაბამება.

## 3. ერთენოვანი ხეების ბანკის შემუშავება

### 3.1. მორფოლოგიური ანალიზი

ქართული აგლუტინაციურ ენებს განეკუთვნება, რომელიც იყენებს როგორც სუფიქსურ, ასევე პრეფიქსულ წარმოებას.

ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზისათვის, თეგირებისა და ლემატიზების პროცედურებისათვის გამოვიყენეთ სასრული მდგომარეობის ავტომატთა მეთოდი, რომელიც XEROX FST პროგრამულ პაკეტს ეყრდნობა (Kapanadze O., 2009), (Kapanadze O. , 2010b). ქართული ტექსტის მორფოლოგიური ანოტაცია ეფუძნება NEGRA ხეთა ბანკის პროექტისათვის შემუშავებულ თეგების სიას, რომელიც გავრცელი იქნა ქართული მორფოლოგისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შესაბამისად.

ქართული FST მორფოლოგიური გადამსახავი (transducer) იყენებს ფორმალიზმების მთელ წყებას, XEROX CALCULUS პროგრამულ ხელსაწყოებზე (toolkit) დაყრდნობით (Beesley / Karttunen, 2003). ლექსიკონის მოდელირებისა და მორფოსინტაქტიკის აღსანერი წესების რეალიზაციის მიზნით გამოყენებულია ლექსიკონის სპეციფიკური ფორმალური ენა *lexc*. ქართული ენის მორფოლოგიური გადამსახავი შედგება 7 მოდულისაგან: არსებითი სახელების, ზედსართავი სახელების, ნაცვალსახელების, ზმნიზედების, ზმნებისა და მცირე მეტყველების ნაწილებისათვის (ე.წ. სინსემანტიკა). ამჟამად ხელმისაწვდომია ქართული FST ტრანსდუსერის ორი ვერსია, კერძოდ, MS Windows პლატფორმაზე და LINUX UBUNTU ვერსიაში.

### 3.2. სინტაქსური ანოტაცია

სინტაქსური ანოტაცია იყენებს მონაცემებს მეტყველების ნაწილების, მორფოლოგიური მახასიათებლების შესახებ და სინტაქსური დამოკიდებულების ფუნქციებს. ივარაუდება, რომ ყოველ წინადადებას აქვს თავი, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ტოკენი (სიტყვაფორმა), გარდა წინა-

დადების შესატყვისი აღნიშვნისა, წარმოადგენს თავის პირდაპირ ან ირიბ დეპენდენტებს. მონო-ლინგვური ბაზები წარმოადგენილია XML-ფორმატში აღნერილი ფაილების (script) სახით.


მორფოლოგიურად ანოტირებული ბილინგვური კორპუსისა და GREG ლექსიკონის მონაცემებზე დაყრდნობით გერმანული და ქართული წინადადებები მანუალურად არის ანოტირებული. ამ მიზნით გამოყენებულია პროგრამული პაკეტი *Sympathy* (<http://www.lat-mpi.eu/tools/sympathy/>), რომელიც მაქს პლანკის ფსიქოლინგვისტიკის ინსტიტუტის მიერ იქნა შემუშავებული ჰოლანდიაში (Sympathy: Syntax Editor – Manual – Nijmegen: Max Planck Institute for Psycholinguistics, 2006).

ის ეფუძნება TIGER კვლევითი პროექტისათვის (Institut für Maschinelle Sprachverarbeitung, Universität Stuttgart) შექმნილ SyntaxViewer პროგრამულ პაკეტს. დაწვრილებითი ინფორმაცია აღნიშნული კომპიუტერული პროდუქტის შესახებ განთავსებულია მაქს პლანკის ფსიქოლინგვისტიკის ინსტიტუტის ვებგვერდზე: <http://www.mpi.nl/tools/sympathy.html>.

მონოლინგური ხეების ბანკები, რომლებიც TIGER-XML ფორმატში არის კონვერტირებული, წარმოადგენს მძღავრ, მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებულ გრაფის მსგავს სტრუქტურებს. TIGER-XML ხის გრაფში ყოველ „ფოთოლს“ (=სიტყვაფორმა) და ყოველ კვანძს (=ლინგვისტური ძემადგენელი) აქვს საკუთარი, ყველასგან განსხვავებული სახელწოდება (identifier). ეს უნიკალური სახელწოდება გამოყენებულია ორი ენის ფრაზებისა და სიტყვების ურთიერთშეთანადებისას თარგმნით ეკვივალენტებში. თუ ცალკეული ენის ხეების შესაბამისი კვანძები და სიტყვები მხოლოდ მიახლოებით გადმოსცემენ ერთმანეთის მნიშვნელობას, მათი ურთიერთშეთანადება მიჩნეულია „არამკაფიო“ თარგმნით შესატყვისობად და ისინი წითელი წრფილებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

თითოეული წინადადებისათვის TIGER-XML ფორმატის შესატყვისი პროგრამული ფაილი შედგება „თავისა“ და „სხეულისაგან“. „თავი“ მოიცავს მეტაინფორმაციას, როგორიც არის, მაგ., კორპუსის სახელწოდება, თარიღი, ავტორი. ასევე შეიცავს ახსნა-განმარტებებს გამოყენებული თეგების შესახებ და ა.შ. „სხეულის“ ნაწილი მოიცავს: (1) ტერმინალურ ერთეულებს (ხის „ფოთლებს“), რომლებიც წარმოდგენილია ცალკეული სიტყვებით, მეტყველების ნაწილების თეგებით და სათანადო მახასიათებლებით ატრიბუტების სახით; (2) არატერმინალურ ერთეულებს, რომლებიც შეიცავს მორის დამაკავშირებელ ხაზებს ალნერებს.

კონკრეტული ენობრივად ანოტირებული წინადადებების მაგალითი, რომელიც მომზადებულია Synphaty პროგრამული პაკეტით TIGER XML-ფორმატში (.tig გაფართოებით), შეიძლება მონიტორის ფოტოასლის (screenshot) მეშვეობით ვარჩეონ:



სურ. 1. TIGER XML-ფორმატში კოდირებული წინადაღის

თავად ანოტირება 2 საფეხურისაგან შედგება:

- 1) ყოველ სიტყვას მიესადავება გრამატიკული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მისი შესატყვი-სი მეტყველების ნაწილის აღმნიშვნელ თევს შესაბამისი თევების სიმრავლეში (Tagset):
- 2) სინტაქსური სტრუქტურა კოდირებულია ხის მსგავსი გრაფის ფორმით, კვანძებითა და ხაზებით, რომლებიც თითოეული ლინგვისტური ერთეულისათვის იქმნება.
1. გერმანული ხის ბანკების ანოტაცია მიჰყება TIGER პროექტის ანოტაციის სქემას (Brants /Hansen 2002), (Skut et al., 1998), (Smith 2003). Synphaty-ისათვის გამოიყენეს NEGRA ხების ბანკისათვის შემუშავებული თევების სიმრავლე (Stuttgart-Tübinger Tagset, STTS), რომელიც მოიცავს 11 ძირითად სინტაქსურ კატეგორიას:

Nouns N	Adverbs ADV
Verbs V	Conjunctions KO
Articles ART	Adpositions AP
Adjectives ADJ	Interjections IT
Pronouns P	Particles PTK
Cardinal Numbers CARD	

ამ ძირითად კატეგორიებს ექვემდებარება ქვეკატეგორიები. ქვეკატეგორიები ზმნებისათვის შემდეგ ცხრილშია ნაჩვენები:

Part of Speech	Typ des Verbes	Finiteness	Beispiele
V	A Auxiliar	FIN finit INF infinit IMP imperativ PP Partizip Perfekt	VVINF have  VAIMP be VAPP had
	M Modal	FIN finit INF infinit PP Partizip Perfekt	VMFIN könnte VMINF können VMPP gekonnt
	F Full	FIN finit INF infinit IZU Infinitiv mit zu IMP imperativ PP Partizip Perfekt	VFFIN gibt ... ab VFINF abgeben VFIZU abzugeben VFIMP gib ... ab VFPP abgegeben

#### ცხრილი 1. ზმნის ქვეკატეგორიები

POS-თევირებას (ტერმინალური ერთეულებისათვის) წინადადების დონეზე გამოხატავს შემდეგი მაგალითი:

Jetzt solle erneut eine Erklärung abgegeben werden .  
 ADV VMFIN ADJD ART NN VVPP VAINF \$.

თევირებულ ტერმინალურ ერთეულებს მიეკუთვნება შესაბამისი ატრიბუტები სათანადო მახსიათებლებით. შემდეგი ცხრილი უჩვენებს იმ ატრიბუტებს და მახასიათებლებს, რომელთა მიღებაც მათ შეუძლიათ POS-თევებთან ერთად:


Genus	Masc, Fem, Neut	ADJA, ART, APPRART, NE, NN, PDS, PDAT, PIAT, PIS (teilweise), PPER, PPOSAT, PPOSS, PRELS, PRELAT, PWAT, PWS
Kasus	Nom, Gen, Dat, Acc.	ADJA, ART, APPRART, NE, NN, PDAT, PDS, PIAT, PIS, PPER, PPOSAT, PPOSS, PRELS, PRELAT, PRF, PWAT, PWS
Numerus	Sg, Pl	ADJ, ART, APPRART, NE, NN, PDAT, PDS, PIAT, PIS, PPER, PPOSAT, PPOSS, PRELS, PRELAT, PRF, PWAT, PWS, V.FIN, V.IMP
Grad	Pos, Comp, Sup	ADJA, ADJD

Person	1, 2, 3	VVFIN, VAFIN, VMFIN, PPER, PRF
Tempus	Pres, Past	VVFIN, VAFIN, VMFIN
Modus	Ind, Subj	VVFIN, VAFIN, VMFIN
Nichtfinitheit	Inf, Psp, Imp, Infz	VVINF, VAINF, VMINF, VVPP, VAPP, VMPP, VVIMP, VAIMP, VVIZU

## ცხრილი 2. შესაძლო POS-თეგების ნუსხა შესაბამისი ატრიბუტებითა და მახასიათებლებით

ანოტაციისათვის TIGER-XML თეგების ცხრილში გერმანულ ენაში არარსებული გრამატიკული კატეგორიებისათვის გამოიყენება ლათინური აღნიშვნები. ასეთი ენობრივი სხვაობის თვალსაჩინო მაგალითია ბრუნების სისტემა: არსებითი სახელების ბრუნების სისტემა ქართულში 7 ბრუნვისაგან შედგება, გერმანულში კი მხოლოდ 4-საგან. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში, გამოიყენება კატეგორიები: „casus instrumentalis“, „casus ablativus“, „casus vocativus“.


ანოტირებული წინადადებებისა და ხის გრაფების შესახებ ინფორმაციის ვიზუალიზაცია TIGER-XML ფორმატში (.tig გავრცობით) Synphaty-ის ანალიზის შედეგად მონიტორზე მიღებული გამოსახულების საშუალებით შეიძლება:



სურ. 2. Synphaty-ს მეშვეობით ჰოლანდიური წინადადების მონიტორზე ვიზუალიზაციის მაგალითი

როგორც სურათზე ნათლად ჩანს, სიტყვები წინადადებაში თეგირებულია POS-ის საშუალებით. ხის კვანძები მონიშვნულია შემადგენლების სინტაქსური კატეგორიების საფუძველზე. ხაზების მონიშვნა ხდება გრამატიკული ფუნქციების მეშვეობით შესაბამის მშობელ-კვანძებთან მიმართებაში.

სინტაქსური ანოტაციის გამოსავალი შედეგი TIGER XML-ფორმატში გვეძლევა. TIGER XML-ფორმატზე დაყრდნობით სინტაქსური ანოტაციის ვიზუალიზაცია ასევე შეიძლება TIGER Search პროგრამის მეშვეობით, რომელიც წარმოგვიდგენს დამოკიდებულებათა გრაფებს და ქართული წინადადებისათვის ნაჩვენებია მესამე სურათზე.



სურ. 3. Synphaty-ის ანალიზის  
გამოსავლის მაგალითი  
ქართული წინადადებისთვის


#### 4. მონოლინგვური გერმანული და ქართული ხეების ბანკების ურთიერთშეთანადება პარალელურ ხეების ბანკში

გერმანული და ქართული ეკვივალენტური წინადადებები მანუალურად არის ურთიერთშეთანადებული მათი ლინგვისტური ანოტაციის მიხედვით Stockholm TreeAligner-ის მეშვეობით (Samuelsson /Volk, 2006), (Samuelsson /Volk, 2005). Stockholm TreeAligner-ი უზრუნველყოფს გრაფების სტრუქტურების შეთანადებას სიტყვის შეთანადებასთან ერთად, რაც, როგორც მისი შემქმნელები აცხადებენ, ერთადერთი შემთხვევა (Samuelsson /Volk, 2006) მსგავსი კომპიუტერული საშუალებების პრაქტიკაში.

ფრაზების ურთიერთშეთანადება შეიძლება განვიხილოთ როგორც ინფორმაციის დამატებითი მონაკვეთი სინტაქსური სტრუქტურის შესახებ. ის უჩვენებს, თუ გერმანული წინადადების რომელი ნაწილი არის ქართული წინადადების შესაბამისი ნაწილის შესატყვისი. ეს კი მიიღწევა Stockholm TreeAligners-ის გრაფიკული ინტერფეისის დახმარებით. ურთიერთშეთანადების ხაზები ხელით არის დახაზული წინადადებას, ფრაზასა და სიტყვათა წყვილებს შორის პარალელურ სინტაქსურ ხეებში.

ამ პროცედურის მიზანს წარმოადგენს წინადადების ცალკეულ ნაწილებს შორის ეკვივალენტობის ჩვენება. ფრაზები შეიძლება ურთიერთშეუთანადდეს, თუ სიტყვა-ფორმები (ტოკენები), რომელთაც ისინი მოიცავენ, იმავე მნიშვნელობას წარმოადგენენ და თარგმნითი ერთეულების სახით ფუნქციონირებენ წინადადების აქტუალური კონტექსტის მიღმა.

სურათი 4 უჩვენებს ქართული წინადადების შეთანადების ვიზუალიზაციას მესამე სურათიდან ეკვივალენტურ გერმანულ წინადადებასთან. ჩვენ შეძლებისდაგვარად ბევრი წინადადების ურთიერთშეთანადებას ვგეგმავდით, რომლის მიზანს მთარგმნელობითი ეკვივა-



სურ. 4. თარგმანის ეკვივალენტობის მაგალითი  
სიტყვათწყობის მიხედვით


ლენტების ჩვენება წარმოადგენს. ფრაზები მხოლოდ იმ შემთხვევაშია ურთიერთშეთანადებული, თუ სიტყვაფორმები (ტოკენები), რომელთაც ისინი მოიცავენ, იმავე მნიშვნელობას გადმოსცემენ და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თარგმნით ერთეულებად.

ფრაზების გრამატიკული ფორმები არ საჭიროებენ სხვა კონტექსტებთან მისადაგებას, მათ-ზე მორგებას, განსხვავებით მნიშვნელობისაგან.

Stockholm TreeAligner-ის შემქმნელი ურთიერთშეთანადების ორ ფორმას განასხვავებენ, რაც სხვადასხვა ფერით არის ნაჩვენები. კვანძები და სიტყვები, რომლებიც ზუსტად მსგავს მნიშვნელობას გადმოსცემენ, ურთიერთშეთანადებულია, როგორც ზუსტი თარგმნითი შესატყვისობა, რაც მწვანე ხაზით არის ნაჩვენები.


თუ კვანძები და სიტყვები მხოლოდ მიახლოებით მნიშვნელობას გადმოსცემენ, მაშინ ისინი, როგორც „სუსტი“ თარგმნითი ეკვივალენტი, წითელი ხაზების მეშვეობით არის შეთანადებული.

გერმანული ენის პრესკრიპციული გრამატიკა ადგენს შემდეგ სიტყვათნუობას: სუბიექტი, ობიექტი, ფორმაცივალებადი ზმნა, ასევე პრედიკატივის ფუნქციით გამოყენებული მიმღებები. ამის საპირისპიროდ ქართულში სიტყვათნუობა შედარებით თავისუფალია და ძირითადად წინა-დადების ფუნქციონალური პერსპექტივით არის განპირობებული, რომელსაც ორი აღიარებული თეორია უდევს საფუძვლად: 1) სამეტყველო აქტების თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენი გამონათქვამები გარკვეულ ნებელობით განსაზღვრულ ქმედებებს მიჰყვება (Austin 2005), (Searle 2005); 2) თემა-რემის თეორია, რომელიც იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ წინადადების ელემენტების წრფივი თანმიმდევრობა ჩვენი აზროვნების მიმართულებას ექვემდებარება, მოძრაობს „ცნობილიდან“ (Thema) „უცნობისაკენ“ (Rhema) (Lutz 1981) და ისეთი ფაქტორების მეშვეობით იმართება, როგორიცაა: საკომუნიკაციო სიტუაცია, ენობრივი კონტექსტი, პროდუცენტი-რეციპიენტი მიმართება და, აქედან გამომდინარე, წარმატებული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობაა.



სურ. 5. განსხვავებები სიტყვათნუობის დონეზე

სქესი, როგორც გრამატიკული კატეგორია, ქართულში არ არსებობს. მის საიდენტიფიკაციო, ინდივიდუალიზაციისა და განმაზოგადებელ ფუნქციას თავის თავზე იღებენ როგორც ლექსიკური (ნაცვალსახელები), ასევე გრამატიკული საშუალებები (ფორმის მანარმოებელი მორფები).




სურ. 6. განსხვავებები სინტაქსური სტრუქტურის დონეზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ბრუნების სისტემა არსებითი სახელებისათვის 7 ბრუნვისაგან შედგება: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. ამის გამო, გერმანული წინდებულიანი დამატებები მიცემითსა და ბრალდებითში, რომლებიც მიმართულებისა და ინსტრუმენტალისის აღსანიშნავად გამოიყენება, გადმოიცემა შესაბამისი ეკვივალენტური პირდაპირი და ორიბი, ასევე წინდებულიანი ობიექტების მემვეობით მიცემითში, ნათესაობითში, ინსტრუმენტალისა და ვითარებითში:

Dt.: „mit den Fingern“, Geo.: Instrumental „თითებით“;

Dt.: „auf den Tisch“, Geo.: Akkusativ+Postposition „მაგიდაზე“.



სურ. 7. განსხვავებები ენის სინთეზური სტრუქტურის დონეზე

გერმანულ წინადადებას სამი თავისებურება ახასაითებს:

1. ორწევრიანობა (ორი მთავარი წევრი: სუბიექტი და პრედიკატი);
2. ზმნური ბუნება (პრედიკატი, მათ შორის სახელადიც, რომელშიც ყოველთვის ზმნა არის ჩართული);
3. პრედიკატის მყარი ადგილი წინადადების ტიპის მიხედვით (თხრობითი წინადადება, კითხვითი წინადადება, ბრძანებითი წინადადება).

ამ წესთაგან არც ერთია სავალდებულო ქართულისათვის. ამიტომ ქართულში პრედიკატი შეიძლება არაზმნური საშუალებებით გამოიხატოს ან სხვა სტრუქტურა ჰქონდეს. ქართულში სწორ წინადადებებად ითვლება შემდეგი წინადადებები:

Geo. „ცხელა.“ – Dt. \* „heiß+ist“ statt „Es ist heiß.“

Geo. „ეს მაგიდაა“. – Dt. \* „Dies Tisch+ist“ statt „Das ist ein Tisch.“

სურ. 7-ზე პრედიკატი ქართულში სრულმნიშვნელობიანი ზმნით არის გამოხატული, გერმანულ წინადადებაში კი დამხმარე ზმნას + ზედსართავი სახელით.


Geo. „ავადმყოფობს“ – Dt. „krank ist“.

სურ. 8 უჩვენებს, რომ ზოგიერთი ქართული ზმნა გერმანულად გადმოიცემა არს. სახელ-ს+ზმნა:

Geo. „ერთიანდებიან“ – Dt. „Verbindungen eingehen“;


ასევე, პირიქით:

Geo. „აგიტაციას ეწევიან“ – Dt. „agitieren“.



სურ. 8. განსხვავებები პრედიკაციის დონეზე

კუთვნილებითი ნაცვალსახელი გერმანულში გამოხატავს კუთვნილებას, მიკუთვნებას და დაკავშირებულობას. ის არსებითი სახელის წინ დგას და მოუგებს შეკითხვაზე: „ვისი? რისი?“ ყოველ პირის ნაცვალსახელს შეესატყვისება კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც მის წინ მდგომ არსებითს ბრუნვაში, რიცხვსა და სქესში უთანხმდება. გარდა ამისა, ის იბრუნვის. ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელი ასევე იბრუნვის, მას აქვს შესატყვისი პირის ნაცვალსახელები, მაგრამ, არც პირის და არც კუთვნილებითი ნაცვალსახელები არ გამოხატავენ სქესის განსხვავებას მხოლობითი რიცხვის მესამე პირში. ამასთან, მოგვეპოვება ორი დამოუკიდებელი სიტყვა




სურ. 9. განსხვავებები პრედიკაციის დონეზე

მსგავსი სემანტიკით – „თავისი“, რომელიც წარმოებულია რეფლექსური ნაცვალსახელისაგან „თავი“ (თავის შერცხვენა – თავი შეირცხვინა/sich blamieren; თავის შენირვა – თავი შესწირა/sich opfern):

Geo.: „მისი“, „თავისი“ – Dt. „sein“, „ihr“, „sein“.

მაგრამ ნაცვალსახელი „მისი“ ორაზროვანია და მე-9 წინადადების მსგავს შემთხვევებში მიუ-თითებს არა მხოლოდ სუბიექტისადმი, არამედ ასევე მესამე ობიექტური პირისადმი კუთვნილებას. იმისათვის, რომ კუთვნილება მკაფიოდ სუბიექტის კუთვნილებას მიუთითებდეს, საჭიროა სხვა კუთვნილებითი ნაცვალსახელის, კერძოდ, „თავისი“ გამოყენება.




სურ. 10. განსხვავებები  
კუთვნილების გადმოცემის დონეზე

უარყოფა (Negation) გერმანულ წინადადებაში მრავალნაირი ლექსიკური საშუალებებით გადმოიცემა:

1. უარყოფითი ნაწილაკით „nicht“;
2. უარყოფითი არტიკულით „kein/keine/kein“;
3. განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით: „keiner/keine/keins“, „niemand“, „nichts“;
4. ზმნიზედებით: „nirgends“, „niemals“, „nie“, „nimmer“, „nirgendwo“;
5. კავშირით „weder...noch“;
6. უარყოფითი პრეფიქსებით: „un-“, „miss-“, „a-“, „il-“ და ა.შ.
7. წინადადების ეკვივალენტებით: „nein“, „doch“.

ქართულში უმეტეს შემთხვევაში ეკვივალენტები გვაქვს, მაგრამ, არც ორმაგი უარყოფაა გამორიცხული უარყოფის გასაძლიერებლად:


Geo. ‘არავინ არ’ – Dt. „niemand/keiner nicht“.



სურ. 11. განსხვავებები უარყოფის დონეზე

ზოგიერთ შემთხვევაში ჩვეული ფორმულირებები ორივე ენაში იმდენად განსხვავებულია, რომ ეკვივალენტური ლექსიკური საშუალებებით მათი გადმოცემა შეუძლებელია და მნიშვნელობის გადმოსაცემად სამიზნე ენაში სხვაგვარად უნდა იქნეს ფორმულირებული. ასეთი მაგალითია მოცემული სურ. 11-ზე:

მიუხედავად განსხვავებებისა მორფოლოგის, სინტაქსისა და სემანტიკის დონეზე, ბუნებრივი ენების დასამუშავებლად განკუთვნილი ხელსაწყოები Sympathy და Stockholm TreeAligner შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული გერმანულ-ქართული ენების წყვილისათვის ხეების ბანკის ასაგებად, თუმცა, ზოგადად ისეთი სტრუქტურის ენების დამუშავებისათვის, რომელსაც განეკუთვნება ქართული, ისინი არ მოიაზრებოდნენ.



სურ. 12. განსხვავებები პირობითი ენობრივი გამოხატვის ფონეზე

## 5. დასკვნა

წარმოდგენილი ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე შევისწავლეთ გამოცდილება, რომელიც დაგროვილია განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენებისათვის პარალელური ხეების ბანკის შექმნის პრაქტიკაში (Megyesi/Dahlqvist, 2007), (Megyesi et al., 2006), (Grimes 2011), (Rios et al., 2009). მაგალითისთვის, ორენოვან კეჩუა-ესპანურ პარალელური ხეების ბანკის შემთხვევაში, მონოლინგვური ხეების ბანკი კეჩუა ენისათვის, მისი მკაცრი აგლუტინაციური ხასიათის გამო, ანოტირებულ იქნა არა სიტყვების, არამედ მორფემათა დონეზე. ამან ავტორებს საშუალება მისცა მორფოლოგიური ინფორმაცია დაეკავშირებინა მის შესაბამის ამოსავალ ერთეულებთან. გარდა ამისა, ავტორების თანახმად, ფრაზის სტრუქტურის ხის აღწერა კეჩუა ენის წინადადებაზე დაყრდნობით არ ასახავს ამ ენის არსებით სტრუქტურულ მახასიათებლებს. ამდენად, მის აღსანერად უპირატესობა მიეცა „როლებისა და მახასიათებელთა გრამატიკის“ (Role and Reference Grammar) გამოყენებას, რომლის საშუალებით და კვანძების, პირველადი/მეორადი ფერდების გამოყენებით წარმოდგენილი იყო „როლებისა და მახასიათებელთა გრამატიკის“ სინტაქსის ყველაზე ნიშანდობლივი ასპექტები კეჩუა ენის წინადადებისათვის (Rios et al., 2009).

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ასევე აგლუტინაციური ენაა, არ არის აუცილებელი მისი ხეების ბანკის ანოტაციისათვის მორფემათა დონემდე დასვლა. ქართული ენის სინტაქსი საკმაოდ კარგად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი სინტაქსურ დამოკიდებულებებზე დაყრდნობით, თუმცა, ქართულ ენაში სინტაქსური ანოტაციისათვის ასევე აუცილებელია მარტივი წინადადების სპეციფიკური სტრუქტურის ზუსტი აღწერა, ვინაიდან ქართული მარტივი წინადადება წარმოადგენს სიტყვების სიმრავლეს, რომელიც ეფუძნება კოპულატიური ზმნისა და სახელთა რიგის შეთანხმებასა და მართვას (ჩიქობავა 1928).

სინტაქსური მიმართებების ტიპები ქართულ მარტივ წინადადებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდოგერმანულ და სხვა ენებში არსებულისაგან. ინგლისურ ენაში გვაქვს ზმნების მცირე რიცხვი, რომლებიც მართავენ არსებით სახელებს, დაკავშირებული არიან რა მათთან ირიბი აქტანტების სახით და მოითხოვენ, რომ ეს არსებითი სახელები ირიბ ბრუნვაში იდგნენ (e.-g. John believes him to be innocent).

ამას გარდა, ეს აქტანტები არ იწვევენ ცვლილებას ზმნურ ფორმაში. პირიქით, პოლივალენტურ ქართულ ზმნაში აქტანტები სპეციფიკური აფიქსებით ზმნაშივე არის მარკირებული. უმთავ-

რესი განსხვავება ინდოევროპული სინტაქსური მიმართებების მოდელების სტრუქტურისგან მდგომარეობს იმაში, რომ ქართულ მარტივ წინადადებაში არსებობს მართვის და შეთანხმების ურთიერთმიმართებები, ან ორმხრივი შეთანხმების ფენომენი ზმურ პრედიკატსა და სახელად აქტანტებს შორის, რომელთა რაოდენობა ნებისმიერ მარტივ წინადადებაში შეიძლება აღნევდეს სამს. ეს გულისხმობს ნომინალური ბრუნვის ფორმების კონტროლს ზმნის მეშვეობით, მაშინ როდესაც, ზმნები თავის მხრივ იმართება სახელის მიერ გრამატიკული პირის გათვალისწინებით.

ამდენად, არ. ჩიქობავას მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, ქართული ენის სინტაქსურ აღნერაში უმჯობესია, ნაცვლად სუბიექტისა და ობიექტის ცნებებისა, გამოვიყენოთ მაღალი და დაბალი შეთანხმების ცნებები. აქედან გამომდინარე, ირიბ ობიექტს, როგორც სუბიექტზე (უფრო დაბალ კოორდინატს) უფრო მაღალ კოორდინატს, გარკვეული სემატიკური ტიპის ზმურ ფორმებში უპირატესობა აქვს ზმურ ფორმებში მისი მარკირების თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, კეჩუა ენისაგან განსხვავებით, ქართული ენის სინტაქსი საკმაოდ კარგად შეიძლება აღინეროს დამოკიდებულებების მიმართებების მეშვეობით და არ არის საჭირო, გამოყენებულ იქნეს განსხვავებული მიდგომები ქართული ენის სტრუქტურული თავისებურებების გადმოსაცემად.

ერთი და მრავალენოვანი ხეების ბანკების მსგავსი ლინგვისტური რესურსების შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების, კვლევის და პრაქტიკული გამოყენებისათვის პროფესიულ ცხოვრებაში:

სწავლებაში შეიძლება მათი გამოყენება სადემონსტრაციო მასალის სახით, რადგან ეს სფერო უკვე წარმოუდგენელია თანამედროვე ეფექტური ვიზუალიზაციისა და თვალსაჩინოების მეთოდების გარეშე.

- კვლევით პროექტებში შესაძლებელია მათი ბაზისის სახით გამოყენება ენის ტექნოლოგიის სისტემებისათვის მათი შემდგომი სრულყოფისა და გავრცობის მიზნით.
- თარგმანისათვის ხეების ბანკებს სტატისტიკური ხასიათის „მთარგმნელ-მეხსიერებასთან“ (Translation Memory) შედარებით, საგრძნობი უპირატესობა აქვს, რადგან მასში ლინგვისტური ინტელექტის საკმაო ელემენტია ჩართული. ეს კი მნიშვნელოვნად ხარისხიან შედეგს განაპირობებს მანქანური თარგმანისათვის შესაბამისი ლინგვისტური რესურსების გამოყენების კუთხით. ამასთანავე, ამ გზით შესაძლებელია მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ სათარგმნი ტექსტების აგების, სტანდარტიზაციისა და ორაზროვნების აღმოფხვრის თვალსაზრისით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Austin J. L. (2005). How to do things with words. 2. rev. ed. Cambridge, Mass.: Harvard Univ. Press.
- Baker C. F., Fillmore, Ch. J., and Lowe, J. B. (1998): The Berkeley FrameNet project. In: Proceedings of the COLING-ACL, Montreal, Canada.
- Beesley K. R. and L. Karttunen. (2003). Finite State Morphology. CSLI Publications.
- Brants S. and S. Hansen (2002). Developments in the TIGER Annotation Scheme and their Realization in the Corpus. In *Proceedings of the Third Conference on Language Resources and Evaluation (LREC 2002)*, pp. 1643-1649, Las Palmas.
- ჩიქობავა, ა. (1928). მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი.
- Grimes S., Li, X., Bies A., Kulick S. Ma, X. and S. Strassel. (2011). Creating Arabic-English Parallel Word-Aligned Treebank Corpora at LDC. Proceedings of the Second Workshop on Annotation and Exploitation of Parallel Corpora. The 8<sup>th</sup> International Conference on Recent Advances in Natural Language Processing (RANLP 2011). Hissar, Bulgaria. 2011.
- Kapanadze O., Kapanadze N., Wanner L., and St. Klatt. (2002). Towards A Semantically Motivated Organization of A Valency Lexicon for Natural Language Processing: A GREG Proposal. Proceedings of the EURALEX conference, Copenhagen.

- Kapanadze O. (2010a). Verbal Valency in Multilingual Lexica. In: Workshop Abstracts of the 7<sup>th</sup> Language Resources and Evaluation Conference-LREC2010. Valletta, Malta.
- Kapanadze O. (2010b). Describing Georgian Morphology with a Finite-State System. In: A. Yli-Jura et al. (Eds.): Finite-State Methods and Natural Language Processing 2009, Lecture Notes in Artificial Intelligence, Volume 6062, pp.114-122, Springer-Verlag, Berlin Heidelberg.
- Kapanadze O. (2009). Finite State Morphology for the Low-Density Georgian Language. In: FSMNLP 2009 Pre-proceedings of the Eighth International Workshop on Finite-State Methods and Natural Language Processing. Pretoria, South Africa.
- Lutz L. (1981). Zum Thema "Thema: Einführung in die Thema-Rhema-Theorie. Hamburg: Hamburger Buchagentur.
- Megyesi B. and B. Dahlqvist. (2007). A Turkish-Swedish Parallel Corpus and Tools for its Creation. In: Proceedings of Nordiska Datalingvistdagarna (NoDaL- iDa 2007).
- Megyesi B., Hein A.S. and E. C. Johanson. (2006). Building a Swedish-Turkish Parallel Corpus. In: Proceedings of the Fifth International Conference on Language Resources and Evaluation (LREC 2006).
- Rios A., Göhring A. and M. Volk. (2009). Quechua-Spanish Parallel Treebank. In: 7th Conference on Treebanks and Linguistic Theories, Groningen, 2009.
- Samuelsson Y. and M. Volk. (2005). Presentation and Representation of Parallel Treebanks. In: Proceedings of the Treebank-Workshop at Nodalida, Joensuu, Finland.
- Samuelsson Y. and M. Volk. (2006). Phrase Alignment in Parallel Treebanks. In: Proceedings of 5th Workshop on Treebanks and Linguistic Theories, Prague, Czech Republic.
- Samuelsson Y. and M. Volk. (2007). Alignment Tools for Parallel Treebanks. In: GLDV Frühjahrstagung, Tübingen, Germany, 2007.
- Searle J. R. (2005). Speech acts: an essay in the philosophy of language. 27. pr. Cambridge [u.a.]: Cambridge Univ. Press.
- Skut W., Brants T., Krenn B and H. Uszkoreit (1998). A linguistically interpreted corpus of German newspaper text. In: *Proceedings of the Conference on Language Resources and Evaluation LREC-98* (pp. 705–711). Granada, Spain.
- Smith, G. (2003). *A Brief Introduction to the TIGER Treebank, Version 1*. Potsdam Universität.
- Synphaty: Syntax Editor – Manual – Nijmegen: Max Planck Institute for Psycholinguistics, 2006.

**OLEG KAPANADZE**

**NUNU KAPANADZE**

## **ABOUT A BILINGUAL GERMAN-GEORGIAN PARALLEL TREEBANK**

### **Summary**

Naturally-occurring texts in many languages are annotated for linguistic information. A *Treebank* is a *text corpus* in which each *sentence* has been *annotated* with *syntactic* structure. They have become valuable resources as repositories for linguistic research.

In this paper, we describe outcomes of an undertaking on building a parallel Treebank for a lesser-resourced Georgian language and German, one of the „major“ languages in the NLT world. The aim of the mentioned undertaking was, starting with simple sentences,

- to tag and lemmatize manually terminal nodes;
  - to produce syntactic parses for monolingual parallel German and Georgian texts;
  - to establish compatible tagsets for Georgian and, if necessary, to introduce the new syntactic phrasal categories.
- On the ground of the developed monolingual resources, the further objective of the experiment anticipated:
- producing the parallel trees from bilingual resources;
  - aligning the German-Georgian parallel trees;
  - determining “good” and “fuzzy” matches between the nonterminal nodes (resp. phrases) across the syntactic structures of the languages involved;

- making general conclusions concerning the development of the full-scale Treebank resources for the mentioned language pair.

Using the morphologically annotated bilingual corpus, both the German and the Georgian sentences were syntactically annotated manually. For this purpose, *the Sympathy* was used, which is a tool for syntactical annotation developed at Max Plank Institute for Psycholinguistics, Nijmegen, the Netherlands. The German Treebank annotation follows the TIGER annotation scheme. The Georgian Treebank was annotated according to the adapted version of the German TIGER guidelines with the necessary changes relevant to the Georgian grammar formal description. The output of the syntactic annotation is in the TIGER-XML format.

The alignment of monolingual German and monolingual Georgian Treebanks into a parallel Treebank was done with the help of *the Stockholm TreeAligner*, a tool for work with parallel treebanks which inserts alignments between pairs of syntax trees. The Stockholm TreeAligner handles the alignment of tree structures, in addition to word alignment, which – according to its developers – is unique.

The German-Georgian parallel Treebank can be used in translation studies, in *corpus linguistics* for studying syntactic phenomena, in *computational linguistics* as evaluation corpora for different NLT systems or for training and testing *parsers* and as a database for Translation Memory systems.

თარგმანი

ჯონ ბრილი  
John Breuilly

## ნაციონალიზმი და ნაციონალური ცარსულის შექმნა NATIONALISM AND THE MAKING OF NATIONAL PASTS

*ნივნიდან: Nations and their Histories. Constructions and Representations.*

*Ed. by Susana Carvalho and François Gemenne. Palgrave Macmillan, 2009, p. 7-28*

### ისტორიებიდან ისტორიამდე

დროის სხვადასხვა კონცეფციის განხილვისას, ჩარლზ ტაილორმა მიიჩნია, რომ ავგუსტინეს მიერ დროის ცნების „სეკულარული“ გაგება შეესაბამება მიწიერი ქალაქის იდეას, თუმცა გადაფარულია ზეციური ქალაქის უფრო მაღალი კონცეფციით. ტაილორი (2007, 56) წერს, რომ:

...წარსული და აწმყო შეკავშირდება მომავლისათვის. წარსული, რომელიც „ობიექტურად“ აღარ არსებობს, არის აქ, ჩემს აწმყოში; ის აყალიბებს ამ მომენტს, რომელშიც მე ვიქცევი მომავლად და რომელიც „ობიექტურად“ ჯერ არ დამდგარა, მაგრამ აქ არის როგორც მომავლის პროექტი.

ნაციონალური ისტორია წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავმოყრის ერთ-ერთი გზაა. მის გასააზრებლად თავდაპირველად უნდა აღვნეროთ იმ იდეის აღმოცენება, რომლის თანახმადაც „ისტორია“ იყო დროის თავმოყრის მთავარი და ერთადერთი ხერხი.

ძველ სამყაროში საისტორიო მწერლობის მთავარი გამართლება, უცხო და ეგზოტიკური ხალხების შესახებ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების გარდა, პრაგმატული და მორალური მომენტები იყო, ეს კი უნდა მიღწეულიყო დიადი გმირობებისა და ადამიანების ხსოვნის უკვდავყოფით. თუკიდიდეს აშკარად პრაგმატული მიზანი ჰქონდა. მისი ნარატული ისტორია, მოიცავს რა გადამწყვეტ მომენტებში წამყვანი ფიგურების გამოსვლების რეკონსტურქციას, აღწერს ლოგიკას, რომლითაც გონიერ, მაგრამ მგზნებარე ადამიანებს მოსდით კონფლიქტი და გაუცნობიერებლად იწვევენ კატასტროფას ან ტრიუმფს. ეს გაკვეთილია შთამომავლობისთვის:

რაც მოხდა წარსულში, შეიძლება, ადრე თუ გვიან, უმეტესად იმავე სახით, მომავალში განმეორდეს. ჩემი ნაშრომი არ ემსახურება ახლანდელი საზოგადოების გემოვნების დაკმაყოფილებას, არამედ შექმნილია, რათა სამუდამოდ იარსებოს.

თუკიდიდე ინტელექტუალური წინაპარია მაკიაველისა, რომელიც წერდა რომაელ ისტორიკოს ლივიუსზე და რომელმაც შექმნა მთავარი (რეალისტური გზამკვლევი მმართველებისათვის); ჰობისა, რომელმაც ინგლისურად თარგმნა თუკიდიდე; დღევანდელი „რეალისტი“ სტუდენტებისა, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებს სწავლობენ.

ამის საპირისპიროდ, რომაელი ისტორიკოსები, განსაკუთრებით ლივიუსი, წერდნენ თავიანთი ქალაქის, ადამიანის ისტორიაში უდიდესი იმპერიის შემქმნელისა და ცენტრის, ხანგრძლივ ისტორიას, აღწერდნენ ძლიერებასა და დაცემას, ღირსებასა და ხრწნას. ამგვარი ისტორია წარმოაჩენდა დამოკიდებულებას მორალურ და მატერიალურ მიღწევებს შორის. ის აჩვენებდა ციკლურ ტენდენციას, სადაც წარმატება განაპირობებდა კეთილდღეობას, ამ უკანასკნელს კი მოსდევდა დაქვეითება და დაცემა, უფრო ენერგიული და მარტივი სახელმწიფოს სახით.

ებრაელების მიერ საკუთარი ისტორიის წარმოჩენა, როგორც დვთის რჩეული ხალხის ისტორიისა, ასევე ემყარებოდა ღირსებასა და ნაკლის, აგრეთვე მათი წინააღმდეგობრივი შედეგების, გააზრებას, მაგრამ აქ ისტორია წარმოდგენილი იყო არა როგორც ძლიერი ან სუსტი ქმედების (იღბლისა და ღმერთების მცირე ჩარევით) შედეგი, არამედ როგორც ერთი ჭეშმარიტი ღმერთის ჯილდო ან სასჯელი, რომელთანაც ებრაელ ხალხს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. ბერძნულმა და რომაულმა პოლიტიზმმა შექმნა ისტორიის მრავალი განსხვავებულ ხედვა; ებრაულმა მონოთეიზმა კი – წინაპირობა უნივერსალური ისტორიისათვის, რომელიც, ამავე დროს, მცირე საზოგადოებაზე იყო ფოკუსირებული. ამ ისტორიაში თავისი ადგილი ჰქონდათ: ასურელებს, სპარსელებს, ბაბილონელებს, რომელებსა და სხვებს, როგორც რჩეულ ხალხზე მოვლენილი დვთის რისხვის იარაღებს.

ქრისტიანობაში ისტორიის წანამძღვარი მკაფიოდ უნივერსალიზებული იყო, ვინაიდან ერთი ჭეშმარიტი ღმერთი გადაიქცა ყველა ხალხის ღმერთად. მაგრამ უნივერსალური ისტორიის შესაძლებლობა გაჩენისთანავე დაექვემდებარა რელიგიურ მსოფლმხედველობას. კაცობრიობის ისტორიის ეპოქები ამ მსოფლმხედველობიდან აღმოცენდა: ქრისტეს შობამდე და ქრისტეს შობის შემდგომ (თუმცა, ასევე დანახული, როგორც იმპერიების თანმიმდევრობა), შემდეგ კი – მომავალი, როცა ისტორია დასრულდებოდა მეორედ მოსვლით. აპოკალიფსმა და რწმენამ ჩამოაყალიბა ისტორიული ცოდნა. ისტორიის პრაგმატული და მორალური მიზნები შეიზღუდა – როგორც ავგუსტინებს ნააზრევში მიწიერი ქალაქის შესახებ, მაგრამ აქცენტი შეზღუდვებზე კეთდებოდა.

იდეები, თუ როგორ უნდა შეეკავშირებულიყო დრო, თავდაპირველად შეთვისებული იყო არა ისტორიიდან, არამედ სხვა წყაროებიდან, უპირველესად – რელიგიისა და ფილოსოფიიდან. თუმცა კონკრეტული საზოგადოებებისთვის, განსაკუთრებით კი მათი წერა-კითხვის არმცოდნე წევრებისთვის, თაობიდან თაობისათვის ამბების გადაცემა, აღბათ, კოლექტიური მეხსიერებისა და იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა იყო.

ნაციონალურმა ისტორიამ მნიშვნელობა შეიძინა, როგორც დროის შეკავშირების გზამ, რაც თან ახლდა მორალისა და პრაგმატულობის, წარსულის რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების ჩანაცვლებას და კოლექტიური მეხსიერების დაკინებას. მათ წაცვლად განვითარდა ხაზოვანი და სეკულარული ისტორიის იდეა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ელემენტების შემჩნევა მე-17-18 საუკუნეებშიც შეიძლება, წარსულის ამგვარი კონცეფცია მნიშვნელოვანი გახდა 1750-1850 წლებში, რომელსაც რეინჰარტ კონტელეკი (Reinhart Kosellek) „ღერძული ეპოქა“ უწოდა.

კოზელეკი ყურადღებას ამახვილებს იმ იდეის გავრცელებაზე, რომ მომავალი არ იქნება წარსულისა და ანტყოს მსგავსი. ეს აისახება პროგრესის იდეაში, რომელიც ძირს უთხრის ხედვებს კაცობრიობის ისტორიის ციკლურობისა და მუდმივობის შესახებ. როცა მომავალი წარმოდგენილია როგორც რადიკალურად ახალი რამ, ეს ცვლის წარსულის ხედვას. იგი ვეღარ ასრულებს პრაგმატული და მორალური გზამკვლევის ფუნქციას. წარსულიდან გადმოცემულ ამბებზე დაფუძნებულ კოლექტიურ მეხსიერებას ნაკლები კავშირი აქვს ანტყო რეალობასთან. ქალაქში ახალჩამოსული იმიგრანტი შეიძლება ჩაებლაუჭიოს ამგვარ ამბებს ნუგეშისა და სიმხნევის მოსაპოვებლად, მაგრამ ახალ სამყაროში გზის გასაკვალად მათი მნიშვნელობა უნდა შეიცვალოს.

წარსულს მნიშვნელობა არ დაუკარგავს, არამედ მისი მნიშვნელობა შეიცვალა. კაცობრიობის განვითარება აღქმული იყო, როგორც განსაზღვრული, აღმავალი ხაზი, რომელიც რაღაც ეტაპებს გადიოდა. სხვადასხვა საზოგადოება სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებოდა. შესაძლებელია უნივერსალური/საკაცობრიო ისტორიის წარმოდგენა როგორც მიმართულების მქონე მთლიანობისა. ისტორიკოსის მოვალეობა, გამოააშკარაოს ძალები, რომლებიც უბიძგებს პროგრესულ ცვლილებას. აღნიშნულმა ხედვამ ასევე გავლენა იქონია წარმოდგენაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედო მომავალთან მიმართებაში, მაგალითად, ეცადონ დააჩქარო ან შეანელო ცვლილება. ამგვარმა ხედვამ წარმოშვა ფრაზები „ისტორიის შექმნა“, ან „ისტორიის სამსახური“ (როგორც ბებიაქალი ემსახურება დაბადებას), მათი დაგმობა, „ვინც ისტორიას გადაეღობა“ და, შესაბამისად, ვისაც „ისტორიის სანაგვეზე“ მოისვრიან.

თუმცა უნივერსალურ ისტორიასაც, რომელსაც ჰქონდა დასასრული და რომელიც წარმოადგენდა პროგრესს გონის ეპოქისაკენ, ასევე ჰყავდა მონინააღმდეგები. ერთ-ერთმა მათგანმა, ნაციონალური ისტორიის მიდგომამ, შეინარჩუნა წარსულისა და ისტორიის ეს ახალი კონცეფცია, მაგრამ სხვა მიმართულება მისცა მას.

## ნაციონალური ისტორიის ინტელექტუალური საფუძვლები

განმანათლებლობის ისტორია ოპერირებდა პროგრესის ცნებით, სადაც ადამიანის გონისა და თავისუფლებამ მიაღწია მუდმივად მზარდ გავლენას. ეს წარმოდგენილი იყო, როგორც „საზოგადოების“ ან „სამოქალაქო საზოგადოების“ ისტორია, რომელსაც ხშირად მიესადაგებოდა ტერმინი „ერი/(ნაცია)“. მაშინ ის მოიცავდა მხოლოდ თანამედროვე ელიტას; ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი ხალხის უმრავლესობის განათლებამდე. 1750-1850 წლებში, პოლიტიკური გადატრიალების, ომისა და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პარალელურად და მის შემდეგ, პროგრესის იდეა გადამუშავდა, დიფერენცირდა და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ის ასევე ასოცირდებოდა სოციალურ კონფლიქტთან (მაგალითად, კლასებს შორის), პოლიტიკურ აქტორებსა (რევოლუციონერები, რეაქციონერები) და მექანიზმებთან (რევოლუცია, რეფორმა). იდეამ ისტორიის შესახებ, რომელიც წარსულის კონკრეტული საქმეების შესახებ ჩანაწერს კი არ წარმოადგენს, არამედ არის ძალა, რომელიც ადამიანის მეშვეობით მოქმედებს, სრული გამოხატულება ჰეგელთან პოვა.

განმანათლებლებთან და ჰეგელთან ისტორიის პროგრესულ სვლაში არსებობდა წამყვანი ელემენტი. ეს შეიძლება ყოფილიყო ცივილიზაცია (ევროპული ქრისტიანული სამყარო), სახელმწიფო (საფრანგეთი, ბრიტანეთი), სოციალური ჯგუფი (ბურჟუაზია, მუშათა კლასი) ან „მსოფლიო-ისტორიული“ ინდივიდი (ნაპოლეონი). ისტორიის ასეთი კონცეფცია მისაღები იყო, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი წამყვანი ელემენტი. ამ შეხედულებით, სხვათა ბედი იყო ქცეულიყვნენ ისეთებად, როგორებიც თავად იყვნენ, მას შემდეგ, რაც დაექვემდებარებოდნენ მათ პროგრესულ და ცივილიზაციის მომტან ძალაუფლებას. ინტელექტუალებს, რომლებიც თავს დაქვემდებარებულთა წარმომადგენლებად თვლიდნენ, არაერთგაროვანი რეაქცია ჰქონდათ ამ ხედვაზე.

პირველ რიგში, ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ ისტორიულ პროცესში მათი ერის უფრო მნიშვნელოვან როლზე. ისინი არ ეძებდნენ ეროვნული განსხვავების საიდუმლოს „გარეგან“ ძალებში, როგორებიცაა კლიმატი ან ინსტიტუტები; თვლიდნენ, რომ „ეროვნული ხასიათი“ „შიგნიდან“ ყალიბდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეროვნული ხასიათი აიხსნებოდა კულტურით, ენით, ჩვეულებებით, საერთო წარმომავლობითა და რასით. შინაგანი უნიკალურობის იდეას მოსდევდა პროგრესის უნივერსალისტური იდეის უარყოფა, რომელიც გულისხმობდა უფრო დაწინაურებული ერის გზის მიბაძვას. ეს გადაჯაჭვული იყო ემოციის, იდენტობის, განსაკუთრებულობისა და მრავალფეროვნების ხაზგასმასთან, განმანათლებლების მშრალი ხედვის საპირისპიროდ, რომელიც ემყარებოდა წარმოდგენას გონიერებას, ადამიანის უნივერსალურ ბუნებასა და ერთიან მომავალზე. ეს ალტერნატიული შეხედულება ეფუძნებოდა მითებსა და მეხსიერებას, ან მათ კონსტიტუირებას, კულტურული სტერეოტიპების შემუშავებას და მტკიცებას, რომ „ისტორია“ არ არის გონიერებული ექსტრა-ისტორიული ძალის ობიექტი, რომლის აღმოჩენაზე პრეტენზიასაც განმანათლებელი მწერლები აცხადებდნენ. ამასთანავე, ამ ინტელექტუალებს უნდოდათ პროგრესის ნაყოფის მიღებაც, პრაგმატული თვალსაზრისით – ძალაუფლების მისაღებად, რომელიც მას უნდა მოჰყოლოდა, აგრეთვე იმიტომაც, რომ ბევრი მიღწევა თავისთავად მიმზიდველი ჩანდა.

ამან საფუძველი ჩაუყარა წარსულის „ნაციონალურ მითვისებას“, რამაც მიიღო არა მარტო წარსული მოვლენების აღწერის, არამედ ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის, სამართლისა და ინსტიტუტებისადმი ისტორიული მიდგომის სახე. უნივერსალური ისტორია ეროვნულმა ისტორიამ ჩაანაცვლა. ეს სამუშაო ინტელექტუალური გულწრფელობით სრულდე-

ბოდა, თუმცა გადაჯაჭვული იყო ნაციონალურ პროექტებთან, ზოგჯერ შემოიფარგლებოდა კულტურული განახლებით ან გამოღვიძებით, მაგრამ უფრო მეტად ისწრაფოდა პოლიტიკური ავტონომიის ან დამოუკიდებლობის მიღებისაკენ. აյ მინდა შემოგთავაზოთ წარსულის „ნაციონალური მითვისების“ ორგანიზების გზები, განსაკუთრებით ნაციონალიზმის პოლიტიკურ ასპექტთან მიმართებაში.

## ნაციონალური ისტორია ერ-სახელმწიფომდე

ვიწყებ აშკარა პარადოქსით. ერი – ისტორიული კატეგორია, რომელსაც ნაციონალისტები უპირისპირებენ უნივერსალურ, აისტორიულ რაციონალიზმს. თუმცა, ნაციონალიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი ადრეული ფორმები (თუ ამაში ვიგულისხმებთ ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას ჯვეფის სახელით, რომელსაც „ერი“ ეწოდება) აღმოცენდა უნივერსალური ფორმით, ეროვნულ ისტორიაზე აპელირების გარეშე. დოილი (Doyle) ხაზს უსვამს პეინის (Paine) ნაშრომების გავლენას და მის არგუმენტს, რომ ამერიკელებმა უნივერსალურ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ერი ჩამოაყალიბეს, რომელსაც დანარჩენი კაცობრიობისთვის შუქურის როლი უნდა შეესრულებინა. გილდეას (Gilead) თანახმად, ანალოგიური არგუმენტი შეიძლება ვიპოვოთ იაკობინურ ნაციონალიზმი, აგრეთვე, ბრეიდინგის (Brading) აზრით, ამერიკაში ესპანური მმართველობის წინააღმდეგ მიმართულ ადრეულ აჯანყებებში.

თუმცა, საჭიროა ზოგი რამ დავაზუსტოთ. თითოეული ამ მოძრაობის წარმოდგენით, წარსულში მათ ერებს თავს მოახვიეს ძველი რეჟიმები. ბრეიდინგი იხსენიებს (ეხება) 1821 წლის მექ-სიკური დამოუკიდებლობის აქტში გაცხადებულ მტკიცებას აცტეკების ერის სამასწლიანი ისტორის შესახებ. ზოგიერთი ფრანგი რადიკალის აზრით, გალები წარმოადგენდნენ მესამე წოდებას, რომლებიც ფრანკთა მმართველობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. თუმცა, იმ დროს ასეთი იდეები მარგინალური იყო, ჩრდილოეთ ამერიკაში კი საერთოდ არ არსებობდა. ამის ნაცვლად, იქაური ისტორია ეფუძნებოდა კონტრასტებს: – დაცემასა და ღირსებას, ასაკსა და ახალგაზრდობას, პრივილეგიებას და თანასწორობას შორის.

არსებობდა ეთნიკური და რასობრივი განსხვავებები: ამერიკაში – მკვიდრ ამერიკელებსა და შავკანიან მონებს, სამხრეთ და დასავლეთ საფრანგულენვანებს შორის. დამოუკიდებლობის მოძრაობები არ აღიარებდნენ მე-18 საუკუნეში მოდურ „სამოქალაქო რესპუბლიკის“ თემებს და ამტკიცებდნენ, რომ კომერცია, მომხმარებლობა და სახელმწიფოსგან თავისუფლების იდეა არბილებდა და ასუსტებდა იმ მოქალაქეთა ღირსებას, რომელთაც საჯარო ცხოვრებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო კუთხითაც და ძალისხმევა არ დაეშურებინათ სახელმწიფოში თავისუფლების მისაღწევად. ამ არგუმენტებს შეეძლო ეპითეტების შექმნა, როგორებიცაა: „არისტოკრატი“, „მოღალატე“ და „კონტრარევოლუციონერი“, „პატრიოტისა“ და „მოქალაქეს“ საპირისპიროდ. ეს ეპითეტები იქცეოდნენ სტერეოტიპებად ფიზიკური (ეთნიკური?) მახასიათებლებით, როგორიცაა: ჩაცმულობა, მანერები, მეტყველება და გარეგნობაც კი, რაც მასობრივი ძალადობის გასამართლებად გამოიყენებოდა.

ევროპაში ოპოზიციური მოძრაობები თავიდანვე იყვნენ ჩართული განსხვავებული ეროვნული წარსულის კონსტრუირებაში. საისტორიო მწერლობას თან ახლდა ეროვნული ფოლკლორისა და ფოლკლორული სიმღერების შეგროვება, ეროვნული ეპოსების „აღმოჩენა“, ეროვნული ენების გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენა. ამის მაგალითია ბერძნებისა და თურქების შემთხვევები, რომლებიც გაანალიზებულია ოზკირიმლისა (Özkirimli) და სოფოსის (Sofos) მიერ. მმართველ დინასტიასთან დაკავშირებულ ოფიციალურ საისტორიო თხზულებებს აღტერნატივები გაუჩნდა. კლასიკური ბერძნული მოდელები უპირისპირდებოდა ბერძნულ ორთოდიქსულს; თურქული ღირებულებები – ოტომანიზმს; სლავური სათნოება – ჰაბსბურგთა გერმანულ დინასტიას (Germanic Habsburg). ოტომანების, ჰაბსბურგთა გერმანულ დინასტიას იმპერიები იმავე როლს ასრულებდნენ ახალი, ნაციონალური პროექტების წინააღმდეგ, რასაც დაქვეითებული, „შველი“ ბრიტანული, ფრანგული და ესპანური ძალაუფლება მეთვრამეტე საუკუნის რევოლუციური მოძრაობებისთვის. გა-

ლი (Gal) აჩვენებს, როგორ ცვლიან სიონისტები მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის და-საწყისში ებრაელთა ტანჯვისა და ღვთის წყალობის იმედის თემას ჰეროიზმისა და წინააღმდეგობის თემით (სამსონი, მაკელა აჯანყება, მასადა). შეიძლება სხვა მაგალითების დასახელება – ბერძნების, მე-20 საუკუნის დასაწყისის სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდა ნაციონალისტების. კოლონიური რეჟიმისადმი წინააღმდეგობის ფაქტების ძიება დამახასიათებელი იყო აზიისა და აფ-რიკის სხვა ნაციონალურ ისტორიოგრაფიებისთვისაც.

წინააღმდეგობისა და დამოუკიდებლობისადმი ასეთივე დამოკიდებულება შეინიშნება მე-19 საუკუნის ევროპის ოპოზიციურ ნაციონალურ ისტორიოგრაფიაში. პალაცკისა (Palacky) და სხვა ჩეხი ნაციონალისტებისათვის ყურადღების ცენტრში ჰუსისტების მოძრაობა იდგა. ლიტველი ნა-ციონალისტი ისტორიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ ლუბლინის უნიამდელ (1569) დამოუ-კიდებლობაზე შუა საუკუნეებში. პოლონელი ისტორიკოსებისათვის შეიძლება ამოსავალი ყოფი-ლიყო ბრძოლა პოლონეთის საბოლოო დაყოფის წინააღმდეგ მე-18 საუკუნის ბოლოს, მაგრამ ისი-ნიც შუა საუკუნეების მონარქიებში ეძებდნენ საწყისებს. რუმინელი ისტორიკოსები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ – წინარმატულ ან რომაულ ხანაში, სლავების თავდასხმებამდელ პერიოდამდე.

ნაციონალური ისტორიოგრაფიის ეს ფაზა არ იყო მყარად ინსტიტუციონალიზებული. ეს იყო ინტელექტუალების პატარა ქსელის ნაშრომები, რომელთა ნანილი გადასახლებაში მოღვაწეობდა, ნანილს კი წინააღმდეგობის პირობებში უხდებოდა საქმიანობა. გადასახლებულებს ჰქონდათ ერთმანეთთან კავშირი, ხშირად ისინი ერთსა და იმავე იმპერიული რეჟიმს უპირისპირდებოდნენ, რაც მათ საქმიანობას ტრანსნაციონალურ ხასიათს ანიჭებდა. ისინი, ისევე როგორც ყველა დევ-ნილი ფანატიკოსი, თანმიმდევრული და ძალზე ინდივიდუალური ფიგურები იყვნენ. ამ ადრეულ პერიოდში არ არსებობდა მყარი წარმოდგენა იმაზე, თუ რა იყო ნაციონალური, თავისი წარსული-თურთ, და როგორ უნდა გაგებულიყო ის.

ოპოზიციური ნაციონალისტი ისტორიკოსები, ინტელექტუალური მუშაობიდან პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლისას, მათ ხელთ არსებული მასალისა და მათ წინაშე მდგარი პრობლემების გათვალისწინებით, ნერის სხვადასხვა სტილს იყენებდნენ. ბერძენი, პოლონელი, გერმანელი, უნ-გრელ და იტალიელ ნაციონალისტ ისტორიკოსებს შეეძლოთ დაყრდნობოდნენ მაღალ კულტურას (ბოლოს და ბოლოს, სალიტერატურო ენას), რომელიც დაკავშირებული იყო ისეთ ინსტიტუტებთან, როგორიცაა: პრივილეგირებული ეკლესია, ადგილობრივი (თუ არა სახელმწიფო) ხელისუფ-ლება, წარმომადგენლობითი ორგანოები. ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა „ისტორიული“ ერის ცნება; ის უნდა გათავისუფლებულიყო რეაქციული დინასტიისაგან, რომელიც ხშირად უფრო „პრიმიტიული“ ერების მიერ იმართებოდა. ამგვარი სტილი ახლოს იყო „ცივილიზებულ“ და „პროგრესულ“ ნაციონალურ დისკურსთან, რომელიც გაბატონებული იყო ბრიტანეთსა და საფ-რანგეთში და აშკარა სიმპათიით სარგებლობდა ამ ქვეყნებში.

განსხვავებულ მდგომარეობაში იყვნენ ის ისტორიკოსები, რომელთა ერები მოკლებული იყ-ვნენ სალიტერატურო ენას ან მნიშვნელოვანი ინსტიტუტების კონტროლოს შესაძლებლობას. ზოგჯერ ეს ისტორიკოსები საფუძვლიანად ამტკიცებდნენ, რომ ეს ყველაფერი არსებობდა წარ-სულში, მაგალითად, ჩეხებისათვის – შუა საუკუნეების ბოჰემიაში. ხანდახან ისინი ემყარებოდნენ დაქვემდებარებულ ინსტიტუტებს, მაგალითად, რუმინელი ნაციონალისტები – მართლმადიდებ-ლურ ან უნიატურ ეკლესიებს. სადაც არც ეს არსებობდა, ნაციონალისტები მიმართავდნენ ენას, ფოლკლორსა და ფოლკლორულ ჩვეულებებს, როგორც ლიტვური და თურქული (განსხვავებით ოტომანთა) ნაციონალიზმის შემთხვევაში. მე-20 საუკუნეში, ანტიკოლონიური ნაციონალიზმის ზრდასთან ერთად, ოპოზიციური მოძრაობები ეყრდნობოდნენ ყველა ამ თემას, თუმცა, ამასთა-ნავე, მათ ხელახლა შემოიტანეს „სამოქალაქო“ საკითხი, ევროპული იმპერიული ძალების კრახის უკეთ წარმოსაჩენად, საკუთარი იდეალების ხორცხშესასხმელად და ტერიტორული პოლიტიკური ერთეულის დამოუკიდებლობაზე ყურადღების გასამახვილებლად.

ისტორიაზე გავლენა მოახდინა პოლიტიკური მოძრაობების სახემაც. ეს იყო უმთავრესი გან-სხვავება ნაციონალიზმისკენ შემობრუნებულ იმპერიულ ელიტასა (თურქები ოტომანთა იმპერია-

ში, გერმანელები ჰაბსბურგთა იმპერიაში) და ნაციონალისტებს შორის, რომლებიც გამოხატავდნენ ძირითადად გლეხობის ინტერესებს, რომლებიც ეთნიკურად განსხვავებულ მმართველი კლასს უპირისპირდებოდნენ (რუმინელები ტრანსილვანიაში, რუსები ან უკრაინელები პოლონურ გალიციაში). ელიტის წარმომადგენელი ნაციონალისტებისათვის ძნელი იყო სოციალური პროგრამების მიღება, მაგალითად გლეხთა გათავისუფლების, მაშინ როცა, კლასობრივ-ეთნიკური მოძრაობები ხშირად სწორედ ამგვარი პროგრამების გარშემო მობილიზდებოდნენ (მაგალითად იხ. Kai Struve, 2001, გვ. 347–371). ბუნებრივია, ყოველივე ამან გავლენა მოახდინა წარსულის წაკითხვაზე, იმაზე, თუ რომელი პერიოდები და სოციალური ჯგუფები იყო აქცენტირებული.

შევაჯამოთ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები. დაახლოებით 1800 წლისათვის მოხდა ინტელექტუალური რევოლუცია, რომელმაც ისტორია დაინახა როგორც ერთიანი ძალა საკუთარი ლოგიკით და არა წარსული მოვლენების აღწერა.

ამ ისტორიის ბუნების წვდომა ადამიანის მდგომარეობის გაგების უკეთეს საშუალებას იძლეოდა, ვიდრე ფილოსოფია და რელიგია. ისტორიამ დაიწყო მეხსიერების ჯგუფური გადაცემის, როგორც კოლექტური იდენტობის ძირითადი წყაროს, ჩანაცვლება. ამგვარი იდეები აიტაცეს წაციონალისტმა ინტელექტუალებმა. მაგრამ ის, თუ როგორ გამოიხატებოდა ეს იდეები, დამოკიდებული იყო კონკრეტული ისტორიული მოთხოვნების საფუძვლიანობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა პოლიტიკურ წინააღმდეგობებს აწყდებოდა მოძრაობები, რომელთაც ინტელექტუალები აყალიბებდნენ. ოპოზიციურ პერიოდში ამან განაპირობა მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიოგრაფიების შექმნა, რომლებიც ჯერ არ იყო ინსტიტუციონალიზებული და, შესაბამისად, არც წარსულის ორთოდოქსული ხედვა არსებობდა.

## ნაციონალური ისტორია ახალ ერ-სახელმწიფოში

ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება არასწორხაზოვანი და ხანგრძლივი იყო. ბრიტანეთი და საფრანგეთი 1800 წლისათვის უკვე დიდი ხანია ერი-სახელმწიფოები იყვნენ, თუმცა, ფრანგი რევოლუციონერები ამას უარყოფდნენ და საკუთარ თავს ერისა და სახელმწიფოს შემაკავშირებლად და გამაერთიანებლად აღიქვამდნენ. პირველი „ახალი“ ერი-სახელმწიფოები ევროპის გარეთ ჩამოყალიბდა, ბრიტანულ და ესპანურ იმპერიულ მმართველობასთან თეთრი ამერიკელების დაპირისპირებით. ევროპაში, ნაპოლეონის მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგი ნაციონალურ სახელებს ან მწიშვნელობებს ატარებდა (იტალიის სამეფო, ვარშავის დიდი საპერცოგო, ილირიის პროვინციები). თუმცა, ნაციონალურ ბრძოლასთან ასოცირებული პირველი ერი-სახელმწიფოები 1820-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა (ბელგია და საბერძნეთი). გერმანული და იტალიური სახელმწიფოების გაერთიანებამ 1859-1871 წლებში რადიკალურად შეცვალა ცენტრალური ევროპის რუკა და წაახალისა სხვა ნაციონალური პროექტები. ბალკანეთის ქრისტიან მოსახლეობაზე ოტომანთა იმპერიის კონტროლის თანდათანობითმა შესუსტებამ წარმოშვა რამდენიმე ერი-სახელმწიფო: სერბია, რუმინეთი, ბულგარეთი. ამერიკის კონტინენტზე სამოქალაქო და სახელმწიფო-თაშორისმა ამებმა სახელმწიფოებს ახალი ან რეფორმირებული, აშკარა ნაციონალური სახე მისცა, ისევე როგორც იაპონიაში მეიჯის აღდგენამ. ოტომანების, რომანოვების, ჰაბსბურგთა და გერმანული იმპერიების უცაბედმა და სრულმა დაშლამ 1918-1920 წლებში დასაბამი მისცა ახალი ერი-სახელმწიფოების შექმნას, რამაც ლეგიტიმური სახე მიიღო ვუდრონ უილსონის ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის წყალობით. ამან წარმოშვა ნაციონალური მოლოდინები გამარჯვებულ ქვეყნებში ევროპაში, აზიაშა და ახლო აღმოსავლეთში (მანელა (Manela), 2007). თუმცა, ამ იმპერიების სრული ნგრევა მხოლოდ 1945 წლის შემდეგ დაიწყო, რამაც პიქს 1960-იან და 70-იან წლებში მიაღწია. უკანასკნელ წლებში, ცენტრალურ ევროპაში საბჭოთა კომუნიზმის ნგრევის შემდეგ, ევროპას ერი-სახელმწიფოების ფორმირების ახალმა (საბოლოო?) ტალღამ გადაუარა.

ერი-სახელმწიფოების ფორმირების დაახლოებით ორასწლოვან პროცესს ახლდა უზღვავი რაოდენობის ნაციონალური ისტორიები, რომლებიც ცდილობდნენ, აეხსნათ და ლეგიტიმურობა მიენიჭებინათ მიღწევებისთვის. თუმცა, ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე „ერთი

ახალი ერი-სახელმწიფო – ერთი ახალი ნაციონალური ისტორია“. ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების ერთმა ტალღამ ბიძგი მისცა ახალ ნაციონალურ პრეტენზიებსა და წარსულის კონსტრუირებას; ერთმა მიღწეულმა ნაციონალურმა მიზანმა ხელი შეუწყო ოპოზიციური ნაციონალიზმების წარმოშობას, წარსულის საკუთარი ვერსიებით. უფრო მეტიც, შეიცვალა ინტელექტუალური სტილი და მიდგომები, ისევე როგორც ისტორიის წერის ინსტიტუციური კონტექსტი და ტექნიკა.

ნაციონალისტი ინტელექტუალები, ისტორიკოსების ჩათვლით, ხშირად მთავარ როლს თამაშობდნენ ერი-სახელმწიფოს ფორმირების პოლიტიკაში, არა მარტო როგორც პუბლიცისტები და იდეოლოგები, არამედ როგორც პრაქტიკოსი პოლიტიკოსები. ჩვეულებრივ, წარმატებით თავბრუდახვეულნი, ისინი ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ისტორიის დასასრულად ხედავდნენ, რომელიც თავად ერმა მოიტანა. იაკობ ბურკჰარდტმა (Jakob Burkhardt) მწუხარებით ინინასწარმეტყველა, რომ გერმანიის ისტორია ამიერიდან წარმოდგენილი იქნებოდა როგორც 1871 წლამდე მიმავალი გზა. ამ წინასწარმეტყველების განზოგადება ყველა ახალ ერ-სახელმწიფოზე შეიძლება. სხვების თვალთახედვით, ახალი ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბება მხოლოდ პირველი წაბიჯი იყო ერის ფორმირების რთულ გზაზე, რასაც მოჰყვებოდა არა მხოლოდ იტალიის, არამედ იტალიელების შექმნა, როგორც მასიმო დ'აზეგელიო (Massimo D'azeglio) შენიშნავდა. ერის მშენებლობის ერთ-ერთი სახე იყო ნაციონალური წარსულის საჭირო გაების კონსტრუირება და ერისთვის მისი მოწონება. სახელმწიფოს რესურსები, რომლებიც საკმაოდ აღემატებოდა ოპოზიციური ნაციონალიზმის რესურსებს, ამის საშუალებას იძლეოდა.

ახლა უკვე შესაძლებელი იყო ნაციონალური ისტორიის აკადემიური დამუშავების ხელშეწყობა, როგორც ეს ხდებოდა ბერლინისა და ათენის უნივერსიტეტებში, რომლებიც გახდნენ წამყვანი ნაციონალური ისტორიის ხედვის დამკვიდრებაში. ოზკირიმლიმ და სოფოსმა აჩვენეს, როგორ შეურწყა ერთმანეთს პაპარიგოპოლუსმა (Paparrigopoulos) (ათენი) თავის ისტორიაში ელინური და ბერძნულ-მართლმადიდებლური ელემენტები. მისმა ბერლინელმა კოლეგებმა – სიბელმა (Sybel) და ტრიჩემ (Treitschke) კი ერთმანეთთან დააკავშირეს პრუსიული სახელმწიფოსა და გერმანული ნაციონალური სულის ისტორია. ბერგერმა (Berger) შეისწავლა ევროპაში ნაციონალური „მასტერ ნარატივების“ შექმნის მცდელობები, ამ გზაზე არსებული პრობლემები და მათი დაძლევისათვის მოძებნილი გზები. ველინგმა (Welling) აჩვენა, რომ მტკიცება, თითქოს ავსტრალია მხოლოდ თეთრების მიერ მისი აღმოჩენის შემდეგ „ჩაერთო“ მსოფლიო ისტორიაში, საფუძვლად დაედო მასტერ ნარატივს, რომელიც ამ პროცესის მიღმა ტოვებდა ადგილობრივ მოსახლეობას. ძალიან საინტერესოა მისი შემდგომი მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ისტორიკოსთა ნაწილისათვის პრობლემურია ამ შეხედულების გადასინჯვა არა იმიტომ, რომ ეს გამოწვევა იქნებოდა მოთხოვნისათვის თეთრი ადამიანის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ ვერ ხერხდება ალტერნატიული ნარატივის შემოთავაზება. თუ ნაციონალური ისტორია არ არის მოთხოვნა, ის არ არის ნაციონალური ისტორია.

ოთიციალური, აკადემიური ნაციონალური მასტერ ნარატივები თითქმის ყველა ახალ ერ-სახელმწიფოში შეიქმნა. ბერგერი გამოყოფს მასტერ ნარატივებს შორის არსებული სხვაობების მიზეზებს. აქ შევჩერდებით კონფლიქტის კიდევ ერთ წყაროზე: დებატებზე, რომლებიც მიმდინარეობს ერთი ნაციონალური ისტორიოგრაფიის ფარგლებში.

შეიძლება გამოიყოს ორი სახის უთანხმოება. პირველი დაკავშირებულია ოპოზიციიდან ხელისუფლებაში გადასვლასთან. ნ'სუდუ (N'Soudou) საუბრობს მთავრობის მცდელობაზე, მოიპოვოს ნაციონალური ლეგიტიმურობა ნაციონალისტურ ძალებთან კონფლიქტისას, რომლებიც ოპოზიციად რჩებიან. თითოეული მხარე ქმნის განსხვავებულ ისტორიას, რომელიც, პირველ რიგში, ეროვნული თავისუფლების მოპოვებაზეა ფოკუსირებული, და ნაციონალიზმის გამარჯვება თუ დამარცხება ამ ორი პერსპექტივიდან აიხსნება. ოპოზიციონერი ნაციონალისტები ხშირად უფრო უტოპიურნი არიან, ვიდრე ხელისუფლებაში მყოფნი, აკრიტიკებენ კომპრომისსა და კორუფციას, რომლებიც, მათი აზრით, მოსალოდნელი იყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისას. გარიბალდიმ დაგმო საფრანგეთსა და კათოლიკურ ეკლესიასთან დადებული გარიგებები (თუმცა,

რაღაც პერიოდში ის ეგუებოდა პირველ მათგანს) (Riall, 2007). იმედგაცრუებული ნაციონალისტები ახალ აფრიკულ ქვეყნებში ბრალს სდებდნენ წეოკოლონიალიზმს, რომლის პროექტი ჯერ კი-დევ კოლონიურ პერიოდში შეიქმნა. ოფიციალურმა ნაციონალისტებმა დააკნინეს მასობრივი წინააღმდეგობის მოძრაობათა როლი, კრიტიკულად განწყობილებმა კი გააზვიადეს იგი. მეორე შემთხვევაში, როგორც რეინჯერი (Ranger) აღნიშნავს ნამიბიის მაგალითზე, რეჟიმი და მისი ოპონენტები წინააღმდეგობის სხვადასხვა ტრადიციას ირჩევენ. მაუ-მაუს აქტივისტები კენიაში თავს წარმოაჩენდნენ თავისუფლებისთვის ნამდვილ მებრძოლებად, რომლებმაც ბრიტანელები აიძულეს უკან დაეხიათ, მთელი სარგებელი კი კოლაბორაციონისტებმა მოიმკეს. რეინჯერი (Ranger) თავის ესეში ამტკიცებს, რომ ამ წინააღმდეგობის დაძლევისათვის კენიაში წარსულის იგნორირებას მიმართეს. ზოგჯერ პრობლემებს, რომლებსაც ნაციონალისტები წარსულთან დაკავშირებით აწყდებიან, მოჰყვება უფრო ისტორიის მარგინალიზაცია, ვიდრე ისტორიით მანიპულირება. ზომბაბვეში, როგორც რეინჯერი გვაჩვენებს, მუგაბეს რეჟიმი ისტორიით მანიპულირებას მიმართავს ანტიკოლონიური ბრძოლის გაგრძელების დასასაბუთებლად.

ოფიციალური მასტერ ნარატივები ხშირად მოიცავენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც ოპოზიციური ნაციონალიზმის მიღმა იდგა ან, სულაც, ენინააღმდეგებოდა მას. ზემოთ ნახსენები იყო ბერძნული ოფიციალური ისტორია, პოზიტიური დამოკიდებულებით ბერძნული მართლმადიდებლობისადმი და, შესაბამისად, დისტანცირებით ადრეული ნაციონალისტებისაგან, მაგალითად, კორაისისაგან (Korais), რომელმაც, როგორც პროდასავლურმა ელინისტმა, ისევე მკაცრად დაგმო ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, როგორც ოტომანთა იმპერია და ისინი ერთმანეთის მოკავშირებად მიიჩნია. უფრო იშვიათად, ოფიციალური ნაციონალიზმი ახდენს თავისი პოლიტიკისა და, მასთან ერთად, ისტორიის რადიკალიზაციას, თავისი ძალაუფლების კონსოლიდაციის მიზნით, როგორც, მაგალითად, ახალი თურქეთის რესპუბლიკამ უარყო არა მარტო ოტომანთა იმპერია, არამედ ისლამთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოთხოვნებიც. ასეთი რადიკალური სეკულარიზმით ხასიათდება ფრანგული და იტალიური, აგრეთვე პან-არაბული ნაციონალიზმი.

მეორე სახის უთანხმოება მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველთან, თუმცა განსხვავდება მისგან. ისინი წარმოიშობა მაშინ, როცა ახალი ერი-სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ ინტერესებს, სხვათა ხარჯზე. გერმანული და იტალიური ნაციონალიზმის კათოლიკური კრიტიკა გაიზარდა ოფიციალურ ანტიკლერიკალიზმთან დაპირისპირების შესაბამისად. რეგიონულ-მა დაყოფამ, რომელიც ყოველთვის არ იყო გამოხატული ეთნიკური ტერმინებით, დასაბამი მისცა დაპირისპირებულ ისტორიულ ინტერპრეტაციებს. ჰაიერის (Hyer) ესესთან დაკავშირებით, ედუ-არდ ფრიდმანი (Friedmann) ასაბუთებდა, რომ სუ-იატ-სენი სამხრეთული, მათ ძე დუნი კი ჩრდილოური ნაციონალიზმის წარმომადგენლები იყვნენ (Friedmann, 1995; 2008). იგივე შეიძლება ითქვას იტალიის კონფლიქტურ აღქმაზე, რომელიც ემყარება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებულ განსხვავებებს და რომელიც გრძელდება ახლანდელ ჩრდილოეთის ლიგაში (Sciantino, 1999); მე-19 საუკუნის შუა წლების აშშ-ში არსებულ ურთიერთდაპირისპირებულ ნაციონალიზმებზე, რომელთა კულმინაციას სამოქალაქო ომი წარმოადგენდა (Grant, 1996). იგივე შემთხვევაა პრუსიული „მცირე-გერმანული“ ნაციონალიზმის დაპირისპირება ავსტრიულ „დიდ-გერმანულ“ ნაციონალიზმთან, რაც უკავშირდება გერმანიის განსხვავებულ ისტორიოგრაფიებს (Breuilly, 1996). ნათქვამი ეხება ასევე 1960-იანი წლების სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას ნიგერიის ისტორიის ბიაფრულ (სამხრეთ-აღმოსავლეთ ნიგერია) ვერსიას. რეინჯერი იგივეს ამტკიცებს ჩრდილო ნამიბიის ცენტრალურ და სამხრეთ ნამიბიასთან დაპირისპირების განხილვისას. შეიძლება კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა. უკიდურეს შემთხვევაში, ამას მივყავართ სეცესიურ მოძრაობებთან; ამ შემთხვევაში, სეცესიური მოძრაობების მიერ წარსულის ნაციონალური აღქმა იმდენად დასცილდა ოფიციალურ ნაციონალიზმს, რომ დაიწყო საუბარი სხვა, განსხვავებული ისტორიის მქონე ნაციაზე, როგორც, მაგალითად, ეს მოხდა ბასკებთან და კატალონიელებთან ესპანეთში.

რამდენად აისახება ეს განსხვავებები აკადემიურ ისტორიოგრაფიაში, დამოკიდებულია არა მარტო არსებულ განსხვავებებზე, არამედ სახელმწიფოს ორგანიზების სახეზე. ლიბერალური სახელმწიფო და დეცენტრალიზებული საუნივერსიტეტო სისტემა (როგორც გერმანიის მეორე იმპერიაში) ოფიციალური ნაციონალიზმის ალტერნატივების გამოხატვის საშუალებას იძლევა. ოფიციალური ისტორიკოსების უპირატესობა შემოიფარგლება იმით, რომ მათ ხელი მიუწვდებათ სახელმწიფო არქეოლოგზე, დაფინანსებასა და პატრონაჟზე. ავტორიტარული და ცენტრალიზებული ხელისუფლება, როგორც ადრეულ თურქეთის რესპუბლიკაში, თრგუნავს ოფიციალური შეხედულებისადმი დაპირისპირებულ თვალსაზრისებს.

ძალიან კარგია შთამბეჭდვი აკადემიური ისტორიული ლეგიტიმაციის ქონა, მაგრამ სახელმწიფოსთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ფართო მხარდაჭერა ჰქონდეს მოსახლეობაში. სახელმწიფოს ხელში არსებული ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღი განათლების სისტემაა. ის მეტად მრავალფეროვანი სახით არსებობს. ზოგ შემთხვევაში განათლება შეზღუდულია და ხელისუფლებას არ ძალუდს მისი ფართოდ გავრცელება სიღარიბისა და მასობრივი გულგრილობის (განსაკუთრებით – აგრარულ საზოგადოებებში) გამო; განათლება, ნარსულის ამგვარი ნაციონალური ხედვის თანახმად, ელიტის საქმედ და მისთვის ხელსაყრელ სფეროდ მოიაზრება.

და, მაინც, ზოგადი ტენდენცია მიმართული იყო უნივერსალური და სავალდებულო დაწყებითი, ხშირად ასევე საშუალო განათლების ჩამოყალიბებისკენ, რომელიც გარანტირებული ან სრულად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ერთ-ერთი მკაფიო პოლიტიკა თვიციალური ნაციონალური ხედვის განმტკიცება სკოლებში ისტორიის სწავლებითა და სახელმძღვანელოებით. კადოთი (Cadot) გვთავაზობს მე-19 საუკუნის ამერიკული სკოლის სახელმძღვანელოების აღნერას; აქ მთავარი პოლიტიკური აქტორი სახელმწიფოა და არა ფედერალური მთავრობა. აქცენტის გადატანა კოლუმბიდან ნორვეგიელებზე როგორც „აღმომჩენებზე“, კადოთის აზრით, მიუთითებს სურვილზე, გაიმიჯნონ თეთრები და შავები, ანგლო-საქსები და ევროპელები, განსხვავებით ადრინდელისაგან, როცა მკაფიოდ იმიჯნებოდნენ ევროპელები და მკვიდრი ამერიკელები. ახალი ნაციებიც კი სწრაფად აქცევენ ისტორიას ნაციონალისტური ცნებების ჩარჩოში.

ერ-სახელმწიფოებში მოვლენები არ არის სტატიკური. პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბებისას, შემდგომ, ახალი საკითხების გაჩენასთან ერთად, მარგინალური გახდა. 1770-იანებიდან 1814 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატებს მთავრი კონფლიქტი ბრიტანეთთან ჰქონდა. რასობრივი ან ეთნიკური, ლინგვისტური ან კულტურული ცნებების ჩარჩოებში მოცემულ ისტორიას ამგვარ კონფლიქტში არაფრის შეთავაზება შეეძლო. მე-19 საუკუნის შუა წლებიდან სიტუაცია შეიცვალა. ახლა ეს ცნებები გამოიყენებოდა თანამედროვე კონფლიქტებზე რეაგირებისა და მომავლის ხედვისათვის, შესაბამისად – განსხვავებული წარსულის კონსტრუირებისათვის. ბრეიდინგი გვთავაზობს მექსიკის ისტორიის „კრეოლური“ ხედვიდან „მეტისურ“ ხედვაზე გადასვლის აღნერას, რაც გადაჯაჭვული იყო რასისა და სოციალური დარვინიზმის ახალ იდეებთან და აყალიბებდა მექსიკური ისტორიის ეთნიკურ რეინტერ-პრეტაციას. რეინჯერი იმოწმებს არგუმენტს, რომ მთელი რიგი სახელმწიფოები აფრიკაში ცდილობენ, ხელიდან გამოგლიჯონ აკადემიურ სფეროში მოღვაწე ისტორიკოსების წარსულის დომინანტური ინტერპრეტაციები და, თავის მხრივ, შეცვალონ მათი ტონი და შინაარსი. ინდოეთში ჰინდუს ნაციონალისტური პარტიის ხანმოკლე მმართველობამ განაპირობა ახალი სასკოლი ისტორიებისა და ინდური წარსულის სახალხო ვერსიების შექმნა.

ერ-სახელმწიფოებში სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოების კვლევას შეუძლია გამოავლინოს ნაციონალური წარსულის ოფიციალური ხედვები და დროთა განმავლობაში მათში მომხდარი ცვლილებანი (მაგალითად, ბერგანი და შისლერი (Berghahn and Schissler) 1987). უფრო რთულია შევაფასოთ, როგორ და რამდენად ეფექტურად გამოიყენებოდა ისინი სკოლებში. ზოგიერთი ისტორიკოსი სკოლის დისციპლინურ გავლენას (და სამხედრო ვალდებულებას) უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე ნაციონალური ისტორიის ინდოქტრინაციას. ეს შეესაბამება დამკვიდ-

რებულ აზრს, განსაზღვრავს დასწრებას, განამტკიცებს კანონებს და გასცემს მომავალი კარიე-რისათვის საჭირო სერთიფიკატებს, რაც წარმოშობს მეტ მორჩილებას და პატივისცემასაც კი, ვიდრე, უბრალოდ, ამბები წარსულის შესახებ. მაგრამ მოსწავლეთა ჩვენებების გარეშე ბევრი რამ სპეციალურაციად რჩება.

როგორც აკადემიური ისტორიის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ პლურალიზმის ხარისხი. ერთი უკიდურესობის შემთხვევაში, ისწავლება კონკურენტული წარმონალისტური ან ანტინაციონალისტური შეხედულებები, როგორც იქ, სადაც კათოლიკური ან სხვა ეკლესიები ინარჩუნებენ წამყვან როლს განათლების სისტემაში და უპირისპირდებიან სახელმწიფოს. ოპოზი-ციური მასობრივი მოძრაობების (მაგალითად, მუშათა მოძრაობის სახით ორგანიზებულის) შემთხვევაში, მათ შეიძლება ყავდეთ საკუთარი ისტორიკოსები, რომლებიც წაციონალური წარსულის ოფიციალურისაგან განსხვავებულ ხედვას წარმოაჩენენ. ერი-სახელმწიფო შეიძლება „მოიცავდეს“ ამ ალტერნატივებს, ისე რომ გერმანელმა და ფრანგმა სოციალისტებმა გამოხატონ სიამაყე თავიანთი ეროვნული მიკუთვნებულობის გამო და სოციალიზმს განმასხვავებელი წაციონალური ფორმა მისცენ. თუმცა, ამავე დროს, ორივე მათგანი მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთის-გან ერსა და რეჟიმს, ხაზს უსვამს, რომ არსებული მთავრობა ანტინაციონალურია, ერს კი მუშათა მასებთან აიგივებს. უკიდურესობის მეორე მხარეს, ავტორიტარული, უფრო მეტად კი მეოცე საუკუნის ტოტალიტარული სახელმწიფოები საჯარო სფეროს თავს ახვევენ ერთ ხედვას და ინტენსიურად უწევენ მას პროპაგანდას. საჭიროა განვასხვავოთ სასტიკი ავტორიტარული რეჟიმების უნარი – ჩაახშოს წარსულის ალტერნატივული რეპრეზენტაციები და კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობანი, რომელიც საჭიროა მოსახლეობის მნიშვნელოვანი წარმონალიზმისათვის ერთი ოფიციალური შეხედულების თავს მოხვევისათვის.

ერი-სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი გავლენის გავრცელებას სკოლებს მიღმა, საზოგადოების უფრო ფართო ფენებზე. ისინი აწესებენ დღესასწაულებს წაციონალური ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების აღსანიშნავად; დგამენ წაციონალურ მონუმენტებს; ირჩევენ წაციონალურ სომბოლოებს – დროშებსა და ჰიმნებს, მარკებსა და ბანკოტებს, ბევრი მათგანი ასახავს და გადმოსცემს ისტორიულ ინფორმაციასა და შეხედულებებს. როგორც სკოლის შემთხვევაში, აქაც უფრო ადვილია მიზნების შესწავლა, ვიდრე შედეგებისა. ზოგიერთი თარიღი კარგავს პოპულარობას, მაგალითად, სედანის დღე გერმანიაში, რომელიც აღნიშნავდა ფრანგებზე სამხედრო გამარჯვებას 1870 წელს. ხანდახან კონტრფაქტები მასობრივ მხარდაჭერას მოიპოვებენ, მაგალითად, მუშათა მოძრაობის მიერ დაფუძნებული მშრომელთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა.

ერმა-სახელმწიფომ შეიძლება დაასრულოს წაციონალიზმი, რომელმაც თავად ის წარმოშვა. სიძულვილმა ბრიტანული და ფრანგული იმპერიალიზმისადმი და ამ უკანასკნელთა არაკეთლი-სინდისიერებამ არაბი მოკავშირებისადმი ოტამანთა იმპერიის წინააღმდეგ 1914-18 წლების ომის დროს ხელი შეუწყო მობილიზაციას პანარაბული წაციონალიზმის მხარდასაჭერად. ეს სრულად თანხვდებოდა სხვა პანასტაციონალიზმებს, რომლებიც იმ პერიოდში აყვავდა, და უზრუნველყოფდა ორმხრივ პატივისცემასა და გავლენას (Aydin, 2006). არაბული წაციონალიზმი მკაფიოდ სეკულარული იყო (ლიბანელმა ქრისტიანებმა დიდი როლი ითამაშეს მისი იდეების ჩამოყალიბებაში) და, ისლამის მარგინალიზებასთან ერთად, უპირისპირდებოდა ერაყის, სირიის, ლიბანის, პალესტინისა და საუდის არაბეთის ახალ წარმონაქმნებს, რომელთაც იმპერიის მარიონეტებად მიიჩნევდა. ამავე დროს, ერთმანეთისაგან განასხვავებდა ამ არეალებსა და არაოტომანურ არაბულ რეგიონებს ჩრდილო აფრიკაში. თითოეულმა ამ სახელმწიფომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და მათი რეჟიმები ყურადღებას ამახვილებდნენ საკუთარ ინტერესებზე. ისრაელთან ბრძოლაში კატასტროფული დამარცხების შემდეგ 1948 და 1967 წლებში, ყურადღება ტერიტორიული სახელმწიფოსკენ გადაიხარა. ახალი ტიპის წაციონალიზმი უნდა ჩამოყალიბებულიყო წარსულის განსხვავებულ ხედვის საფუძველზე. ამ სახელმწიფოების მარცხი შეიძლება დაკავშირებოდა ახალი ისლამიზმის აღმოცენებას, რომელიც აღმოფხვრიდა წაციონალიზმის სეკულარულ ტონს. წარსულის წაციონალური ხედვა ისევ იცვლება, ისევე როგორც აწმყო სიტუაცია და მომავლის სურათი.

## ნარსულის ნაციონალური ხედვის ნატურალიზება

ერისა და ეროვნული წარსულის რაობის ირგვლივ მუდმივი კამათიდან გამომდინარე, ყალიბ-დება უფრო მდგრადი შეხედულებები. ეს არის წარმოდგენა ერსა და მისი წარსულზე, როგორც მიმდინარე პოლიტიკისა და იდეოლოგიის მიღმა არსებულ ფენომენზე, როგორც რაღაც ნატურა-ლურზე/ბუნებრივზე, რომელიც სადღაც „იქ“ არის. ამ გაგების გასაღებს წარმოადგენს ხარისხი იმისა, თუ რამდენად იქცევა სახელმწიფო ადამიანების ცხოვრების „საცავად“. ნაციონალური ის-ტორიის დეტალებზე მსჯელობენ სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური ძალები; ისინი თან-ხმდებიან იმაზე, რომ არსებობს მყარი და განგრძობადი ნაციონალური ისტორია, იმის მიუხედა-ვად, რომ ზოგი არ ეთანხმება მის ზოგიერთ მახასიათებელს. თუმცა ეს, შესაძლოა, სხვადასხვა გზით მოხდეს.

პირველი გზა დაკავშირებულია უწყვეტობის იდეასთან – როგორც ერი-სახელმწიფოს ინსტი-ტუტებთან, ასევე ეროვნული წარსულის ჩარჩოსთან მიმართებაში. ამის ნათელსაყოფად საკმარი-სია რამდენიმე მოკლე მაგალითი. თანამედროვე ერ-სახელმწიფოთა შორის, ცენტრალური პოლი-ტიკური ინსტიტუტების უწყვეტობის ცველაზე მაღალ მაჩვენებელს ინგლისი/ბრიტანეთი ამჟღა-ნებს. გასაკვირი არ არის, რომ ეს წარსულის ნაციონალური ხედვის მთავარ მახასიათებლად იქცა. რადგანაც ისტორიკოსის პროფესია მე-19 საუკუნის შუა წლებში – წარსულის მკაფიო ნაციონა-ლური ხედვის აღმოცენების პერიოდში – ჩამოყალიბდა, ცენტრალური პოლიტიკური ინსტიტუ-ტების უწყვეტად არსებობა ამ იდეის მთავარი მამოძრავებელი გახდა. ეს იყო, უმთავრესად, ინ-გლისური ხედვა, რადგან უწყვეტობა შუა საუკუნეების პარლამენტიდან და მონარქიდან უფრო მოვიანო ანგლოსაქსურ ინსტიტუტებამდე მხოლოდ ინგლისს მიესადაგებოდა. წარსულის პრი-ტანული ხედვა აშკარად უფრო სინკრეტული, მოკლე, მყიფე და სადაცო. უწყვეტობა გულის-ხმობდა არა მხოლოდ ხანგრძლივობას, არამედ იმის განცდას, რომ თანდათანობითობა ცვლილე-ბის პრიციპული ფორმა იყო, ემპირიციზმი და ეტაპობრივი რეფორმა კი – პოლიტიკური კულტუ-რის დომინანტური მახასიათებელი. ეს დებულება შეიძლება გამოწვევის ნინაშეც დგებოდა (წარ-მატებული შემოსევა 1066 და, ალბათ, 1688 წელს; მე-17 საუკუნის შუა წლების რევოლუცია; სო-ციალური უკმაყოფილება და ტრანსფორმაცია მე-18 საუკუნის ბოლოს; ისტორია, რომელიც, არ-სებითად, გლობალური ექსპანსიის, და არა კუნძულის, უწყვეტობაა), მაგრამ უწყვეტობის თეზისი საკმაოდ მყარი იყო საიმისოდ, რომ გაბატონებული ადგილი დაემკვიდრებინა ეროვნული წარსუ-ლის აკადემიურ, პოლიტიკურ და პოპულარულ კონცეფციებს შორის.

ფრანგული ისტორიოგრაფია შეიძლება დაყრდნობოდა უწყვეტობის განცდას ტერიტორიასა და სახელმწიფოსთან მიმართებაში, სწორედ ეს გახდა ნაციონალური ისტორიის გაბატონებული იდეა და გაზიარებულ იქნა პოლიტიკური სპექტრის მიერ. თუმცა, 1789 წლის წარმატებულმა რე-ვოლუციამ ძირი გამოუთხარა პოლიტიკური ინსტიტუტების უწყვეტობას და საისტორიო მწერ-ლობა, ხშირად, ამ კონფლიქტის ან ერთ, ან მეორე მხარეს იჭერდა.

ამ ორივე შემთხვევაში „სახელმწიფო“ ან, ინგლისურ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, „კონსტი-ტუცია“ უზრუნველყოფდა ფოკუსირებას გრძელ, უწყვეტ ისტორიაზე, იმის მიუხედავად, რომ ამ იდეის გავრცობა სახელმწიფოდან საზოგადოებაზე ფრანგი ისტორიკოსებისათვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე ინგლისელებისათვის. გერმანელებისა და იტალიელების შემთხვევაში სახელმწიფო საერთოდ არ არსებობდა. შეიძლება, პრუსიას შეესრულებინა ეს როლი, მაგრამ ეს აშკარად არა-დამაკამაყოფილებელი და სადაცო იყო. იტალიის შემთხვევაში კი ასეთიც არაფერი მოიძებნებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ანტიკლერიკალური ნაციონალიზმი იტალიის ერთ ექსტენსიუ-რი ინსტიტუტს, პაპობას დაუპირისპირდა. ისტორიკოსებს უწევდათ ნაციონალური ისტორიის სხვა ჩარჩოების მოქებნა, მაგალითად, ეროვნული კულტურის ან „სულის“, რომლებიც ძნელად თავსდება ისტორიის ნარატივში, ასევე პოლიტიკური და სამხედრო ლონისძიებების ფორმატში. თუმცა, ამ ისტორიკოსებისათვის დასაყრდენის როლს ასრულებდა რამდენიმე ინსტიტუტი (რო-მის საღვთო იმპერია, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები) და განგრძობადი „ნაციონალური“ არსე-

ბობა მიწათმფლობელობაში, ურბანულ მართვასა და საეკლესიო საქმეებში. როდესაც საქმე მიღებოდა დამორჩილებულ კულტურულ ჯგუფებზე დაფუძნებულ ნაციონალიზმზე, ნაციონალური ისტორიის მამოძრავებელი ძალა კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდებოდა. თუმცა, იმის განცდა, რომ ერს უნდა ჰქონდეს ისტორია, ნიშნავდა, რომ უიმედო მასალა სათანადო ფორმას მიიღებდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია უწყვეტობა თავად ერი-სახელმწიფოს არსებობაში. რევოლუციები არა მარტო ანგორევენ წარსულის ხედვას, მათ შეიძლება მოჰყვეს არსებული უნივერსიტეტების, სკოლებისა და სხვა ინსტიტუტების „წმენდა“, როგორც, მაგალითად, 1945 წლის შემდეგ ეპროპის დიდ ნანილში კომუნიზმის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისას და ადრეულ 1990-იან წლებში მისივე კოლაფის შემდეგ. ამას მოჰყვება სამეცნიერო და პოპულარული ისტორიის ინტერპრეტაციის ჩარჩოს წყვეტა. მაგალითად, აღმოსავლეთგერმანელი ისტორიკოსების სწრაფმა მარგინალიზებამ 1990 წლის შემდეგ დააჩქარა გერმანული წარსულის მარქსისტული ხედვის უკუგდება, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ისედაც მოხდებოდა (Fullbrook, 1997).

ერი-სახელმწიფოს, როგორც „საცავის“ ეს უწყვეტობები მუშაობდა ისტორიული რეფლექსის დონეზე. სხვა საფეხურზე „საცავის“ განცდა დაკავშირებულია რუტინიზაციასთან; ერი-სახელმწიფო განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობის, სოციალური და კულტურული საკითხების ყოვლისმომცველი ჩარჩოს უზრუნველყოფი. ეს არგუმენტი ნათლად ჩამოაყალიბა ბილიგმა (Billig, 1995) წიგნში ბანალური ნაციონალიზმის შესახებ. როგორც ბილიგი აღნიშნავს, ეს არ არის არა იმდენად ის დროშა, რომელსაც ამაყად ატარებს პატრიოტთა ჯგუფი, რამდენადაც დროშა, რომელიც ნებისმიერ სამთავრობო შენობასა და სკოლაზე ფრიალებს. ეს არის იმპლიციტური კონტრასტი „ჩვენსა“ და „მათს“ შორის, და არა ნაციონალური ისტორიის შემუშავებული ექსპლიციტური თხრობა. კულტურა, როგორც ერნესტ გელნერმა აღნიშნა, ნიშნავს იმას, რომ არ გინევდეს ფიქრი, ან, როგორც ნიცშე ამბობს:

ჭეშმარიტებები ილუზიებია, რომელთა ილუზიური ბუნება დავიწყებულია; მეტაფორები, რომლებიც გაცვდა, რომელთაც დაკარგეს ზეგავლენა და ახლა მოქმედებენ, როგორც, უპრალოდ, მეტალი და არა როგორც მონეტები.

ეს არის ბანალური ნაციონალიზმის ბუნება, რომელიც ძალას აძლევს მას. როდესაც კრიზის „ცხელი“ ნაციონალიზმის (როგორც ბილიგი უწოდებს) აღორძინება მოჰყვება, აქაც მოიძებნება არგუმენტი და აზრთა სხვადასხვაობა, მაშინაც კი, თუ ბანალური ნაციონალიზმი წვეთ-წვეთად ქმნის „ცხელი“ ნაციონალიზმის საფუძველს.

„წარსულის ეს ხედვა“, დაკავშირებული ერის ნატურალიზებულ ხედვასთან, არ ყალიბდება იღებს მკაფიო ისტორიული არგუმენტის სახით. ამგვარ შეხედულებას არგუმენტი ყველაზე ნაკლებად სჭირდება. ნაცვლად ამისა, ინგლისელობა უკავშირდება არა პოლიტიკურ სფეროს, არა-მედ, მაგალითად, ინგლისურ საუზმეს, რომლის შესახებაც ო'კონორი წერს. ერთიანი ნარატივის ნაცვლად, ჩვენს ხელთ არის ხატები და ზედაპირული შთაბეჭდილებები, მაგალითად, ჯორჯ ორუელის (George Orwell), ჯონ ბეჯემენის (John Betjeman) ან თ.ს. ელიოტის (T.S Eliot). ამგვარი ხატები ფრაგმენტული და ცვალებადია, ისინი დღეს ნაკლებად სარწმუნოა, ვიდრე მაშინ, როცა შეიქმნა (1940-იანებში). როდესაც 1990-იანებში ჯონ მეიჯორმა (John Major) ლაპარაკი დაიწყო თბილ ლუდზე, კრიკეტსა და ბინდში ველოსიპედით მოსეირნე შინაბერებზე, პასუხად უფრო დაცინვა მიიღო, ვიდრე პატივისცემა. როგორც კი ეს ხატები განხილვისა და კამათის საგნად იქცევა, ისინი კარგავენ ძალას. ასეთ „ნატურალურ“, „არაპოლიტიკურ“ ხატებს, თითქოს, არანაირი კავშირი არ აქვთ ნაციონალიზმთან – თუ მათ აღვიქვამთ, როგორც რაღაც ხმაურიანს, აქტიურსა და საკამათოს, რაც ხშირად წარმოადგენს ნაციონალიზმის ალტერნატივას (Echternkamp, 2002).

ასეთი ხატები განამტკიცებენ თავდაცვითს, „შიგნით მაყურებელ“ ნაციონალიზმს, რომელზეც გილდეა საუბრობს საფრანგეთში ჩატარებული რეფერენდუმის მიერ ევროპეიზმის უარყოფის ახსნის მცდელობისას. ეს ახსნა ეკონომიკური პოლიტიკის პრაგმატიულ შიშზე უფრო ღრმად მიდის. ვფიქრობთ, რაღაც მსგავსის პოვნა შეიძლება დასავლეთ ევროპის ნებისმიერ ქვეყანასა და

მსოფლიოს სხვა განვითარებულ ნაწილებში, სადაც აწუხებთ მასობრივი იმიგრაცია ან გამოწვევები – დაბალი ხელფასებიდან დაწყებული, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლით დამთავრებული. მანუგეშებელი ბანალობები და ხატები შიშისა და ექსკლუზის გასამართლებლად იქცევა ხოლმე.

## შემაჯამებელი პუნქტები

ახალ ერ-სახელმწიფოებში მასტერ ნარატივების კოსტრუირების მეშვეობით ოპოზიციური ნაციონალიზმის მიერ შემუშავებული ისტორიული ხედვიდან, რომელიც მიმართული იყო კულტურული განახლებისა და პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებისაკენ, ჩამოყალიბებულ ერ-სახელმწიფოებში ბანალური ნაციონალიზმის ხატების უპირობო მიღებამდე გრძელი და რთული გზაა გასავლელი. ამ გზის დასასრულისათვის მცირე აზრიდა რჩება „ისტორიისათვის“, რომელიც ორიენტირებულია ერთობაზე და მხარდაჭერილია უნივერსალიტებისა თუ ნაციონალისტური მოძრაობების მიერ. ეს განსაკუთრებით აშკარა ამ მოძრაობათაგან განსაკუთრებით უტოპიურთა – კომუნიზმის, ფაშიზმისა და ანტიკოლონიური ნაციონალიზმის – დამარცხების შემდეგ, რომელთაც თან სდევდა მასობრივი ძალადობა. ფუურიამ (1992) დაუფიქრებელი გაბედულება გამოიჩინა, როცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჰეგელზე დაყრდნობით, „ისტორიის დასასრული“ დაწერა. მაგრამ „უტოპია“ რეალობა აღმოჩნდა, რამდენადაც არსებული კაპიტალიზმი, ლიბერალური დემოკრატია, ისევე როგორც ზომიერი ტრიუმფალიზმის გრძნობა, დაქვეითდა.

დღეს ნაციონალიზმი ნებატიური კონტაციის შემცველი სიტყვაა. ვინც ხაზს უსვამს ერის ღირებულებებსა და ეროვნული წარსულით სიამაყეს, სხვა სახელებს ექებენ – მაგალითად, პატ-რიოტიზმს და სამშობლოს. ახლა ოპოზიციური მოძრაობები, ეთნიკური ან ეროვნული განსხვავებების ნაცვლად, აქცენტს აკეთებენ ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, აცნობიერებენ რა იმ ენაზე საუბრის საჭიროებას, რომელიც ყველაზე მისაღებია საერთაშორისო თანამეგობრობისათვის. თუმცა, ამავე დროს, ისინი ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ერების ან ეთნიკური ჯგუფების უფლებები ირღვევა და ისინი მოკლებული არიან დემოკრატიული მონაწილეობის საშუალებას. ერის/ნაციის ცნება კვლავ ფოკუსირებულია კულტურულ ღირებულებებსა და პოლიტიკურ უფლებებზე.

ზოგიერთი ანალიტიკოსი თვლის, რომ გლობალიზაცია და ევროკავშირის მსგავსი სუპრაეროვნული ინსტიტუტები შლიან ნაციონალიზმს და თანდათან აღმოფხვრიან მას. თუ შეიქმნება ანტიკოსა და მომავლის განსხვავებული, არანაციონალური ხედვა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ასევე მიგვიყვანს ნარსულის არანაციონალურ გააზრებამდე. ისტორიული კვლევის სფეროში ამის ნიშნები შეიმჩნევა. განახლებული მსოფლიო ისტორია აღარ ემყარება ცივილიზაციათა აღმავლობის იდეას, რომელიც „დასავლეთის აღზევებით“ დაგვირგვინდა. გლობალური ქსელები და ტრანსნაციონალური კავშირები განიხილება როგორც ხანგრძლივი ისტორიის მქონე მოვლენები და არა როგორც ბოლო დროის ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ დიდი ხნის წილ ნაციებზე. მუმავდება რეგიონული, ლოკალური და „მიკრო-ისტორიები“. უფრო მეტიც, ეს ისტორიები ერთმანეთთან დაკავშირებულია, მაგალითად, სპეციფიკურ საზოგადოებებზე შორეული მიგრაციების გავლენისა და ეროვნული საზღვრების გადამკვეთი რეგიონული კავშირების კვლევით. თავად ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფოს ფორმირება აღიქმება არა როგორც თვითკმარი ისტორიების სერია, არამედ როგორც ლოკალური და გლობალური ძალების ურთიერთქმედების შედეგი. ისტორიკოსებისათვის, რომელთა კვლევის საგანია მასობრივი მიგრაციები, საერთაშორისო ეკონომიკური ისტორია და გარემო, წარსულის ნაციონალურ ხედვას მცირე ღირებულება აქვს.

თუმცა, არსებობს ბევრი საწინააღმდეგო არგუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმისა და ერი-სახელმწიფოს უგულებელყოფა ასეთი ადვილი არ იქნება. ერი-სახელმწიფო რჩება ძლევამოსილ ინსტიტუტად. ბევრი ამტკიცებს, რომ სწორედ ერი-სახელმწიფოს განმტკიცება ანიჭებს მას დემოკრატიულ ლეგიტიმურობას, რომელსაც ვერც ერთი გამოწვევა ვერ შეედ-

რება (Calhoun, 2007). მისი წარმატება დამაჯერებლობას ანიჭებს მისსავე ისტორიულ თვითაღებას. ის ფაქტი, რომ საისტორიო მწერლობის პროფესიონალიზაცია ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ღრმად გამოკვლეული, საფუძვლიანად არგუმენტირებული მასტერ წარატივების კონსტრუირების პარალელურად მიმდინარეობდა, ართულებს წარსულის ამგვარი ხედვის ნგრევას (Berger, 1999). აკადემიური ისტორიკოსების უმრავლესობა უმეტეს ქვეყნებში აგრძელებს საკუთარი ქვეყნის ისტორიკოსად ყოფნას. მაშინაც კი, როცა ისტორიკოსები მსჯელობენ კრიტიკულად და ანტინაციონალისტურად, ისინი ამას აკეთებენ ეროვნული წარსულის სხვადასხვა ხედვის წარმოდგენით და არა მისგან გამიჯვნით. როგორც გილდეა აჩვენებს, თვით იმ აზრსაც კი, რომ წარმონალიზმი შეიძლება გადაიღახოს, შეუძლია წაციონალიზმის ახალი ტალღა წარმოშვას. წაციონალურის წატურალიზაცია მას არგუმენტებისა და უარყოფის მიღმა აყენებს.

წარსულის წაციონალური ხედვები პირობითი და კონსტრუირებულია, მუდმივად იცვლება დიპლომატიური და სამხედრო კონფლიქტების შედეგების, სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებების, ისტორიკოსების მიერ გამოყენებული იდიომებისა და მეთოდების შესაბამისად. ისინიც საკამათოა, როგორც კონფლიქტურ წაციონალიზმთან მიმართებაში და „იგივე“ წაციონალიზმის ფარგლებში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ამგვარი ისტორიული თხრობა არაფერია, გარდა წაციონალისტური პოლიტიკის იდეოლოგიური ანარეკლისა. მეცნიერული და ობიექტური ისტორიული მუშაობა უნდა დაიწყოს კითხვის დასმით, თვალსაზრისის ჩამოყალიბებითა და მეთოდების დადგენით. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად უშვებს კითხვა, თვალსაზრისები და მეთოდები საფუძვლიანი და დასაბუთებული მტკიცებულების გამოყენებას. მაგრამ, ხშირად წაბიჯი საფუძვლიანი ისტორიული არგუმენტიდან იდეოლოგიურ მტკიცებისაკენ იდგმება და საჭიროა ყურადღებით შესწავლა იმისა, თუ როდის და როგორ კეთდება ეს.

როგორიც არ უნდა იყოს კონკრეტული ისტორიული წაშრომის ხარისხი, არსებობს უფრო ფართო ჩარჩო, რომელშიც ისაა შექმნილი. ეს ჩარჩო არის „დროის თავმოყრის“, წარსულის, ან-მყოსა და მომავლის დაკავშირების ესა თუ ის ფორმა. ახალ დროში ჩამოყალიბდა განსხვავებული ჩარჩო, რომელიც ისტორიას ხედავდა როგორც პროგრესისკენ მიმართულ, ერთიან, სეკულარულ ძალას. წაციონალისტებმა უარყვეს ამ გაგების უნივერსალისტური ფორმა და ის წაციონალურ ისტორიას მოარეს. ამიტომ მნიშვნელოვანი გახდა მასტერ წარატივის ფორმით წარმოდგენილი ჭეშმარიტი ეროვნული ისტორიის გაგება და მისი დაკავშირება დღევანდელობასა და მომავლის ხედვასთან. წარსულის ამ წაციონალისტურმა კონსტრუქციებმა ბევრი სხვადასხვა ფორმა მიიღო; ისინი შეიცვალა ოპოზიციიდან ერი-სახელმწიფოს ფორმირებაში გადასვლიდან და ერი-სახელმწიფოს შემდგომი სტაბილური არსებობიდან გამომდინარე. ასეთი ეროვნული კონსტრუქციები, ადრეული უტოპიური ასოციაციების უარყოფის პირობებშიც, როგორც ჩანს, კვლავ ინარჩუნებენ მთავარ ადგილს აკადემიურ, პოლიტიკურ და პოპულარულ დისკურსში.

### თარგმნა და რეფერატი მოამზადა თამთა სიხარულიძემ

## ავტორები

**ნინო ქიმერიძე**, ასოცირებული პროფესორი, ევროპული ენების და ლიტერატურის ინსტიტუტი,  
გერმანული ფილოლოგის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნინო კერესელიძე**, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი, სენტ ენდრიუს  
უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

**ნინო დარასელია**, ასოცირებული პროფესორი, ევროპული ენების და ლიტერატურის  
ინსტიტუტი, ინგლისური ფილოლოგის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ლადო ვარდოსანიძე**, პროფესორი, არქიტექტორ-ურბანისტი, საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი

**მანანა ჯავახიშვილი**, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნინო მგალობლიშვილი**, დოქტორანტი, კულტურის კვლევათა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნუნუ კაპანაძე**, ასოცირებული პროფესორი, ევროპული ენების და ლიტერატურის ინსტიტუტი,  
გერმანული ფილოლოგის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## თარგმანი

**ჯონ ბრილი**, ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის პროფესორი, ლონდონის ეკონომიკისა და  
პოლიტიკის მეცნიერებათა სკოლა

**თამთა სიხარულიძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სტუდენტი

## AUTHORS

**Nino Kimeridze**, Associate Professor, Institute of European Languages and literature, Department of German Philology, Iv.javakhishvili Tbilisi State University

**Nino Kereselidze**, PhD Candidate in International Relations, University of St. Andrews, United Kingdom

**Nino Daraselia**, Associate Professor, Institute of European Languages and literature, Department of English Philology, Iv.javakhishvili Tbilisi State University

**Lado Vardosanidze**, Professor, Architect, Urbanist, Technical University of Georgia

**Manana Javakhishvili**, Associate Professor, Ilia State University

**Nino Mgaloblishvili**, PhD Candidate, Institute of Cultural Studies, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

**Nunu Kapanadze**, Associate Professor, Institute of European Languages and literature, Department of German Philology, Iv.javakhishvili Tbilisi State University

## Translation

**John Breuilly**, Professor of Ethnicity and Nationalism, London School of Economics and Political Science

**Tamta Sikharulidze**, Student, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეგანის დიზაინი  
კომპ. უზრუნველყოფა

მარინე ვარამაშვილი

ნანა ქაჭაბავა

ნინო ებრალიძე

ლალი კურდგელაშვილი

TSU Press Editors:

**Marine Varamashvili**

**Nana Katchabava**

Cover Designer

**Nino Ebralidzee**

Composer

**Lali Kurdghelashvili**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995(32) 225 14 32

[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)